

წიგნაკრები


საქართველო



ლიტერატურული საქართველო * LITERATURULI SAQARTVELO * ЛИТЕРАТУРУЛИ САКАРТВЕЛО

24 დეკემბერი 2021წ. №35 (4034) გამომცემის 91-ე წელი ფასი 1 ლარი

გილოსავთ დაგდებ უოგა-ახალ წელს!



პოეტის წაშობათ ეპისტოლე

ვუძღვნი რეზო გაბრიაძის ნათელ ხსოვნას „ენერჯია უდრის სიყვარული გამრავლებული სინათლის სიჭაქარის კვადრატზე“ ალბერტ აინშტაინი

უსულო ფრესკას
და თვალისჩაკვრით ჩანიშნულ ფოტოს
ახლა ფურცელზე ვამუღავნებ ლექსად.

იქ ძველ ხელსაბანს
განიშნე, პონტო-
ელი ცოდვას რომ ატანდა ადრე,
სტრიქონით ვაღდგენ გაცრეცილ ფოტოს,
ხსოვნის არქივის ვაცოცხლებ კადრებს.

სიტყვების მწკრივი, ქცეული ლექსად,
ცისა და მიწის გაარღვევს კორდონს,
ისევე, როგორც
ილიას ფრესკად
გადაიქცევა ილიას ფოტო.

პოეტის ფიქრი კადრებს რომ იკრობს,
როგორც რომ პეპლებს ნათურა ღამით,
ამ სიბნელეში განიშნო, ვფიქრობ,
თუ დაველოდო მონმენდილ ამინდს.

ლოტრეკის ფუნჯის ევანგელს ახლავს
იაფიანი სუნამო ქალის...

არ ვიცი, როდის განიშნო - ახლა
თუ შემდგომ სტროფში
ჩაგიკრა თვალი.

განიშნე, გოგო კაფეში ბოტო-
ქსით რომ ღამობდა მოყვანას სექსის
და თვალისჩაკვრით ჩაბეჭდილ ფოტოს

სუფთა ფურცელზე
ვამუღავნებ ლექსით.

მოაღწევს ალბათ შენამდე ექო
ამცდება, ვფიქრობ, სითხითი თარსი,
თუ დო-დან დო-მდე
მტკაველი მეყო
და სიტყვას ლექსის დაედო ფასი.

იმ სიჩუმედან გიგზავნი სტრიქონს,
სად რონდანიის პიეტა ისმის...
მასშია ის, რაც აქამდე იყო,
რაც ამის მერე იქნება, ისიც.

... გამოეთხოვა რაც კეთილ ლავრას
და გზას გაუდგა ფლობერის ემა,
აჩქარების და სხეულის ნამრავლს
ენოდა F, რაც = ma-s

ნიუტონისთვის არ მქონდა ფიცი
მიცემული და გავეყვი მერცხალს,
მიზიდულობის კანონი მიწის
მივუსადაგე უძირო ზეცას.

და $mc^2 + - \alpha$
= ფრთას + ცისფერი ზეცა,
...დღად განზრახვას რვეულში ალბა-
ტროსის ფრთებივით გავშლი და ვკეცავ.

- ევრიკა! -
სწრაფვა + ევას ვაშლი
= დოქს + შიშინი კეცის...
და ველარავინ ვერასდროს წაშლის
მიზიდულობის ფორმულას ზეცის.

▶ დასასრული. 80-2 გვ.

ღათომ მალრაძე

შასავალი

გავეყვები ვარსკვლავს -
სიცოცხლის მეკვლეს
და მთელი ღამე უნდა ვიარო,
რომ უთენია ვეახლო ბეთლემს -
ერთვარსკვლავიან სამშობიაროს.
ვეახლო არა როგორც ტურისტი
ან პოეტიკის როგორც მაგისტრი,
უნდა ვეახლო მხოლოდ პურისთვის...
უნდა ვეახლო მხოლოდ წყალისთვის...
რომ თაყვანი ვცე უფალს ბაგაში,
ხელს გამომიწვდის ვიდრე ჰადესი,
რომ სასწაულის ვიცნო განგაში
ამ სისადავის სიდიადეში.

გალერეაში განიშნე, ჯოტომ
რომ სული მისცა

<p>დიდი მთარგმნელი</p>  <p>ნანა მადულაშვილი</p> <p>83.2</p>	<p>დღეისდღის თამატიკიდან</p>  <p>გიორგი სოსიაშვილი</p> <p>83.6-7</p>	<p>დაბიუტი</p>  <p>ნათალი დარასალია</p> <p>83.8</p>	<p>მინიგალისტური პროზა</p>  <p>ლიტერატურული კრიტიკის მთარგმნელი ნანა მადულაშვილი</p> <p>83.9</p>	<p>„მე ვარ პენი ივანი“</p>  <p>მამუკოშვივა ზ. ზორიტასთა</p> <p>83.12</p>
--	---	---	---	---

პირველი გვერდიდან

მაგრამ ეპოქამ რადგანაც სისტე- მური ცვლილება მოარგო მორალს, ამ 2021-ს, ქრისტე- შობისას მსურს, რომ ხმა მივცე ქორალს.

რადგანაც ბრიფინგს ენჯეო-ს ხალხი მართავს, ბეიჯიზე LIBERTY-ს საშვით... მტკიცედ იცავენ უფლებას ტალღის, როდესაც მიაქვს დინებას ბავშვი.

პროგრესისტებს კი რაცა აქვთ წესად, ასე უღერს, რომ ვთქვათ სიტყვით მარტივით:

- უპატცემობას თქვენდამი ჩვენსას, ვალდებული ხართ, რომ სცეთ პატივი.

გაუქმებული სამრეკლო რეკავს მათთვის, ვინც ეძებს დაკარგულ ცხვირ-პირს და საფუთქელთან სისხლიან ეკალს მოაქვს ნათება ჯვარცმულის ნიშნის.

ფანჯრის რაფიდან სხეული ლოგოსს მივანდე და ვთქვი; - მიწყალე, მისტერ!

... სიტყვები ლექსად იქცევა, როგორც პური და ღვინო იესო ქრისტედ.

და ისმის კითხვა - ალმასი მჭრელი...

როცა ჩანს ევა ედემის apple-ით: - მე მესიზმრება პეპელა ჭრელი ან თუ მე ვცხოვრობ სიზმარში პეპლის?..

თუ ჩემი ნატვრაც მანამდე ელავს, ვიდრე ირხევა სადაფის ფრთები, ...როცა იძინებს, ვიღვიძებთ ყველა, ...გაიღვიძებს და ნელ-ნელა ვქრებით.

არცრა სანაღვლო დამრჩება სოფლად, სანამდე ფრთები არ შემოეფლით- შემოეძენდა, შევძახებ:

- ჰოპლა! ჩვენ ვცხოვრობთ ფერად სიზმარში პეპლის.

- დიდებულია! - უკეთეს ბინას ვერც ვინატრებდი, მაგრამ ასეა, ფერადი სიზმრის სასწორის პინა აგებს, როდესაც გავშლი პასუხანს.

და, თუ წყალობას მოიღებს პრესა და დასამარხი არ მთხოვა ფული, ჩემი სხეულის კედლების მესას იყივლებს ჩემი ცოდვილი სული.

იყივლებს, როგორც პეტრეს მამალი, როგორც ნიუსი პირველი გვერდის, სიკვდილ-სიცოცხლის შუამავალი - სიტყვა, რომელიც გასცდება წერტილს:

- ნაბიჯი! - მხოლოდ ნავიდან წყალზე, როგორც ბიბლიურ კადრის მიგნება... და რწმენა ახალ იმედით მავსებს - თუ ნაბიჯია, კვალიც იქნება!

თუნდ გულის ნაცვლად ნავაწყედ ლითონს, როგორიც გინდა, დადგეს შედეგი, მე ჩემი ჯერი განვსაზღვრე თვითონ და არ ვყოფილვარ არსად: - შემდეგი!

ლურჯ სივრცეებში ნავყვები ფრენით ჩემს ბავშვობაში გატყორცნილ ისარს, ქუსლით გავსინჯავ ფიცარნავს სცენის, ვით მოციქული სიმკვირივეს წყლისას.

P.S. ...და ზემოთქმულის მიხედვით ვადგენ: პოეტს + ზეცა + ევას ვაშლი = ფრთას, მინის ძახილით ნატკენს, რომელსაც ახალ კრებულში გავშლი.



„ყოველი წესიერი კაცი თავისი სამშობლოს, თავისი ხალხის შემანეწვარი უნდა იყოს, რითაც, როგორც და რა ზომითაც შეუძლია, რაღა თქმა უნდა, თავისი ნიჭის, ცოდნისა და უნარის კვალობაზე: თანაც კარგია, ეყოს შემოქმედ კაცს გონიერება, პატიოსნება და პირუთვნელობა საკუთარ შესაძლებლობათა სწორად შეფასებაში, რომ ის თავისი ნიჭი, ცოდნა და უნარი სწორედ იმ სარბიელზე გამოიყენოს, სადაც უფრო უპრიანი იქნება მისთვის და მისი ქვეყნისათვის“.

შეიძლება თამამად, დაბეჯითებით, სრული პასუხისმგებლობით ითქვას, რომ ამ სტრიქონების ავტორმა ზუსტად განსაზღვრა თავისი ლიტერატურული პოტენციალი, შესაძლებლობანი და თავის საესავ სამშობლოს, მშობლიურ სიტყვაკაზმულ ლიტერატურას იმ სფეროში, იმ უნარში ემსახურა, სადაც ყველაზე უფრო ხელენიფებოდა თავისი მწერლური ნიჭიერების, დიხაბც რომ ფოიერვერკული ნიჭიერების გამოვლენა.

ზეზვა მედულაშვილი. ოქროს ასოებით რომ ჩაწერა თავისი გვარ-სახელი ქართული მთარგმნელობითი სკოლის მატრიანში, როგორც მისმა ურთერთმა მშვენივამ და სიამაყემ.

მსგავსი დამკვიდრება ქართულ მთარგმნელობით პანთეონში, რომელიც ფსალმუნების სულისშემძვრელი თარგმანების სურნელებითაა გაჟღენთილი, რომელსაც დიდი ათონელი ბერების ნათელი ადგას, რთულზე რთული ამოცანაა, თითქმის შეუძლებელი, მაგრამ ზეზვა მედულაშვილმა ეს შეძლო, შეძლო იმიტომ, რომ ჯერ ერთი, ღვთიური ნიჭით იყო მადლმოსილი, იმიტომაც, რომ ქართული ენის ნიაღში იდგა და იქიდან ამოათავთავებდა ხოლმე ისეთ მარგალიტებს, ისე მოხდენილად მიმოხრიდა ხოლმე მის უდიდებულესობა ქართულ სიტყვას, გეგონებოდათ, მათთან ერთად ამოიზარდა საუკუნეების უღრანებიდანო. კიდევ იმიტომაც შეძლო, რომ თითქმის ძირისძირობამდე იცნობდა იმ ენებსაც, საიდანაც თარგმნიდა - რუდაქისა და ომარ ხაიამს, საადისა და ჰაფეზს, ნასიმისა თუ ფუზულის, ვაგიფისა თუ სამედ ვურლუნს, საიათნოვასა თუ ავეტიკ ისააკიანს, ოვანეს თუმანიანსა თუ ვაჰან ტერიანს, ალიშერ ნავოისა თუ ელიშე ჩარენცის, რასულ გამ-ზათოვასა თუ კოსტა ხეთაგუროვს, თარგმნიდა გატაცებით, გზნებით, დაგემოვნებით. მთელი არსებით გადაეშვებოდა ხოლმე ამ პოეტთა ენობრივ სტიქიაში და ბედნიერი იყო, როცა მისი შერკინება წარმატებით დასრულდებოდა ხოლმე, აკი თავადაც წერდა მხატვრული თარგმანისა და მთარგმნელის მისიაზე:

„... ლიტერატურა ხომ დიდი სილამაზე და სიკეთეა. ყოველი ერიც ხომ თავისი ლიტერატურის, თავისი ენის სახით საკუთარ სიკეთეს ეფოფინება, მაგრამ განა ცუდია, სხვის სიკეთეს შენი შეაგებო, შენსას - სხვისი, როგორც ირემმა ირემს ბალახი გაუნოდა? ცუდი კი არა, კარგია, ძალიანაც კარგია. აი, ამისთვის ვცდილობ, შეძლებისდაგვარად. ჩემი სარგებელიც ეს არის, ხოლო თუ ჩემმა სიტყვამ, ჩემი თარგმანის ერთმა პნკარმაც კი ვინმეს სიხარული ან ტკივილი მოჰგვარა, საერთოდ, სიკეთეს აზიარა, მაშინ ჩემი სარგებელიც იქნება და მისიც. ამ ორმხრივ სიხარულს

ბავშვობის თაობაზე

კი ქვეყნად არაფერი შეედრება, რადგან კაცი ბედნიერი მაშინ არის, როცა სიხარული გაზიარებულია“.

ასე ალაღადა, გულწრფელად გამოხატა ზეზვა მედულაშვილმა თავისი დამოკიდებულება მხატვრული თარგმანის დანიშნულებაზე და დარწმუნებული ვარ, სწორედ ასეთი პოზიციის გამო არაერთი სიხარული და სიყვარული სწვევია, გული გაუნათებია და დაუწინაურებია მისთვის ის ცხოვრებისეული შეჭრებები, მის არსებობას რომ დაედარა ათწლეულების განმავლობაში.

უფრო მეტიც, თითოეული ზეზვასეული თარგმანი თავად ზეზვას ამბობდა, ზრდიდა მის თვალსაწიერს, ჩამოქნიდა და ახალი ფერადებით ააელვარებდა ხოლმე მის შემოქმედებით პოტენციალს; არსენალს და გამარჯვებებისკენ ამზადებდა. სხვანაირად არც შეიძლება ყოფილიყო, თვალი შეავლეთ ომარ ხაიამის ამ სტრიქონებს:

ნამოდექ, ტურფავ, ტანი ჩვენთვის მოიღერნამე, თუნდ ერთი ნამით, ყოფა კვლავაც გაგვიერთნამე, მოგვართვი ღვინო, ჩვენც გვასვი და თვითაც იგემე, ჩვენც თიხისგან სანამ დოქად ჩამოგვეძრნავენ.

მართლაც რა ბრწყინვალედ, რა დიდოსტატურად ჩამოძერწა და ჩამოქნა ზეზვა მედულაშვილმა მსოფლიო პოეზიის კამკაშა ვარსკვლავის სტრიქონები. ამ შემთხვევაში, მარტო ის კი არ გვასხენდება, რომ ამოიგება ამოთა და ყოველივე ამო არს, არამედ ამ ამოიგებასთან შერკინების სურვილიც გვიჩნდება და, სულ ცოდილო, შეიძლება უნებლიედ მკრეხელურმა აზრმაც კი დაგვაფიქროს იმაზე, რომ წუთუ დედანშიც ასე გენიალურად უღერს ეს რობაიო.

ნახეთ, როგორ უღერს სპარსული პოეზიის კიდევ ერთი გიგანტიც, XIII საუკუნეში ვეება ვულკანურ მთასავით რომ ამოიზარდა. საადიზე მოგახსენებთ, ბატონებო.

გულო უწყოდე მეგობარი სამი ჯურისა: ერთი სულისა, ერთი - ენის, ერთი - პურისა; პურის მეგობარს პურმარლით ეცი პატივი, ენისას - ენით გაუქარვე დარდი გულისა, ხოლო მიაგე სული შენი - სულის სანაცვლოდ, თუკი ოდესმე მეგობარი ჰპოვო სულისა.

ის, რაც ამ ლექსშია ნათქვამი, კაცების, ოლონდ უპირობოდ ნაღდი კაცების რაინდულ კოდექსს წარმოადგენს. აკი ზეზვაც ამ კოდექსს იცავდა მთელი თავისი უმშვენიერესი სიცოცხლის განმავლობაში (რა თქმა უნდა, რუსთველის ავთანდილისეულ შეგონებებთან ერთად...). რაც საადის აწუხებდა ამ შვიდი უგრძესი საუკუნის წინ, აწუხებდა ზეზვასაც თუნდაც იმიტომ, როგორც საადი ეძებდა ამოდ სულის მეგობარს, ისე ზეზვასაც, ამ ბავშვობით სუფთა და უწრფელესი სულის პატრონს, უჭირდა მიღეთის ხალხში ისეთი პიროვნების გამოჩენვა, რომლისთვისაც არა „მე“ იქნებოდა მთავარი, არამედ - „ჩვენ“.

ასეთი თარგმანებითაა სავსე ზეზვასეული ჯადოქრული კიდობანი, რომელიც ჯერ კიდევ მოელის მისი ცხრაკლიტულების ამხსნელსა და ჯეროვნად დამგემოვნებელს. ათასი რამ ჩამოვთვალეთ, თუ რამ განაპირობა ზეზვა მედულაშვილის ბრწყინვალე, პირველხარისხოვან მთარგმნელად ჩამოყალიბება, ათასი რამ და მთავარი კი ჯერ არ გვითქვამს.

მთავარი კი ის გახლავთ, ბატონებო, რომ თავად იყო პოეტი, ჭეშმარიტი პოეტი, ქართული პოეზიის ქეიტკირით ჩადულაბებული პოეტი, რომლის სულ რამდენიმე შემორჩენილი ლექსი მისი ნიჭიერების ტვიფარითაა დალდასმული. ამ ლექსების ლირიკულ გმირს კი რაღაც ჯადოსნური ანდამატი ენორდა თავისკენ ბალღობის მადლით ნათელმოსილი პატარა ქოხი, მისი ოცნების თავშესაფარი, მის დალილ სულში ზღაპარივით რომ ამოიმართებოდა ხოლმე.

ამოიტუნენ ძველი ვნებანი, სული მხოლოდდა სევდით მევსება და შორეული მოლანდებანი დარიალებენ ჩემში ლექსებად.

მშობელ ქვეყნას შესცივნიუქდა, ნატურ ბურალ გულში ჩაფესვილს, ისე ღრმად და ღონივრად ჩაფესვილს, რომ მუდამ სტიქიოდა და აღონებდა მისი სამიათასწლოვანი იარები. ამირანს ეძახდა, საქართველოს დასასხნელად ეძახდა, თან ამუნათებდა კიდევ, სახელის შოვნაა ძნელი, დაკარგვა კი ადვილიო. არც საკუთარ გულს ასვენებდა, სამშობლოს ყური მიუგდე, ფეხქვეშ არ დაგიჭაობდესო...

სიყმანვილის მეტრფე იყო, როგორ ელაციცებოდა შორიდან, ყველაფრისათვის მზად იყო, ოლონდ მასთან მიახლების საშუალება მისცემოდა:

ოლონდაც, ერთხელ ის სიყმანვილ კვლავ აღსდგეს ჩემში ზათით ძველითა და გადმოიფრქვეს სული ნანვინი, ვითარცა ღვინო სანახელიდან.

თანაგრძობისა და თანადგომის დიდზე დიდი ნიჭი ჰქონდა. ისიც კი შეეძლო, შეყვარებულისგან ნალალატვე მეგობარი ქალბატონისთვის ჭრილობაზე სალბუნით დაეფინა ვარსკვლავები და დაეიმედებინა, რომ ჭაზაფხულზე ისევ აყვავდებოდა, ისევ გაჩახახადებოდა მისი გული - უმშვენიერეს ოცნებათა საუნჯე...

როგორ შეიძლება ზეზვაზე საუბარი ისე, რომ მისი იგავმიუნდენი ზეზვაურები არ ვახსენოთ, ლამის პოეზიის ცალკე ფანრად რომ ჩამოყალიბდა.

ზეზვა მედულაშვილის ფეიერვერკული სხარტი აზროვნება ასევე საოცარი, ელვისეური სისხარტით ჩამოიქნებოდა ხოლმე კაფიებად თუ ფუნაგორიებად და მხოლოდ სინათლედ, სითბოდ, სიყვარულად ეღვრებოდა მის მეგობრებსა და ახლობლებს. ნახეთ, დააგემოვნეთ და მიერე აღიარეთ, რომ მსოფლიო ჩემპიონატი რომ გამართულიყო ბლიც-კაფიების შთხზვაში, ზეზვა უპირობო ლიდერი იქნებოდა. აი რა დაუწერა ბელა შალვაშვილს:

შენი ჭირიმი, ბელაო, რო მოგვითარგმნე „შაჰ-ნამე“, ქართველ მკითხველთა თვალები ცრემლის ცვარით რომ შაჰნამე. რენე კალანდიას, აცხოონს ლმერთმა, ასეთი სტრიქონები უძღვდა: მაშინ როდესაც რენე სვამს, ერხევა რენეს რენესანსს. ერთმანეთი ვერ უცვნიათ რენესანსსა და რენესა.

არც საკუთარ თავს დააკლო. 20 დეკემბერს დაბადებულს, 19-ში ბრუნევი ჰყავდა იუბილარად, 21-ში კი - სტალინი:

ცალ მხარესა მყავს დურაკი, მეორე მხარეს - გენია, ოლონდ, მე რომელს ვეკუთვნი, ეგ ველარ დამიდგენია.

ამის დადგენა თქვენთვის მომინდვია, ბატონებო, რაც, არა მგონია, ძალზე გაგიჭირდეთ.

კითხულობ ზეზვა მედულაშვილის ლექსებს და გრძნობ, როგორ ძალდაუტანებლად ივსება შენი სული ფერადოვანი სევდით. ამ სევდას კი იმის შეგრძნება იწვევს, თუ რა მშვენიერი პოეტი ეყოლებოდა ქართულ მწერლობას, ზეზვას მთარგმნელობისათვის რომ არ მოეკიდა ხელი.

ის კი არა, ჩინებული მკვლევარი იქნებოდა, რამდენი შრომა შეაღია საიათნოვას შემოქმედების კვლევას, მოიარა იმდროინდელი ლენინგრადის, ბაქოს, ერევნის ხელნაწერთა ინსტიტუტები, მიაგნო ზღვა მასალას, უაღრესად საინტერესოსა და მნიშვნელოვანს, მაგრამ...

მისგან დიდებული რუსთველოლოგიც დადგებოდა. აკი ზედმინენით სიღრმისეულად იცნობდა „ვეფხისტყაოსნის“ სამყაროს, მის შრეებსა და იდუმალ ზეულებს. არაა შემთხვევითი, რომ ზეზვამ ფასდაუღებელი სამსახური გაუნია პოემის სომეხს და აზერბაიჯანელ მთარგმნელებს.

კიდევ ბევრის თქმა შეიძლება ზეზვა მედულაშვილზე - პოეტზე, მთარგმნელზე, ერისკაცზე, მეგობარზე...

მოკლედ ვიტყვი: მისი დიდი გული, მზესავით ვეება გული, მისი სიყვარული და სიკეთე დაგვედარება წუთისოფლის უღრანებში ხეტიალისას.

ზაალ ზოტკოვილი

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქციას!

ქვირფასო ბატონებო, მადლობას მოგახსენებთ ყურადღებისთვის. გავცანი თქვენ მიერ, გამოგზავნილ შეკითხვებს და შევეცადე, გულწრფელი პასუხი გამეცა.

პატივისცემით
დათო მალრაძე
12.XII.2021

– ბატონო დათო, იქნებ, უფრო ვრცლად (სიტყვაბარაქიანად) თქვათ თქვენს „ბარაქიან მინაზე“.

– დავინყებ იმით, რომ ჩემი პოემა – „ბარაქიანი მინა“ ეძღვნება დიდი ქართველი მწერლის ოთარ ჩხეიძის ნათელ სსოვნას, ვინც სხვა შედევრულ ტექსტებთან ერთად ტომაზ სტივენს ელიოტის „ბერნი მინის“ ქართული ვერსიაც გვისახსოვრ.

როგორც ელიოტი უძღვნის თავის „ბერნი მინას“ ეზრა პაუნდს და იქვე აღნიშნავს, რომ მასზე უფრო მაგარ ოსტატს ეძღვნება მისი პოემა, სწორედ ამ ლოგიკით მივუძღვენი ჩემი პოემა ბატონ ოთარ ჩხეიძეს და კიდევ იმიტომაც, რომ მსურდა, მამების თაობის მიმართ ჩემი პატივისცემა გამოემხატა, მათი ღვაწლი აღმეწინა და დამეფასებინა...

ჩემთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ის, რომ საზოგადოებისათვის ნებისმიერი სიხლის შეთავაზება ძველის აღიარებით დაიწყოს.

ელიოტის „ბერნი მინა“ უნაყოფობით შეწუხებული ავტორის განცდაა, როდესაც უნაყოფოა მინაც, უნაყოფოა მეფეც და ა.შ. მე, როგორც სამხრეთული ემოციის კაცმა, ამ უნაყოფობაში მოვისაკლისე თავგანწირვის ვენება და გამიჩნდა სურვილი საკუთარი თავშეწირვით მომეყვანა წვიმა, ან, როგორც ვაჟა იტყობდა, თავად მოვსულიყავი წვიმად, რათა დამესრულებინა გაუსაძლისი გვაღვა, გაუთავებელი მოლოდინი წვიმისა და მიმეცა მუხტი ახალი სიცოცხლისათვის.

ერთი სიტყვით, შეიძლება თქმა, რომ ჩემი „ბარაქიანი მინა“ ერთგვარი ექთა ელიოტის „ბერნი მინის“, რომელიც 100 წლის შემდეგ გაისმა.

„ბარაქიანი მინას“ საფუძვლად უდევს გუსტავ მაღერის „მინის სიმღერის“ ექვსნაწილიანი სიმფონიის არქიტექტონიკა.

როგორც ცნობილია, მაღერმა რიგით მეცხრე სიმფონიას არ დაარქვა მეცხრე, რადგან ბეთჰოვენის და შუბერტის ფიზიკური აღსასრული სწორედ მეცხრე სიმფონიის დასრულებას დაემთხვა. ამიტომ უწოდა მაღერმა თავის რიგით მეცხრე სიმფონიას „მინის სიმღერა“ და ამიტომ და არა მარტო ამიტომ შეეცხმინა „მინის სიმღერას“ „ბარაქიანი მინით“.

„ბარაქიანი მინა“ დაწერე მოქალაქეში ადამიანის გადასარჩენად.

ღირებულებითაა კრიზისმა, როდესაც საყოველთაო ტენდენცია მიმართულია იქით, რომ ადამიანი დარჩეს კარგისა და ცუდის გარჩევის გამოცდილების გარეშე. გამიჩინა განზრახვა, მოქალაქეში ადამიანს გამოეყარა რეალობა.

ჩემი თვალსაწიერიდან ასე ჩანს, რომ სამოქალაქო შეგნების ჩამოყალიბებას საუკუნეები დასჭირდა და XXI საუკუნეში უკვე ადამიანს გაუჭირდა მოქალაქეში და თანდათან იწყო მასში გაქრობა. თითქოს თანამედროვე სახელმწიფოს ადამიანი აღარ სჭირდება. ტრადიცია, როგორც ასეთი, პროგრესის მუხრუჭად მოინათლა. გუსტავ მაღერის ფორმულა, რომ ტრადიცია ცეცხლის გადაცემაა და არა ფერფლის თაყვანისცემა, თანამედროვე საზოგადოების ყურადღების მიღმა დარჩა. ადამიანის თვისებები, როგორც არის თანაგრძობა, თანადგომა, გულისხმიერება, ჭირისუფლობა, თუ დღესასწაულის გაზიარება, თითქოს ზედმეტი გახდა. საქმე იქამდეც მივიდა, რომ სიტყვა „შობაც“ მოიზედმეტა ევროკომისიამ, რასაც რომის პაპის ევროკავშირისადმი, მე ვიტყვოდი, გვირული მიმართვა მოჰყვა.

გმირულს ვამბობ, რადგან პაპმა ფრანცისკემ ამ მიმართებით ფსევდოპოპულარული პოლიტიკონიუნქტურის ღვარცოფის წინაშე დაიყენა თავი. მან აღნიშნული ღირებულებებით კრიზისის ტენდენციას იდეოლოგიური კოლონიზაცია უწოდა.

ევროპა, რომლისკენაც ჩვენ ვისწრაფვით, ვფიქრობ, პაპის მსოფლმხედველობაში უფრო ირეკლება, ვიდრე ევროკავშირის ბიუროკრატიის პოზიციამ.

მეჩვენება, რომ ერთადერთ „ღირებულებას“, რასაც მთარული ტრენდი აღიარებს, ეს



...ჩვენ თავისუფლებათაში ვიბრძობით და ვიბრძობით, და არა ბატონის სვლიანობისთვის

არის უპატივცემულობა. ოღონდ ამ „ღირებულებასაც“ ცალმხრივად აქვს ეფექტი. ამ ტრენდის მიმდევარი, ზნეობრივი თვალსაზრისით, კაცობრიობის მონაპოვარს არ სცემს პატივს. აგრეთვე, ვისთვისაც ეს მონაპოვარი ძვირფასია, არც მათ სცემს პატივს, მაგრამ მისი ამ უპატივცემულობის ცალმხრივობა იმაში მდგომარეობს, რომ სხვათაგან, მისი უპატივცემულობის პატივისცემას მოითხოვს. ასე იკვეთება, რომ „პროგრესისტს“ უპატივცემულობაზე აქვს ექსკლუზივი. აშკარა ცდილობაა, რომ კანტისეული „ზნეობრივი კანონი ჩემში“ ჩანაცვლდეს დოსტოევსკისეული „თუ ღმერთი არ არის, ყველაფერი ნებადართულია“.

შთაბეჭდილება მექმნება, რომ თუ მდინარეს ბავშვი მიაქვს, ენჯელების უმეტესობა ბრიფინგებზე მდინარის უფლებებზე ალაპარაკდება.

სწორედ ამ ფიქრებში და ემოციებში ჩანსაბა „ბარაქიანი მინის“ იდეა.

ბავშვის საშველად მდინარეში ისე გადავხტი, რომ ისიც ვიცოდი, მოსამართლე გამამტყუნებს და მეტყვის, რომ მდინარის ამ მონაკვეთზე წყალში შესვლა აკრძალულია.

მოქალაქეში ადამიანის გადასარჩენად, – ჩემმა ამ ფრაზამ განაპირობა პაპთან შეხვედრა.

პაპი ფრანცისკე იმ ძალზე მცირერიცხოვან ადამიანთა კრებულს ეკუთვნის, ვისაც შეუძლია, შენში ძემცედომილის ემოცია აღძრას, მასთან შეხვედრამ რემბრანდტის „ძემცედომილის დაბრუნება“ გამახსენა. აღმსარებლობას არ ვგულისხმობ, მისი პიროვნული ღირსების ხაზგასმა მსურს, რადგან ეს ის შემთხვევაა; როცა უკიდევანო თავმდაბლობა და სათნოება განადიდებს ადამიანს.

– ახლა რას საქმიანობ, რა გეგმები გაქვთ? – განერილი გეგმები არასოდეს მქონია, რასაც სამყარო მთავაზობს, მადლიერებით ვიღებ და წუთისოფელს ვეთანამშრომლები.

შობა ახლოვდება... ვნერ „პოეტის საშობაო ეპისტოლეს“, რომელიც რეზო გაბრიადის სსოვნას ეძღვნება და ამ ლექსის პრეზენტაცია მის თეატრში შედგება.

ახლახან დავამთარე ნერილი დოსტოევსკის 200 წლისთავთან დაკავშირებით და უკვე დაიბეჭდა საიუბილეო კრებულში, რომელიც რუსული ლიტერატურის ინსტიტუტმა შეადგინა, სადაც მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყნის თანამედროვე მწერლები არიან წარმოდგენილი.

ეთანამშრომლობ დანტე ალიგიერის საზოგადოებასთან რომში, რომელმაც დანტეს ოქროს მედლით დამაჯილდოვა და პოეტის 800 წლისთავის საიუბილეო საბჭოს წევრობის პატივი მომავა.

ემუშაობ თურქ პოეტებთან „ბარაქიანი მინის“ თურქულ ვერსიაზე.

დასრულდა „ბარაქიანი მინის“ ესპანური თარგმანიც და იმედო მაქვს, ესპანელ გამომცემლებთან მალე შედგება კონტაქტი.

ახლახან ნიგნის მაღაზია „ბიბლუსი“-ს ქსელში შევიტანე ჩემი ახალი ნიგნი „მეტაფორა“, რომელიც გამომცემლობა „პალიტრა L“-მა გამოსცა.

– რა როცა განსაზღვრავთ კაცის გასახელებულ ზღას – „მამის სახლიდან მამის სახლისკენ“?

– „მამის სახლიდან მამის სახლისკენ“, – ასეთია კაცის გასახელებული ზღის ჩემეული განსაზღვრება.

მე მამის სახლში აღვავლენ ლოცვას, მაინც რა არის ეს მამის სახლი... მარადიული სიძველე როცა მარადიული განცდაა ახლის.

უნდა წახვიდე მამის სახლიდან, რომ მთელი შენი ცხოვრებით დაბრუნდე. მე ნავედი მამის სახლიდან და მას მერე უკან ვბრუნდები... ნავედი მამის სახლიდან და თან ნავეცილე ჩემი ბავშვობა. ბავშვობაში სათამაშო მშვილდით გატყორცნილ ისარს მივდექ და მჯერა, რომ ეს ისარი მამის სახლში დამაბრუნებს.

...სანდახან ხუმრობით მითქვამს, რომ ნახევარი დასავლეთევროპული ლიტერატურა ჩემი ბავშვობის სახლშია ნათარგმნი.

მამაჩემის და მამიდაჩემის, – ელგაჯა და თამარ მალრაძეების მიერ არის ნათარგმნი ინგლისურიდან ქართულად პირველი ევროპული რომანი – „მეფე არტურის ზეობის ამბავი“. ასევე „უთაგო მხედარი“, „თეთრი ბელადი“, „კაპიტან ბლადის ოდისეა“, „შერლოკ ჰოლმსი“, „დორიან გრეის პორტრეტი“, „დიდი სახლის პატარა დიასახლისი“ და კიდევ ბევრი მნიშვნელოვანი ნიგნი.

მასსოვს, მამაჩემი და ბატონი ვახტანგ ჭელიძე რომ თარგმნიდნენ გოლზუორთის „ფორსაიტების საგას“ და საღამოთი ხშირად ჩვენთან ვახსობდნენ.

როცა დავეწერე, რომ „სამი რამ აკლია სამყაროს: ცას კიბე, ზღვას ხიდი და ეპოქას რედაქტორი“, რედაქტორში სწორედ ძვირფას ვახტანგ ჭელიძეს ვგულისხმობდი.

როცა მამა წუთისოფელს განემშორა, მე არ მიზრუნია მისი სსოვნის განსაზღვრება, როგორც ჩვენში ხშირად ზრუნავენ ოჯახის წევრები, როცა ცნობილი კაცი ამ ქვეყნიდან მიდის. ერთადერთი, მერიის გადაწყვეტილებით ჩემი ბავშვობის სახლის სადარბაზოზე, ყაზბეგის ქ. №14-ში გაჩნდა თეთრი მარმარილოს მემორიალური დაფა. ეს იყო და ეს... და როდენ სასიხარულო იყო ჩემთვის, როცა გამომცემლობა „პალიტრა L“-მა საკუთარი ინიციატივით ქართული პროზის საგანძურის სერიით გამოცა მამას მონოგრაფია – „გრეგოლ ორბელიანი“.

– რა აზრის ხართ თანამედროვე პოეზიაზე და საერთოდ, პოეზიის დანიშნულებაზე?

– რაც შეეხება თანამედროვე ქართულ პოეზიას, შეფასების პრეროგატივა კრიტიკოსებისთვის დამითმია.

ზოგადად, პოეზიის მისიის შესახებ ვიტყვი: ღმერთმა შექმნა ადამიანი. სახელმწიფომ შექმნა მოქალაქე.

პოეზიის დანიშნულება მოქალაქეში ადამიანის გადარჩენაა.

როგორც წვეთში ოქვანე უნდა გადარჩეს, როგორც ნაშში მარადისობა, ისე მოქალაქეში – ადამიანი.

ჩემთვის პოეზია ისეთივე საიდუმლოა, როგორც ზიარება. როგორც ევქარისტიის დროს პური და ღვინო გადაიქცევა ქრისტეს სისხლად და ხორცად, ისეთივე საიდუმლოა უბრალო სიტყვების გადაქცევა ლექსად.

...როცა პოეტი სუნთქავს, შესაძლოა, რომ ნემსის ყუნწშიც ტრიუმფალური თაღი გაიხსნას.

აი, სტროფი ჩემი ახალი „პოეტის საშობაო ეპისტოლედან“:

ფანჯრის რაფანჯარა ჩემს ხელს უკლავს
ვანდობ და ვიტყვი:

– მინყალე, ზისტერა!
...სიტყვები ლექსად იქცევი, როგორც

პური და ღვინო იესო ქრისტედ.

– გავუროთ ცოტა პოლიტიკაც, როგორ ხედავთ რეალურ და პარალელურ საქართველოს?

– ვფიქრობ, რომ სახელმწიფო ვექტორი ბოლო ხანს წრდილოეთისკენ კი არა, დამოუკიდებლობისკენ გადაისარა, რასაც მივესალმები. მოუხედავად იმისა, რომ სტრატეგიულ პარტნიორებთან ურთიერთობა და თანამშრომლობა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ჩვენთვის, ვფიქრობ, ყველას უნდა შევასხენოთ, რომ ჩვენ თავისუფლებისთვის ვიბრძოდით და ვიბრძობით, და არა ბატონის ცვლილებისთვის.

შთაბეჭდილება მექმნება, რომ არსებობს რეალური და პარალელური საქართველო. რეალურში ისტორია თავის გზით მიედინება, პარალელურში ისტორიის ნაცვლად ისტორიაა. რეალურში ისტორიას ისტორიკოსები წერენ, პარალელურში ისტერიკოსები.

პარალელურ საქართველოში რუსეთის ომი მოფუგვით და მამა-ზე უკეთესიც მივიღეთ, პარალელურ საქართველოში დავითა გარეჯა საქართველო არ არის. პარალელურ საქართველოში ქართველი ოლიმპიელების გამარჯვებაც აღიზიანებთ და ა.შ.

ასეთი მოცემულობა ბევრმა რამემ განაპირობა, მათ შორის იმან, რომ ჩვენში ინფორმირებულობა განათლებაში ვერ გადადის. ამას სულიერი ხერხემალი, კულტურა სჭირდება, რისი ნაკლებობაც თანამედროვე საქართველოში გვაქვს. შესაბამისად, არც ქართველი გადადის გამოცდილებაში, რადგან მხოლოდ განათლებულ და კულტურულ საზოგადოებას აქვს ქართველის გამოცდილებაში გადატანის უნარი.

საზოგადოების ჩემეული ფორმულირება ასეთია, – საზოგადოება მოსახლეობის ის ნაწილია, ვინც განსაცდელის დროს ღირსებას ინარჩუნებს.

ვფიქრობ, მოსახლეობის პოლარიზაცია საქართველოში XX საუკუნის 20-იანი წლებიდან დაიწყო, როდესაც მაშინდელმა „პროგრესისტმა“ სოციალ-დემოკრატებმა ხალხი არისტოკრატის წინააღმდეგ განაწყვეს და გააქეხეს. შემდეგ უკვე ინტელიგენციის წინააღმდეგ შემართეს მოსახლეობა. შემდეგ „ჩარცხილებს“ დაუბრისპირეს თანამედროვე „პროგრესისტები“.

ეს დაპირისპირება, შესაძლოა, ასე ფორმულირდეს:

– მოსახლეობა საზოგადოების წინააღმდეგ. მოსახლეობას აქეზებენ, რომ საზოგადოებას ზნეობრივი სასამართლო მოუწყოს.

ცხადია, ზნეობრივი უმანკოებით არც არისტოკრატია გამოირჩეოდა და არც ინტელიგენცია, მაგრამ ისეთი აგრესია, როგორც მათ წინააღმდეგ მოსახლეობაში გააღვივეს, საშოქალაქო შეგნების დაბალ საფეხურზე მტყვევლებს.

გარეთ XXI საუკუნეა და ჩვენ კალენდართან აღმოგჩნდით კონფლიქტში. პოლარიზებული მხარეები რომ თანაცხოვრების კულტურას შეურიგდნენ, პირველ ყოვლისა, კალენდართან უნდა შევრიგდეთ.

პირადად ვინ ვის შეურიგდება და ვინ ვისთან გატეხს პურს, ეს ყველა ჩვენგანის ინდივიდუალური არჩევანია.

მთავარი ის არის, რომ დიდი შერიგება უნდა მოხდეს კალენდართან და კანონთან. ხელისუფლებას მოქალაქეების გრადაციის უფლება არა აქვს. მან უნდა უზრუნველყოს მოქალაქეთა თანასწორობა კანონის წინაშე, ეს მისი ვალდებულებაა.

როგორც ღვთის წინაშე ვართ თანასწორი, ასევე უნდა ვიყოთ კანონის წინაშე.

ღვთის წყალობით საქართველოში ის ხალხიც არსებობს, ვინც მზეს გაღვიძებას ასწრებს, ვახს უვლის, მტევანს წურავს და მსოფლიოს საუკეთესო ქართულ ღვინოს სთავაზობს. ვინც ზორბალს თესს, თონეში პურს აკრავს და თბილისური სარდაფიდან პურის სურნელს აფრქევს, ვინც ვირუსით დაავადებულს ღამეს უთევს, ვინც ქართულ ხელნაწერს სულს უებრავს, რომ მტვერი არ დაედოს... ასეთ ხალხზე დგას საქართველო...

პოეტს რედაქციის შეკითხვებზე პასუხის გაცემა სთხოვა

გურამ გოგიაშვილი
„საქართველოს რესპუბლიკა“, №213



თაიშურაზ ფანჯიჩიძე

24 სექტემბერი, 2021
მეშურები

ბავშვობაში ბევრი თამაში ვიცი- დით და იმით ვერტოობოდი. ერთ ასეთ თამაშს ხუთკენჭობა ერქვა, რომლის აზრი ასეთი იყო: ამოვ- თნობდით პატარა ორმოს, მოვინ- ხავდით ხუთ კენჭს და გარკვეული მანძილიდან ვესროდით.

ვინც ხუთი კენჭიდან ხუთივეს მოათავსებდა ორმოში, თამაშის წეს- ბის მიხედვით, მეფე ხდებოდა, ვინც ოთხს – ვეზირი, ვინც სამს – ცხენი, ვინც ორს – ვირი, ხოლო ვინც ერთს ჩავაგდებდა – მაკურეპალი.

როცა როდელი განაწილდებოდა, მეფე მოაჯდებოდა ცხენს, ხოლო ვეზირი ვირს და ინყებოდა მათ შო- რის ქიადობა, ვინ ვის ჩამოაგდებდა, მაყურებლის ფუნქცია კი მხოლოდ ამ სანახაობის ყურებით შემოიფარ- გლებოდა.

ჩვენ სულ ხუთნი ვიყავით. მე ყველაზე პატარა ვახლდით. ამი- ტომ არც ცხენად და არც ვირად არ გამოვადგებოდი. ჩემი ასაკის გამო, არც მეფედ და არც ვეზირად მო- მიაზრებდა ვინმე. ამიტომ ჩემთვის მაყურებლის სტატუსი წინასწარ განსაზღვრული და გამოწერილი ვახლდით. ვადევნებდი თვალს უფ- როსებს თუ როგორ წიადობდნენ და ვინ ვის ჩამოაგდებდა ცხენიდან ან ვირიდან. თუ ვეზირი ჩამოაგდებდა მეფეს, უმაღლესი ხელისუფალი, ხელმწიფე თვითონ ხდებოდა.

მე კი ვეყურებდი და ვეშუ- რებდი. ვხედავდი, რომ ხან მეფე იმარჯვებდა, ხან კი ვეზირი. შედეგი ბევრად იყო იმაზე დამოკიდებული, ცხენი ან ვირი როგორ გამოვლენ და ღონიერი მხედვებოდა.

როცა ვავიზარდე, მეფედ და ვეზირად ისევე არავინ ამირჩია, ვი- რად და ცხენად ყოფნა თვითონ მე არ მიხდოდა და ვაფრჩი ასე ისევე მაყურებლია...

ღმერთო, არ ვიცი, ბავშვობა და ეს ხუთკენჭობა რალამ გამახსუ- ნა? ყველაფერი, ალბათ. ცხოვრების უკუღმართობის და ამ გზაუღლებე- ლი წვიმის ბრალია...

22 სექტემბერი,
2021 ცეცხლი

გადაუღებლად წვიმს. ნისლი ღამის სახლში შემომივარდეს. ცი- ვა. ლუმელთან (ყენსის „ფერთან“, ბუზარი არა მაქვს) ვარ მიმჯდარი, ახლოს მიფიცხებული და ვთბები, „დუხოვკაში“ კარტოფილი მაქვს შეყრილი და მის შენვას ველოდები. შშია, ცხადია, ექსპობი. დრო- დადრო შეშას ვუმატებ, რომ ცეცხ- ლი არ ჩაქრეს. ლუმელი მეტად სა- ხამოვნო სითბოს გამოცემს.

ცეცხლზე ვფიქრობ: რა ვიქნე- ბოდით მის გარეშე, როგორ ვიარ- სებდებით ან როგორ ცხოვრობდნენ ადამიანები მის აღმოჩენამდე?

ზაფხულის ჩანაწერები

ის საზიზღარი ანტიკური ღმერ- თები: ზევისი, პოსეიდონი, ჰადესი თუ სხვები რომ იყვნენ, რატომ ვერ იმეტებდნენ მას ადამიანები- სათვის? ან ის ღვთისნიერი კაცი, პრომეთეოსი თუ ამირანი, ჩვენთვის ცეცხლის გადმოცემისათვის რა- ტომლა დასაჯეს ასეთი საშინელი სასჯელით?

ისე, წარმოიდგინეთ, მართლა რა ვიქნებოდით ცეცხლის გარეშე? ამნუთას ძალიან მშია და, საქმელის გარდა, ვერაფერზე ვფიქრობ: ვერც მწვადს შევწავდით, ვერც ხაშლამს მოვხარშავდით, ვერც ღოს, ვერც ნაირ-ნაირ ხაჭაპურსა და ლობი- ანს (არ გამომჩრეს, შინიც რაჭვე- ლი ვარ) გამოვაცხობდით, ვერც ამ კარტოფილს შევწავდით, ახლა ჩემს „დუხოვკაში“ რომ ყრია.

ამნუთას ამის იქით ჩემი ფან- ტაზია არ მიდის, თორემ ცეცხლზე რალა არ შეიძლება დაამზადო?!

ცეცხლი? – აუ, მართლა რამ- ხელა სიკეთეა (ხანძრებზე და სხვა უბედურებებზე არაფერს მოგახ- სენებთ, რადგან წყალდიდობების გამო წყალზე ხომ არ ვამბობთ უარს?!).

კი, ცეცხლის მოპოვება ადრე, ველურები რომ ვიყავით, ძალიან ჭირდა. ხომ გინახავთ, რამდენ ხანს უხახუნებდნენ ველურები ხის ნაჭ- რებს ერთმანეთს, რომ ნაპერწკა- ლი გაჩენილიყო. მე მოვესწარი იმ დროს, როცა კვესს, კაუს და აბებს ხმარობდნენ ჩიბუხში თუთუნის (თამბაკის) მოსაიდებლად.

ახლა რაა, გაკარი ასანთი და მორჩა. ასანთის კოლოფში 60 ლე- რია ხოლმე, კომუნისტების დროს კოლოფი ერთი კაპიკი ღირდა და ამ ერთ კაპიკად 60-ჯერ შეგეძლო ცეცხლის მოპოვება (ამის მხახველი ხომ გააფიქვებდნენ ველურები!), სანთებლებზე აღარაფერს ვამბობ, წამდაუნუმ რომ არჩაქუნებენ და სიგარეტს უკიდებენ მწველები.

მართლა კარგი და ძვირფასი რამეა ცეცხლი, განსაკუთრებით მაშინ, როცა გცივა და იყინები. ცეცხლი გათბობს, გამშვიდებს და ფიქრისათვის განგანყოფს, ლუმელში ფიქრის ტაკატუკუცი კი ჩაძინების საშუალებას არ მოგცემს.

მოიცადეთ, „დუხოვკიდან“ უკვე სასიამოვნო სუნი მოდის, ალბათ, კარტოფილი საკმარისად შეინვა. ახლა მთავარია, მარილი შეინახო. უმარილოდ წამდვილად არ ივარ- გებს.

გამიმართლა – კარტოფილი ძა- ლიან გემრიელი აღმოჩნდა. კანს ვაცლი, ჭამას ვინყებ, ცხელია, პირს მწვავს, მაგრამ არ ვუბუები და მა- ინც სიამოვნებით მივირთმევი!..

ღმერთო, ზოგჯერ რა ცოტაა საკმარისი იმისათვის, რომ ადამიანი კმაყოფილი იყოს!..

18 სექტემბერი, 2021
რატომ გრძნობს ადამიანი თავს კარგად გუნებაში?

ამ კითხვას ჯერ კიდევ ახალგაზ- რდობაში წავანყდი. მგონი, სულაც ფრიდრიხ ნიცშესთან ამოვიკითხე- პასუხი კი, როგორც მახსოვს, ასე- თი იყო: ბუნებაში კარგად გრძნობ თავს, რადგან იგი არ განუხებს, არ გორგუნავს, არ შეგაფასებს, არ დაგზრახავს, არც შენს საქციელს განსჯის, არც მოგიწონებს და არც გისაყვედურებს. მგონი, ასე იყო – კარგად აღარ მახსოვს...

მამინ ამ ფრაზებისათვის დი- დი ყურადღება არც მიმიქცევია, რადგან ძალიან ახალგაზრდა ვი- ყავი, სამყაროს ფერად ფერებში

ვხედავდი, ფერად სიზმრებსაც ვნახულობდი, ირგვლივ ყველა ახ- ლობელი ცოცხალი და ჯანმრთელი მყავდა, ცხოვრება თითქოს მილიმო- და, უკეთეს მომავალს მიმრდებოდა, მთლად გონჯი არ ვიყავი და ისედაც კარგად ვგრძნობდი თავს... და არა მარტო ბუნებაში...

მერე, დრო და ჟამი რომ გავიდა, ცხოვრებამ ბევრი მატარა და ბევრი მკაცრი გამოცდაც ჩამიტარა. უკვე აღარ ვიყავი ისეთი გამოუცდელი და გულუბრყვილო, როგორც ად- რე, და ამ საკითხსაც სხვანაირად შევხედე.

ახლა ვზივარ დაცარიელებულ სოფელში, განმარტოებული ბუ- ნების მწვანე უსასრულობაში და ბევრი ფიქრის, განსჯის, დასკვნე- ბის გაკეთების დრო და საშუალება მომეცა.

რაც უნდა ვთქვათ, ბუნება მარ- თლაც არ გვაქცევს ყურადღებას, მისთვის სულერთია: მიდიარე ხარ თუ ლარიბი, მოხუცი ხარ თუ ახალ- გაზრდა, ქალი ხარ თუ კაცი, კარ- გად გაცვია თუ ცუდად, ჭკვიანი ხარ თუ სულელი, ნიჭიერი ხარ თუ უნიჭო, წარმატებული თუ ხელმო- ცარული, თმები გაქვს თავზე თუ მთლიანად მელოტი ხარ...

თუ ცხოვრებამ არ გაგიმარ- თლა, ბუნება არ გისაყვედურებს, რატომ ვერ მიღწევი წარმატებასო. არ შეგანუხებს თავისი ემოციებით, სურვილებით, უაზრო ეთხვებით. იგი სრულიად ინდიფერენტული და გულგრილია შენ მიმართ და არც თავისი არსებობით მოგაბუზრებს თავს.

ახლა, ამნუთს, საოცარი სიჩუ- მეა, ირგვლივ დიდი სილამაზეა. ვდგავარ ამ სილამაზეში მარტო. სულსა და გულს უხარია, რომ თავს არავინ მამბუზრებს, არავინ მანუ- ხებს, არავინ დამცინის, არავინ მიკლავს და მკიცხავს.

რაც მთავარია, არც იმას მი- საყვედურებს, ბილ გეთისივით ან სხვა მილიარდერებვით მიდიარი რატომ არა ვარ; არც იმას, დიდი მწერალი, მხატვარი ან კომპოზი- ტორი რატომ ვერ გამოვედი; ვერც იმას, კინოვარსკვლავივით რატომ ვერ გამოიყურებდი, არც იმისთვის დამზრახავს, რომ დროდადრო ზარ- მაცი ვარ და ყველაფრის კეთება მეზარება...

ვიცი, კარგად ვიცი, რომ ბუნება არც ჩემს განცდას, არც სიხარულსა და ტკივილს არ შეიგრძნობს; არც ჩემი მწუხარებისა გაეგება რამე- არის თავისთვის და ჩემს არსებო- ბას ვერც ამჩნევს. მე კი მასთან ერთად ყოფნა მაინც ძალიან მომ- ნონს და მიხარია, რადგან აქ მაინც, ამ ერთადერთ ადგილას სამყარო- ში, სადაც არავინ არ არის, არა- ვინ მანუხებს, არავისზე არა ვარ დამოკიდებული, დამაგრულად და დამცირებულად არ ვგრძნობ თავს...

უპ, შექსპირი რომ იტყოდ: „ბევრი რამ არის, ჰორაციო!“

ჩემი რჩევაა: ხშირად მიმართეთ ბუნებას! მერნმუნეთ, ბევრად უკეთ იგრძნობთ თავს! იგი კაცობრიო- ბის უკუღმართობის, ბედის ცუდად ტრიალის, შურისა და ბოროტებისა- გან ნაწილობრივ მაინც დაგიცავთ და დაგიფარავთ!..

13 სექტემბერი,
2021 ყვავილები

უფლის ქმნადობის ერთ-ერთი ყველაზე მეტად მშვენიერი და იდუ- მალი პროდუქტი სწორედ ყვავილე- ბია, რომლითაც მან მოხატა, მო- ქარგა, გაალამაზა ბუნება, გარემო და ისინი ადამიანებს აჩუქა ზეიმისა თუ გლოვის გამოსახატავადაც.



ფოტო – ჩემი მეუღლის, ნათელა ანდრაზაშვილის.

არ ვიცი, თავდაპირველად რო- მელმა სუსტმა არსებამ ამოხეთქა და ამოყო თავი მიწიდან, მზეს და სითბოს როგორ მიესალმა, მორცხ- ვად თავი როგორ დახარა, მაგრამ ამის შემდეგ ყვავილთა მრავალ- მა სახეობამ იმდღავრა, იმრავლა ქვეყნად და ყველგან დამკვიდრ- და, მთლიანად დაფარა დედამიწა. მათ გარეშე ჩვენს საცხოვრისს თუ ირგვლივ გარემოს ეშხი, ლაზათი, ხიბლი აშკარად დააკლდებოდა და დაეკარგებოდა.

ბუნებრივ ყვავილებს მოჰყვა სხვადასხვა გზით შექმნილი და გამოყვანილი ყვავილები. მათით შემკული და გალამაზებული გზე- ბი, მოედნები, ბალები, ეზოები თუ შენობების ფასადები.

ადამიანთა დიდ უმრავლესობას ძალიან მოსწონს და უყვარს ყვა- ვილები, მათ მოვლასა და მომრავ- ლებას საკმარ დროსა და ადგილს უთმობს. ცხადია, მათ გარეშე სახ- ლებშიაც ვერ გადაიან იოლად.

ყვავილებით არა მარტო უბრა- ლო ადამიანებს, არამედ თვით ყველაზე უფრო გულქვა, სასტიკ მმართველებსაც უყვარდათ. ვერა- ფერს გეტყვით, უყვარდა თუ არა ყვავილები ვთქვათ ჩინგიზ ხანსა თუ თემურ ლენგს, მაგრამ, სტა- ლინს რომ უყვარდა, ამაში ეჭვიც არ გვეპარება. გაიხსენეთ თუნდაც მისი „ვარდს გაეფურქვნა კოკორი, გადახვეოდა იასა!..“

რალა დაგიმალეთ და მეც ძა- ლიან მიყვარს ყვავილები, დავაზუს- ტებ: მხოლოდ ცოცხალი ყვავილები. არაფრით არ შემიძლია ვუცქირო მოწყვეტილ, ფაქტობრივად უკვე მკვდარ ყვავილებს, რომელთაც თა- იგულად (ბუკეტად), გვირგვინად კრავენ ან საყვავილეთი ათავსებენ. ყველაზე საშინელი მაინც, ჩემი აზრით, საფლავზე დატოვებული გვირგვინები მგონია, რომელნიც გახმობისა და ნავად ქცევისათვის გაინირნენ...

გიყვარდეთ, მოუარეთ და მო- უფერეთ ყვავილებს – ისინი გა- გაადვილებენ და გაგილამაზებენ ყოველდღიურ ცხოვრებასა და ყოფას, მოგიტანენ სიმშვიდესა და სიხარულს!

სურათზე: სოფლად ჩემი რძლის – ლია ანდრონიკაშვილის დარგული თუ დათესილი მიწდერის ყვავილე- ბია, რომლებზემაც ახლალა იყვავო- ლეს, გაიფურქვნენ და გალამაზდ- ნენ. მათ ცოცხალი ადამიანებივით ყოველ დილას ვესალმები, საღამოს კი ვემშვიდობები იმის შიშით, რომ ხვალ უკვე ასეთი სახით აღარ დამ- ხედებინან.

რა ვენა, ვერაფრით ვერ ვეგუ- ები ყვავილთა ასეთ ხანმოკლე სი- ცოცხლებს და სწრაფწარმავლობას.

თუ რა შექვიან ან სადა ვერ ვიცი, არიან ეს ყვავილები, არც ეს დროა (გებუ მიკარნასევი)

24 აგვისტო, 2021
მამის ქუდი

მამა 1989 წელს გარდამეცვალა, დედა ორი წლის შემდეგ, ორივენი 83 წლისა იყვნენ, აღარც მე ვიყა- ვი პატარა, მაგრამ ძალიან განვი- ცადე – მათ წასვლას ვერაფრით ვერ შევეგუე და დიდხანს ვოგლოვე- ძნელია უმშობლებოდ, მათი დიდი ზრუნვის, სიყვარულის და სითბოს გარეშე ცხოვრება ამ მკაცრ, უსულ- გულო სამყაროში.

მას შემდეგ დიდი დრო გავიდა, მაგრამ მოგონებები იმ ბედნიერ დროზე, როცა ისინი ცოცხლები და ჯანმრთელები იყვნენ, დღემდე მომდევს და ბედნიერი ვარ, როცა სიზმრებში ვხედავ, თუმცა ეს ძა- ლიან იშვიათად ხდება.

რაჭაში, სოფლად, სადაც ყვე- ლას უზომოდ გვიყვარს ჩასვლა, სახლში, ზუსტად ჩემი სანერი მა- გიდის თავზე, მამის ძველი ჩაღის ბანტიანი ქუდი ეკიდა. რითაც იგი ზაფხულის სიცხისაგან თავს იფა- რავდა. მისი გარდაცვალების შემდეგ დროთა ვითარებაში ქუდი მოძველ- და, მოიჭმუჭუნა, კარგად აღარ გა- მოიყურებოდა, მაგრამ მას ადგილს არ ვუცვლიდი. ის ჩემი სიყვარული, იმედი და ჩემი მფარველი იყო. და, თუ რაიმეს ვაკეთებდი ან რაიმეს ვნერდი, აუცილებლად ზევით ავიხე- ვადდი, თითქოს მამას აზრს, ჭკუას, რჩევას ვეკითხებოდი, მის თანხმო- ბას და მონონებას ველოდი.

მიყვარდა ეს ქუდი. წლების მანძილზე ის თითქოს მშობლის მაგივრობას მინევდა, ზაფხულო- ბით კი სულ მუდამ ჩემთან იყო – მამშვიდებდა, მანყნარებდა და მა- იმედებდა.

და აი, წელს რომ ჩამოვედი, ქუ- დი ადგილზე აღარ დამხვდა. ძალიან დანაღვლიანდი. ბევრი ვეძებე, ყვე- ლაფერი გადავკეთე, მაგრამ ვერ ვიპოვე. რალა არ ვიფიქრე.

მერე გამახსენდა, რომ სანამ ჩვენ (მე და მეუღლე) ჩავიდოდით სოფელში, მანამდე იქ ჩემი შვი- ლები და მათი მეუღლეები იყვნენ ჩასულები. ვიფიქრე, ხელი ხომ არ წაუცდათ, ხომ არ იფიქრეს, რომ ქუდი ძალიან ძველია, აღარ შეეხე- დება, მის შენახვას აზრი არა აქვსო და აიღეს და გადაადეს-მეთქი, ან შეიძლება სულაც ძლიერმა ქარმა წაიღო, იმ ხანებში რომ იყო რაჭაში – ქუდი ხომ ავიანზე ეკიდა...

ძალიან ვანვიცადე. ვერაფრით ვერ შევეგუე იმ ადგილის სიცა- რიელეს და ახლაც, როცა რაიმეს ვნერ ან რაიმეს ვაკეთებ, ტრადი- ციულად, წამდაუნუმ ისევ ზევით ვიყურებ.

ამ ქუდის გარეშე ისეთი შეგრ- ძნება მაქვს, რომ მამა ისევ დამ- შორდა, აღარ მიყურებს, რომ იგი ხელმეორედ დაგეარგე და ის ვილა- ცამ ძალით, უსინდისოდ წამართვა... ხანდახან ვფიქრობ, ნეტავ, ასე- თივე ქუდი მამოვინა და შემადე- ნინა, ისეთივე ფერის და ისეთივე ბანტით, როგორიც ძველი იყო, და იმავე ადგილას დამაქიდებინა.

თუმცა რას ვამბობ – უმაღლეს- სენდება, რომ ის ხომ მამის თავზე დანახური და ნატარები არ იქნება და მისი; ჩემთვის ესოდენ ძვირფასი მშობლოური სურნელიც არ ექნება?!. მოკლედ, ასეთ ცუდ დღეში ვარ, თუმცა, ჯერ კიდევ საბოლოოდ არ დამიკარგავს იმედი, რომ ქუდი გა- მოჩნდება და თავის კუთვნილ ად- გილს დაიკავებს, მასთან ერთად კი მამაც დაბრუნდება, ისევ ჩემ გვერდით იქნება, მის რჩევა-დარი- გებებს ისევ მოვისმენ, მის სითბოს ვიგრძნობ და მეც დავმშვიდდები...

დასასრული, დასაწყისი „სს“ №34

ბიზ არგანაშვილი

დას, ლექსში პოეტური ენერჯის თავისუფალი სუნთქვა არაფრით არ უნდა შეიზღუდოს. ავტორის მხრიდან ლექსის ვერსიფიკაციულ ნორმებზე საუბარი მხოლოდ იმას გულისხმობს, რომ პოეზიამ თანაბრად უნდა იდინოს როგორც კონვენციური, ასევე თავისუფალი ლექსის ფორმებში. ესაა ამ გზაზე ენის განახლების და მრავალფეროვნების გარანტი, გარანტი თავად ერის მომავლისა.

ქართულ ენას თავის გრძელ გზაზე ხამლი უცვლელია...

მე ქართულ ენას ახალი ფესვსაცემელი ჩავაცვი, ძველი ჩამოვართვი მარადისობისთვის, თასმა არ გაეხსნება, ძირს არ დაიხრება, ივლის გამართული...

აქ ავტორი ენის მზაობის შესახებ ესაუბრება მკითხველს და თითქოს ანგარიშსაც აბარებს მომავალ თაობას, რომლის წინაც ძალზე გრძელი გზაა და ამ გზაზე ხშირად ფეხჩქარებით მოუწევს გაგლა. ვინ იცის, კიდევ როდის შეძლებს ენას შესვენება და თავის მონესროგება (ზოგჯერ ამის გაკეთება საირულში მოუწევს). ამიტომ საჭიროა, რომ, ძველებური ხამლის მაგიერ, კარგი მაგარიძობიანი ფესვსაცემელი ეცვას, რათა ასე ადვილად ძირი არ გაუცვლდეს და თასმა არ გაეხსნას.

ამით პოეტი გლობალიზაციის პირობებში წარმოქმნილ საშიშროებას გვასწავნებს, რომელიც პატარა ენებს (ერებს) გაქრობით ემუქრება:

სტადიონისხელა პლანეტები ნამცეცისხელებს თვალს არ აცილებენ:

— რომ არ დაეკარგოთ!

მინდა, რომ დედამიწის დიდი ერებიც ასე იქცეოდნენ...

ამიტომაც მივმართავ დიდ ერებს და არტიკლდაცვეთილ ენებს:

კოსმოსი უფრო სამართლიანად არის მოწყობილი, რადგან იქ „ნამცეცეც“ არ იკარგება და, თუ ადამიანებიც ასე მოიქცევიან, მაშინ ის მარადიული პარამონიაც არ დაირღვევა, რადგან არც ერთი სმა და ენა არ იქნება ლეთის წინაშე დაკარგული.

ავტორი თხოვნითაც მიმართავს თუ აფორზილებს დიდ ერებს (აქ ერებში არტიკლდაცვეთილი და არტიკლდაუცვეთელი ენებიც იგულისხმება).

ეს მიმართვა ნაცნობობის განცდას აჩენს და ეს გრძნობა ახლა ისეთი ძლიერია, რომ სადღაც „ძალიან ახლოს“ ვინცერთ პოეტური ტექსტის ძებნას, ვიდრე გურამ რჩეულიშვილის ცნობილი ლექსი „მე მომერია დიდი სურვილი...“ არ ამოტივტივდა მესხიერებაში: დიდი სამყარო, რატომ გარიყე ის, ვინც ყველაზე მეტად ცხოვრობს შენით...

როგორც ვხედავთ, დიდი ერებისადმი, დიდი სამყაროსადმი მიმართვა არახალა ქართულ პოეზიაში და ძალიანაც კარგი, თუ „წინამკალთა“ დეპანს არ ვიგნებთ, კარგია, თუ მხოლოდ საკუთარ დარდში არ ვიხარებთ, თუ თანასწორად ვუყურებთ სხვა ერებს და მხოლოდ იმით არ ვუყვებით ჩვენი განვლილი წარსულის პირველი ევროპელობის შესახებ, რომ რომელიმე ბოლოკრატულ კარზე დაკაუნების სითამამე გვეყოს.

გურამ რჩეულიშვილი სამყაროს საყვედურობს თუ რატომ გარიყა ეს პატარა ქვეყანა, რომელიც საუკეთესოდ გამოხატავს კაცობრიობის მთავარ საზრისს და მთლიანად იზიარებს მის საუკეთესო თვისებებს. აქ ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ ლექსი დაწერა გასული საუკუნის 60-იან წლებში, როდესაც ეროვნული იდენტობა საფრთხის ქვეშ იდგა და ავტორის ტექსტშიც განწირვის სულის ძახილად ისმის ეს საშიშროება.

საგულისხმოა, რომ ბესიკ ხარანაულის ამ ლექსში იგივე პრობლემა იჩენს თავს, თანამედროვე გლობალიზაციის, გაძლიერებული მიგრაციის პირობებში კვლავ ჩნდება იდენტობის დაკარგვის საშიშროება. პოეტი ამას გრძნობს და „აფორზილებს“ დიდ ერებს, რათა კაცობრიობის კრებულში „იდენტობისდაკარგულ ერთნაირების“ საიდუმლო სერობად არ იქცეს.

ახალი ათასწლეულის მიჯნაზე ბესიკ ხარანაულის პოეზიაში კარგად გამოიკვეთება დროისა და სივრცის შეგრძნება.

დაბოლოს, ავტორი ლამაზ ხელთრავსავით (ფაქსიმილე) უტოვებს მკითხველს ინფორმაციას საკუთარი ვინაობის შესახებ. ჩვენ ვგახსოვს, რომ თავისი შემოქმედების დასაწყისში მან ყარყატი შემოიყვანა პოეზიაში თავისი რაობის აღსანიშნავად, ახლა ამას გადამწვარი ნაცრიდან ამოზრდილი იფინიც დაემატა.

ლექსის ბოლო სტრიქონიდან „...სახელი ნუ დაიკარგება“ ჩნდება პირდაპირი ასოციაცია ხალხურ ლექსთან „ნეტავი, ჩემო სახელი, დიდხანამც იხსენებოდე...“ (მისი ხელაშვილი „ლექსი ნუ დაიკარგები...“). ეს კავშირი ქვეშეშეხედ ხალხურ მთქმელთან (და არა რომელიმე ანონიმურ პოეტთან, რომელთა ლექსებით სავსეა ქართული ზეპირსიტყვიერების კრებულები) ნიშანდობლივია ბესიკ ხარანაულისთვის.

ის ხალხურ მელექსეს ეყრდნობა, როგორც კოლექტიური არაცნობიერის უმრეტეს წყაროს, რომელსაც ჯერ ინდივიდუალური ავტორის მსახვრალი ხელი არ შეხებია და ბუნებითი მდინარება არ შეუცვლია.

მკითხველს, ალბათ, ცნობისმოყვარეობა ალღობს ნერილის დასაწყისში ჩემ მიერ ნახსენებმა „ვეფხისტყაოსნის“ ერთი სტრიქონმა: „შეკრა წითელი ასი ათასი პირად მუხმან და ტანად სარომან...“ აქ ავტორი ავთანდილის მოქმედებას აღგვიწერს, როდესაც ის „ქრთამს“ ამზადებდა ვაზირისთვის, რათა მას მეფისთვის ავთანდილის ნასვლის შესახებ ეცნობებინა.

მე კი ამ ნერილს „პოეზიაში დაბრუნება“ დავარქვი, რაც იმადროულად შინ დაბრუნებასაც გულისხმობს, რადგან, ვთვლი, რომ პოეტმა ათეული წლების განმავლობაში მრავალი ჟანრი მიმოიხილა, მრავალი თემა დაამუშავა და ბოლოს მაინც წმინდა პოეზიას

პოეზიაში დაბრუნება

კომენტარები ბესიკ ხარანაულის ლექსზე „სიტყვა არტიკლდაუცვეთელ ენებს“



და საკრალურს დაუბრუნდა, ხოლო ეს საოცარი სტრიქონები (როგორც წითელი ასი ათასი) თავის ჯერ კიდევ „ძველ“ ლექსებთან დაყუდებულ (ამჯერად უკვე ამ ლექსის ხელის მომწერთა მსურველ) და მომლოდინე მკითხველს მიართვა ძღვენად...

ამ ლექსის შემდგომი ანალიზისთვის მკითხველს მინდა შევხსენო ლიტერატურულ წრეებში სრულიად მიიწიებული ბრიუნტიერის ევოლუციის („გვარის ევოლუცია ლიტერატურის ისტორიაში“) მეთოდი, რომელიც თავის დროზე ცნობილია ქართველმა ლიტერატურათმცოდნემ კიტა აბაშიძემ დაუდო საფუძვლად მეცხრამეტე საუკუნის ქართული ლიტერატურის განხილვისას ცნობილ „ეტიუდებში“ (ცნობები XIX საუკუნის ქართული ლიტერატურის შესახებ) და დღესაც სახელმძღვანელოდ რჩება ამ დარგის მომავალი სპეციალისტებისთვის.

ლიტერატურაში რომ ნამდვილად არსებობს მთელი ციკლი განვითარებისა ამა თუ იმ გვარში, ამა თუ იმ პირობისა და გარემოების მიხედვით, ამას, კიტა აბაშიძის აზრით, „თვით ჩვენი სალირიკო პოეზია გვიმტკიცებს, რომელიც რომანტიზმით იწყება, გადადის რეალიზმზე და მერე ნეორომანტიზმისა და სიმბოლიზმის სამკვიდროდ გახდება“.

ლიტერატურის ევოლუციაში კი მარტო იმას უნდა მივაქციოთ ყურადღება, ვინც ახალი რამ შემოიტანა ლიტერატურის მსვლელობაში ან ძველი გაამწვინერა და მიიყვანა უმაღლეს წერტილამდე; უნდა ადგოლი პქონის მას, ვინც დააჩქარა ეს მსვლელობა ან მისი მიმართულება შეცვალა, ან შეაჩერა ეს მსვლელობა.

თავის ნაშრომში კიტა აბაშიძე მხოლოდ იმ მწერლებს მიაქცევს ყურადღებას და სათანადო პატივსაც მიაგებს, ვისაც რაიმე ადგილი უჭირავს ევოლუციის მიმდინარეობის სხვადასხვა საფეხურზე, ხოლო, ვისაც ცვლილებაში მონაწილეობა არ მიუღია, მათ არ ახსენებს... თუმცა ჩვენ ამ მსჯელობაში აღარ გავყვებით ქართული ლიტერატურათმცოდნეობის უპირველეს მოღვაწეს. შევეცდებით, ფერდინანდ ბრიუნტიერის (1849-1906) ევოლუციის თეორიის ეფექტიანობა ლიტერატურული გვარის შიგნით, კონკრეტული თემატური ჟანრის (პატრიოტული ლირიკა) მაგალითზე გამოვცადოთ.

თავიდანვე ვიტყვი, რომ ზოგიერთი ლიტერატურული ჟანრი ძალზე მგრძობიარეა სოციალპოლიტიკური ვითარების მიმართ და მუდმივად განახლებას მოითხოვს, რადგან „არც არავინ ასახას ახალი ღვინოს ძველ ტიკებში; თორემ დახეტქავს ახალი ღვინო ტიკებს, თვითონაც დაიქცევა და ტიკებიც უვარგისი გახდება“ (ლუკა 5, 37). ამის მიზეზი კი ის არის, რომ ეს ჟანრები, ესთეტიკური ფუნქციის გარდა, გარკვეული იდეოლოგიის მატარებელიც არიან მკითხველისათვის.

ასეთად წარმოვიგებება პატრიოტული ჟანრი და აქვე ვიტყვი, რომ არც ერთ ქართველ პოეტს (რუსთაველის შემდეგ) არ უცხოვრია თავისუფალ ქვეყანაში, შესაბამისად, არც ერთ მათგანს არ ჰქონია იმის ფუფუნება, რომ ჯანსაღ პატრიოტულ გრძნობაზე ეწერა და მუდმივად საბრძოლო სულისკვეთების ამბლებდა არ ყოფილიყო მათი შემოქმედების მთავარი მიზანი. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ოკუპაციის პირობებში (განსაკუთრებით კი ტოტალიტარულ რეჟიმში) პატრიოტული ამოცანაც ერთობ რადიკალური გახდა და ამის გამო მიზანგანი განცდაც უმეტესად ტრაგიკულ გრძნობაზე იგებოდა, არ გავაკვირდებ, თუ ჩვენც მინციე „მდინარეთა ზედა ბაბილონისათა მუნ დავეხედით და ვტიროდით, რაჟამს მოვიცხენეთ ჩუენ სოინი“ (ფს. 136).

თუმცა გავიდა წლები, შეიცვალა მსოფლიო ნესრიგი, გათავისუფლდა ჩვენი ქვეყანა კოლონიური წნებისგან, ტყვეობაში შექმნილი მრავალსაუკუნოვანი ქართული პატრიოტული ლირიკა კი დაემსგავსა ჩვენს ციხესიმაგრეებს, რომლებიც დღესაც საოცარ სანახაობას წარმოადგენს, ოღონდ სხვა ფუნქცია, გარდა მნახველის ესთეტიკური ტკობისა, დაკარგული აქვს. მსგავსად ამისა, ჩვენი ბრწყინვალე ლიტერატურული მემკვიდრეობაც მხოლოდ ემოციურ შთაბეჭდილებას ახდენს მკითხველზე, ალტაცებაში მოჰყავს თავისი მხატვრული სახეებით, მაგრამ, პოეტის ცნობილი სტრიქონების პერიფრაზი რომ გამოვიყენოთ, მათი მოსმენა ხმლის ტარზე აღარავის აუთრთოლებს ხელს...

არადა, ქვეყანას ისევ სჭირდება პატრიოტულ თემატიკაზე შექმნილი ცოცხალი პოეზია, რომელიც გაცდება, უპირველესად, შუა საუკუნეების მოძველებულ ლირებულებებს, შემდეგ საბჭოთა სისტემის მიერ თავსომბვეულ მეამბოხურ ლიტერატურულ ხიბლს, ყალბ პათეტიკას და უსაგნო ალტაცებას... ამისთვის კი მხოლოდ სურვილი და თუნდაც მწერალთა მთელი გილდიის ძალისხმევაც არ კმარა, თუ არ გავანალიზებთ ამ ჟანრის განვითარების გზას, არ შევნიშნავთ იმ კანონზომიერებას, რომელიც უთუოდ არსებობს ერთი შეხედვით სრულიად უსისტემო პროცესში (სწორედ ამაში დაგვემარება ევოლუციის თეორია) და მასზე დაყრდნობით მკითხველს არ შეუქმნით ამ ჟანრის აღორძინების სრულიად ლოგიკურ მოლოდინს.

ჩვენი ხშირად არის კამათი იმის შესახებ, რომ ჩვენი ეროვნული ვინაობის განმსაზღვრელ ტრადიაში (მამული, ენა, სარწმუნოება), რომელიც ჯერ კიდევ მეცხრე საუკუნემდე შეიმუშავეს ჩვენმა წინაპრებმა („ქართლად ფრიადი ქვეყანა აღირაცხების...“ გიორგი მერჩულე) და მე-19 საუკუნეში ილია ჭავჭავაძემ სრულიად დამოუკიდებლად აღმოაჩინა“ ხელახლა, რომელია უფრო მნიშვნელოვანი ელემენტი და რა თანმიმდევრობა უნდა იყოს დაცული მათი ჩამოთვლის დროს.

მე მგონი, სრულიად ცხადი ხდება, რომ აქ თანმიმდევრობა სრულიად პირობითია, რადგან სხვადასხვა ეპოქაში, სოციალპოლიტიკური პირობების შესაბამისად, სწორედ ის ნამოწივეს წინ, რომელსაც სხვებზე უკეთ შეუძლია, ერთი მხრივ, ეროვნული იდენტობის გაამახტვა და, მეორე მხრივ, მისი დაცვა.

ქართული პატრიოტული ლირიკის ისტორია სრულიად ეთანადება ჩვენს მსჯელობას და ამისთვის აუცილებელი არ არის, უძველესი დროიდან დღემდე განვლილი პერიოდი მთლიანად მიმოვიხილოთ. თუმცა მათ შორის სამაგალითოდ თეიმურაზ პირველი და რაფიელ ერისთავი (ვინც სხვადასხვა ეტაპზე გაამწვინერა ამ ჟანრში ჩამოყალიბებული პატრიოტული ლექსის სანიშნო სახე) მაინც უნდა ვახსენოთ.

მეცხრამეტე საუკუნეში მტრის ხატი შეიცვალა. ერთმონაშენე ქვეყნის მხრიდან მფარველობის მითი გაქარწყლდა. შესაბამისად, სარწმუნოება ვეღარ დარჩებოდა იდენტობის მთავარ განმსაზღვრელად და მან მეორე ადგილზე გადაინაცვლა. პატრიოტული პოეზიის მოტივაცია და მთავარი თემატიკა მწვერული იდენტობის მეორე ნიშანი – მამული იქცა.

შემთხვევითი არ იყო, რომ სწორედ ამ პერიოდში ილია ჭავჭავაძემ თავის შემოქმედებაში სრულიად შეგნებულად გამოიჭრა მამულის „ხატი“, არახულად გააფართოვა მისი საზღვრები, რათა ახლად აღორძინებული ეროვნული მოძრაობის ბრძოლა უფრო საგნობრივი გაეხდა.

სწორედ ამ დროს დაინერა რაფიელ ერისთავის ეს ლექსიც: არ გავცვილი სალსა კლდეებსა უკვდავებისა ხეზედა, არ გავცვილი მე ჩემს სამშობლოს სხვა ქვეყნის სამთხეზედა...

ამ ლექსში („სამშობლო ხევსურისა“) არ იკითხებოდა რაიმე ეროვნული პროგრამა ან კონკრეტული იდეოლოგია. ის უფრო ფიცის ფორმულას შვავდა, რომელიც ხევსურის (ქართველს) საკუთარი მინის სიყვარულს და მის დაცვას შთააგონებდა.

რაფიელ ერისთავის ეს ლექსი კომუნისტურ ეპოქაშიც ინახლებოდა სკოლებში. როგორც ჩანს, საბჭოთა ცენზურა მისგან განსაკუთრებულ საფრთხეს ვერ გრძნობდა. ჩვენი პატრიოტული ლირიკაც დიდი ხნის განმავლობაში მხოლოდ ამ თემის გარშემო ტრიალებდა („მშობლიური ჩემი მინა...“). იცვლებოდა შინაგანი მუსიკა, რითმა, მარცვალთა რაოდენობა, მხატვრული სახეები, მაგრამ სათქმელი ერთი და იგივე რჩებოდა.

თუმცა ამ ლექსს არ უნდა დაუკარგოთ ის სიკეთე, რომ სწორედ ამგვარმა პოეზიამ და სახელმძღვანელოებში მემკვიდრეობით გადმოცემულმა მომავალი თაობის აღზრდის ტრადიციამ ჩვენ ორჯერ შეგვადლებინა დამოუკიდებლობის გამოცხადება და ქვეყანაც დღევანდელი დღემდე მოიყვანა.

შემდეგ კი ჩვენი თავისუფლება დაემსგავსა ხლევის კენჭს, რომელიც წყლის ფსკერზე თვალისმომჭრელად

ბრწყინავდა, მაგრამ მას შემდეგ, რაც მზის სხაათლებზე ამოვიტანეთ, თითქოს ჩაქრა და ფერები გაუხუნდა.

სწორედ იმ წლებში დაიხსნა ქვეყნის ანგარიში უიმედობაში:

„ვეძებ სამშობლოს, როგორ გულიდან დაბრუნებული ფუტკარი თბის სხადა ვერ გავწნა, თითქოს სკაც იგივეა და ჩემი თანამომწმინც იგივენი არიან, მაგრამ საიდან მოდის ეს გაუცხოება? რომელი ნახვრეტებიდან დაიცილა სკა იმ სითბო-სიმყუდროვისგან, რომელსაც ასერიად ვიყავი შეჩვეული?“

ისე კი, მე ხომ არ დავებრუნებულვარ, რადგანაც არც არასოდეს ნავსულვარ აქედან. მუდამ აქ ვიყავი. მამ რა მოხდა? იქნებ ვინმემ იხრუხა და თავად მე შემეცვალა ძილში, სხვა სისხლით ამავსო და სხვა სული ჩამიდედა და მერე საბუნდოვანად გამომაფიხილა გაუცხოებული გარემოსა და საკუთარი თავის მიმართ“ (ერლომ ახვლედიანი).

ვფიქრობ, რომ პოეზიას (ზოგადად ლიტერატურას) შეეძლო ამ ნიშილიზმის დაძლევა და დამოუკიდებლობის წლებში ჩვენს პოეზიაში მართლაც იყო რამდენიმე წარმატებული ცდა პატრიოტული ლირიკის აღორძინებისა, თუმცა არ ჩანდა ის ფუნდამენტური ცვლილება, რომელიც საიმედო საძირკვლავს შექმნიდა ჟანრის განახლებისთვის და მკითხველის ინტერესსაც სრულად დააკმაყოფილებდა.

ინტერესი კი მართლაც ძალზე ცხოველი და სრულიად განსხვავებული იყო, რადგან ტექნიკურმა პროგრესმა, გლობალიზაციამ, კომუნიკაციის ნაკლებობამ, უცხო კულტურასთან შეჯახებამ განსაკუთრებით იმოქმედა პატარა ერების ტრადიციასა და თვითმყოფადობაზე.

დღეს კრიტიკას მხოლოდ ის შეუძლია, რომ ცვლილების აუცილებლობა დაინახოს. გაახიანოს ის აზრი, რომ ვერბალური კომუნიკაციის პირობებში პატრიოტული ლირიკაში სარწმუნოებისა და მამულის ადგილი ლინგვისტური გეოგრაფიის გასაფართოებლად ენამ დაიკავოს (იმ პირობებში, როდესაც ასიათასობით ქართველი „ბავშვი დღეს უცხოეთში იხრდება და მათთვის ეროვნული იდენტობის ნიშანი მხოლოდ და მხოლოდ ენაა, ამტკიცებს ამ არჩევნის სისწორეს), მაგრამ კრიტიკა ვერ უკარნახებს მწერლობას თუ როგორ უნდა შეიცვალოს ლექსის თემატური „ყუა“ და როგორ უნდა ინერვიოდეს დღეს პატრიოტული ლექსი.

მაგრამ, თუ ამ მოთხოვნების გათვალისწინებით მკითხველის მხატვრულ ტექსტთან (და ავტორთან) ბუნდოვანი თანხვედრა შედგა, კრიტიკა ვალდებულია, ეს ფაქტი აღნიშნოს გარეშე არ დატოვოს.

აქ სწორედ მკითხველი უნდა დავითანხმობი, რომ ჩვენ მიერ განხილული ბესიკ ხარანაულის ეს ლექსი სწორედ ამის მაგალითია ჩვენთვის. ამ ლექსში მთავარი ლირიკული ენაა, მონათვა – მისი დაცვა, ოღონდა ახლა ეს მიმართვა შიდამომხარებისთვის კი არ არის გამიზნული, არამედ დიდ ერებს და დიდ ერებს ეხება.

„სიტყვა არტიკლდაუცვეთელ ენებს“ გამოიჩრევა ლირიკის გრძნობით და ერთგვარი შეფარული საამაყითაც, რასაც არა ერის (ენის) ნარსული, არამედ მისი ანმყო, რეალური შესაძლებლობა აჩენს.

ვფიქრობ, პოეტის ამოცანა, მოეხდინა ხელოვნებისა და მეცნიერების ერთგვარი სინთეზი, შესრულებულია – ავტორმა მეცნიერული ცოდნა ენის შესახებ სამჭევრო ენად და მხატვრულ მეტაფორად აქცია.

არ მინდა, ვინმემ ისე გაიგოს, თითქოს ჩვენს პოეზიაში ქართული ენის შესახებ ლექსები არ იწერებოდა. ამგვარ შენიშვნას პირდაპირ შემძლია ვუპასუხო, რომ ამ თემატიკაზე შექმნილი შედეგებით ასე სახელდახსნელოდაც კი შეიძლება ერთი კარგი კრებულის შეკვრა, მაგრამ ჩვენ საუბარი გვაქვს ეთნოკულტურულ იდენტობაზე და მასში ენის, როგორც ინფორმაციული ცენტრის, პრიორიტეტულ როლზე.

დასკვნის სახით კი შეგვიძლია ვთქვათ, რომ ქრისტეს აქეთ მესამე ათასწლეულის დასაწყისში ქართულმა პატრიოტულმა ლირიკამ იდენტობის სამსხვადასხვა ელემენტზე მონაცვლობითი ცვლილების თეორია დაყრდნობით დაკლდე მოიჭინა და საზოგადოების განწყობის ამსახველი მხატვრული მატანე, სადაც გაფრთხილებად ისმის ყველა ის შეტყობინება, რომელსაც მშვიდობიანობის თუ გაჭირვების დროს უგზავნიდნენ ქვეყნის შიგნით და ქვეყნის გარეთ არსებულ მტერ-მოყვარეს.

ეს ტრადიცია ისევ გრძელდება, კაცობრიობის მისამართით გაგზავნილი დღევანდელი შეტყობინების მონათვა კი ასე ხშირადდება:

დიდო ერებო, ნუ ჩაყლაპავთ პატარა ერებს, ვაითუ, რომელიმე იყოს აღმასისა.

დიდო ენებო, ნუ ჩაყლაპავთ პატარა ენებს, ვაითუ, რომელიმე ღმერთს ეამებოდეს.

და რაც უფრო მალე მიადვლეს ეს შეტყობინება ადრესატამდე, მით უფრო დაიცვლინ იქნებინა დიდი და პატარა ერები და მათთან ერთად არტიკლდაცვეთილი და არტიკლდაუცვეთელი ენებიც....



ბიორბი სოსიაშვილი

მეგონა, რო ყველაფერს მიანიჭებდა. რა ვიცი, ვერ ვფიქრობდი, ბევრი მაგალითი მქონდა, გამოკეტილი სახლების მეტი რა მინახდა. ერთ დროს რო ფრია-მული გაუდიოდა, ხალხი ხმაურობდა, შეხედავ და გული მოგიკვდება. სიჩუმე და სიკვდილი ბალახობს ამ ენობებში, გაცხედავდი და გამაქანკალებდა ხოლმე: ჩემი სახლიც რო ეგრე გამოკეტილიყო? ვინ იცის, სულ ტყუილა ვიდგამდი ნელგზზე ფეხებს. სულ ფანტანი კლიტე მელანდებოდა, რაღაც ხო აგვიკატებია, მე კლიტე მქონდა აკვირებული, ხუსტად ისეთი კლიტე, ერთი ჩვენებური ჯემალას სახლის ალაყაზე რო ენახე.

ვაძენებდი, ვაკეთებდი, მაგრამ იმის შიში მკლავდა, რო ერთ დღეს დიდი კლიტე არ დაედო ჩემი სახლის კარზეც. იქნება სულაც არ იყოს ეგრე და ტყუილა ვინებთავ გულსამ-მეთქი, თავს ვიმხნევებდი ხოლმე.

ამ ჩემ აკვირებებზე არც არავისთვის მითქვამს, მუშინობდა. ჩემი ალალი შრომით ნამოვქმე იმოდენა სახლი, 14-16-ზე, ავაშენე. რა ჯანდაბად მინდოდა ამხელა დევერხანა საცხოვრებელი, ცხენი გაჭნე-დებოდა, ქორწილის სუფრა გაიმღებოდა ზალაში. სულ აგურით ავაშენე, ორივე პირი აგური იყო, ღმერთმა აცხონოს ცხნივალეული სარქისა, ერთი სომეხი მე-ობარი მყავდა, კალატონი, ისეთი ხელი მქონდა, ისეთი... ოთხი თუ ხუთი წლის წინათ მოკვდა. სარქისას ნახევარს ათასში გამოარჩევი, შენ ჩემი სახლი არ გინახავს, - თვალზე აუწყლიანდა არსენას, - დიდი ხანი მოანდობა. თავიდან ცოტა გული მომიდოდა. შემდგომამდე უნდა მორჩინილიყო და ვერ ასწრებდა. ვიცოდი, რო წვიმებს აიტყვავდა მერე და ცინდლიან დღეებში გინდა აშენე, გინდა არა. ერთი-ორჯერ გაუბრაზდი კიდევ, მაგრამ წერილი არ უტყავდა. შემომხედავდა და ჩაეღმებოდა.

- არსენჯან, შენ სახლის აშენება რა გგონია? - ქაფრას შეათამაშებდა, - არჩარებით სახლის შენება ვის გაუგია, სარქისამ თავის საქმისა თვითონ იცის. ჩქარა აშენებული ჩქარა ინგრევა, არსენჯან, - თან ნაილინიბდა, ვითომც არაფერი, - მამანოდე აგური, - ხარაჩოდან გადმოსახებდა თავის ბიჭს - ლოვას, რომელსაც სულ თან დაატარებდა, ხელობას ახსავდა.

ზონინ-ზონინით მუშაობდა. აგურს რო დადებდა, სულ მილიმეტრებში ასწორებდა. გული მომიდოდა. სარქისა შე მომხედავდა და ჩაილაპარაკებდა:

- შენნაირი სახლი არავის ექნება. ამისთანა აგურის გაფუჭება როგორ იქნება.

მართლა მაგარი იყო, რო ამოიყვანა კედლები, თანდათან გადამიარა ბრაზი. ანათებდა ჩემი სახლი. გულში მზე ჩამიდგა, სამ-სამი ძმა ვიყავი, ობლობაში გაზრდილები, ქონში ვეყარეთ და ამხელა სახლს რო ვაშენებდი, თან მიხაროდა, თან მეტრებოდა. ცხინებელი დედამეტი მინც მოსწრებოდა, როგორ სილატაკები დაეჭარდა-მეთქი. მამაჩემი კარგა არ მახსოვდა. ომში წავიდა და უგზო-უკვლოდ დიკარგა. სად ჩაყარა ძელები, ვინ უნკის, ქონიდან გამოსულმა კაცმა, ხარებას გვერდით რო მეტანი ჩემს ძმებთან ერთად ხოლმე, იმხელა სახლი ნამოვქმე, თან სულ ჩემი ოჯელი... მოსავალი მომყავდა, ბალ-ვენახები მიყვავდა. ლალიანი ნაკვებები მქონდა. კოლექტივი რო დაიშალა, მინები დაგვირიგეს. იმის გარდა სხვა მინებიც ვიყავე, ოთხი თუ ხუთი

შექტარი მაინცა მქონდა. ყველაფერი იქით დარჩა... - წერწყვი გაუშრა არსენას. სარქისამ, სანამ თოვლს ჩამოყრიდა, მოასწრო აშენება. ჩემ ილაბლზე თბილი დღეები დაიჭირა. ობლების ზაფხული დადგა. მზემ, სანამ ზამთარი ჩაყლაპავდა, ერთხელ კიდევ განიარაღა ცაზე.

გადავხურე სახლი. გაზაფხულზე ასწორები ჩამოვიყვანე, ერთიანად მოუწერივდი. გალესეს და გაარემონტეს, სამი იყვენ, დახატეს კედლები.

არსენამ ფოთლებშემხმარ წერგს ტოტი ნატყვა, უახროდ დასცქეროდა, ცოტალა უკლდა აქეთინებას, მთელი სხეული უთროდა, თავს ძლივს იოკებდა. მერე შემომხედა და ჩაილაპარაკა:

- ხანდახან როგორ გინდა სიკვდილი და ჯიბრზე არ მოდი.

იკავა, იკავა თავი, მაგრამ ცრემლი მაინც გადმოუგორდა.

ეგ ერთი ბიჭი მყამ და ქალაქში სახლი არ ვუყვიდე. გული მიგებდა, თუ რა იყო, ჯემალასაც ეგრე მოუვიდა, გაეცა ცოლ-შვილი ქალაქში, გაუტკბათ იქაურობა და მიავდეს საწყალი მარტოდმარტო. სულ ის კლიტე მიტრია-

გოთა

ლებდა ხოლმე თვალწინ. ვაითუ წავიდეს და მიატოვოს აქაურობა, გააპარტახოს ყველაფერი-მეთქი.

აქ ჩავაყარე ყველაფერი, რაც მე-ბადა, ამ სახლს შევასარჯე. ჩემი ბიჭი მაინც ვერ დავიოკე. სასწავლებლად წავიდა, მერე ვილაც ფულიანი კაცის გოგოს გადაეყვინა და... დავერჩი ეგრე.

ფულის გემომ სხვანაირი რაღაცები იცის. ხო იცი, მიუწვეველს ნუ მიაჩვე-ვი. ერთი ბიჭი მყავს ცასა და ქვეყანას შუა, ეს შობელძალი, სიგრძე-სიგანეში შეეცქეროდი, მაგრამ რად გინდა? სოფლის გახსენება არ უნდოდა. ხან შეეხებენ, ხან დავეხებურე, მაგრამ არაფერი გამოვიდა. ხელი ჩაიქიწიე, გული გახეთქვას მქონდა. ამხელა სახლ-კარი, ბალ-ვენახები, ვისთვის ვინვალე, ვისთვის მივიკალი ვიცი, მე და ჩემი ცოლი ეგრე ბაიუშებოვით ვიყავთ.

სანამ ეს უბედურება მოხდებოდა, ოთხი თუ ხუთი თვით ადრე ჩავარდა ჩემი ცოლი. წნევა ორჯერ დაარტყა, ცალი მხარე გაუწერდა, ენა წაერთვა. თავიდან სთარულს ახერხებდა, მაგრამ მერე... ჩემი მოსაველი ვახდა. ლაპარაკით ვერ ლაპარაკობდა, ენას ვერ იმორჩილებდა. ომის დროს ჩემმა ბიჭმა ქალაქში წაიყვანა. მარტო დავერჩი. ოთხი თუ ხუთი ვიყავი სოფელში. ეგრე უპატრონოდ მიტოვებულ საქონელს ვუვლიდით, მეზობლების ძროხები შემომბლაოდნენ ხოლმე, ბალახს ვუთიბავდით, წყალს ვუზიდავდით. რაზე აღარ მიფიქრია ცხოვრებაში, ყველანაირი უბედურების მოლოდინი მქონია, მაგრამ ამას რა მომავლიქვებდა, - არსენამ თვალბი დააბრაზალა, - იმ ხალხის ცოფებით როგორ უნდა მოისვენონ, არ ვიცი. ნამოდო, მე-ჯავჯანებოდა ჩემი ბიჭი. სიმამრის ნაყიდ ბინაში ცხოვრობდა, სად გავეყვებოდი, სულ რო მაგათი ლუკმა გავმხდარიყავი, სხვის კარზე რა გამაჩერებდა. ის კი არა, ჩემი ცოლის დარდი მკლავდა. ვიცოდი, უჩემოდ როგორც იქნებოდა. ვინება კი ჩვეულებრივ მქონდა, მაგრამ როგორც გითხარი, ენა წაართვა იმ სატალემ, ვერ ლაპარაკობდა და სათქმელი ცრემლებად ანებობდა ხოლმე ფეხებზე. ქალაქელმა რძალმა ვილაც მომვლელი დაუქარავა... ხო ვიცოდი, ჩემი ცოლი რა უბედურ დღეშიც იყო, ცალკე ჩემი დარდი, ცალკე სხვის კარზე ყოფნა.

ნამოდო, - მეუკავებოდა ჩემი ბიჭი, - აქ არ გაგაჩერებო.

იმხელა სახლ-კარი ვისთვის დამეტოვებინა, ნადი, აბა, მიატოვე შენი ნანვალ-ნადაგი, როგორია. ვინა არ იცოდა, რო არ გავყვევობდი. ვინა მაინც თავიას ცდილობდა. ბოლოს, მიხვდა, რო არსად ნამსულელი არ ვიყავი და შემეშვა.

ეგრე გადბრუნეს ოსებმა ყველაფერი, რუსებმა რაც დაგვაკლეს, მაგათ აგვის-რუსებს.

აბა, გახედე, - ნასოფლარებისკენ გაიშვირა თითი არსენამ, - აემას ადამიანი გააკეთებდა? სად გინდა სამართალი იბოვო?! გასდით და რა უნდა ქნა. ჯერჯერობით მაგათი აყრია.

ვერ ვიფერებდი. ეგრე მეგონა, რო სიხმარში ვიყავი. სიჩუმემ დამალა. ხმაურზე და აყალ-მაყალზე დამღლეული სიჩუმე ყოფილა, არ ვიცოდი.

სოფლის ფრიაბული მენატრებოდა. დაუბრებელი მეზობლების დალაპარაკება რო გახდენიერებს, მაშინ ხედები, ამ დალოცვილი სიცოცხლეს რამი ფლანგავენ ადამიანები - ერთმანეთის ჭამაში, სამანის გადანეგ-გადმონევაში, ჩხუბში და ორომტრიალში. რო მეგონა, კაკოს მთელი ცხოვრება ხმას არ გავცემდი, სანამ პირში სული მედგა, არ დავვლამაპარაკებოდი, მე თვითონ შეეფურცდი. რალა დაუშმარსებულები ნავსულიყავით. ისიც ბალში იმალე-ბოდა ჩემსავით, ოსები შემოდოდნენ, დაეხებოდნენ, ბალახებში ჩამალული რო უყურებ, როგორ ნვავენ შენი თანასოფლელების სახლებს, რა ჭკუაზე უნდა დადგე. თითებს ვიჭამდი, სადაც გახიზნულ ჩემ მეზობლებს ერთი სული მქონდათ, სოფელში დაბრუნებულები-ყენენ და იმათი ფიქრი უპატრონოდ მიტოვებულ სახლებს დასტრიალებდა. ამ დროს კი ცეცხლში იყო გახევეული მათი ავლა-დიდება.

რა უნდა მექნა, ვინეტი ბალახებში და ვტიროდი. ლამ-ლამობით თუ გამოვიდოდით, ლუკმას გავტყვდი, მაგრამ არ გადამიოდა ყელში არაფერი. მე და კაკო ისე შეეცდინებდით ერთმანეთს, თითქოს არც არაფერი მომხდარიყოს ჩვენს შორის. სარწყავი წყლის გულისთვის ვიყავით ნაკიდებულები და წყალიც ოხრად გვრჩებოდა, ბალებიც და მოსავალიც.

ერთი ხანობა ისიც კი ვიფიქრე, დამეფერებინა ჩემი ბიჭისთვის და წაყოლოდი-მეთქი, მაგრამ ოსები მომკლავდნენ აქ თუ ქალაქში გამძვინვარებდა დარდით სული, რა აზრი მქონდა. ვინეტი ეგრე მა-ფაჩუნებდა გული ამოვარდნაზე მქონდა, ან ახლა შემოვლენ და დამინვავენ სახლს, ან ახლა-მეთქი. სულ ავტომატინი ოსები მელანდებოდა.

ჩემი ძალი, როგორც კი ჭირისუფალი, ისე შემომცქეროდა. მაშინ მიგხვდი, რო დარდი მარტო ადამიანმა არ იცის. ძალიმაც იცის დარდი. ძალი თავისას ხო დარდობს და თავის დარდიან ერთად, პატრონის სადარდებელიც აქვს. ეგრე იყო ბოთე. მიყურებდა და იმის თვალეში ჩემს დარდსაც ვხედავდი. ცრემლი ჩამოსდიოდა. გზიდან რამდენჯერაც ხმაური გაიგო, ყფა ატყვა და დაგტყუსე. ვაითუ ძალის ყფის ხმაზე შემოვიდნენ და თავზე დაგვადგნენ-მეთქი. იმ სამხელმა სიჩუმემ მეც დამალა და ჩემი ძალიც. პაპროსი შემოგველია. კაკო ხმელ ბალახს ახევედა გახეთქი და იმას ვნევედი.

ომი კი დამითავრდა რამდენიმე დღეში, მაგრამ ომი მერე დაიწყო თუ დაიწყო, დაუშთავრებელი ომი, ჩემი სახლის ზემოთ, ფშატი გობებზე გაავლეს „საზღვარი“ მაგ წუნკლებმა. ხო გითხარი, სიხმარში მეგონა თავი. აბა, ამას როგორ წარმოვიდგენდი, რო ჯერ ეს უბედურება დაგვატყვებოდა, მერე კიდევ სოფელს გადაგვილობადნენ. ეკლიანი მავთულები გაავლეს და ჩვენს ზემოთ მთელი მინდვრები იქით მოაქციეს. ის ჩემი ნახვალ-ნადეგი ბალებიც იქით დარჩა, - არსენას ხელები უცაცხახებდა, - შვილებოვით დაეზარდე, რა გინდოდა, რო არა მქონდა, ის იმდენი ბლები, ის იმხელა ვენახი, ოცი კოკა ლინო მომდიოდა. მარანში აღარ შევსულვარ იმის შემდეგ, ცარიელი ქვევრების ცქერას ვერ გავუტყვებდი.

ავიდოდი „საზღვართან“, შორიხლო დავდებოდი და ჩემს ბალებს ვაცქეროვდი. რალა სიცოცხლეა ჩემი სიცოცხლე, შორიდან რო უყურებ, როგორ დადიან შენს ბალ-ვენახებში უცხო ადამიანები და ეგრე უნვალვებოვ იღებენ მოსავალს. კაკოს ბალები იქით დარჩა...

ბალებს ვდარდობდი და თურმე ჯერ წინ იყო მთავარი სადარდებელი. ყველა დარდი გადამივიყვას ახალმა დარდმა. ჩემს ცოლს ვატყობდი, რო ბევრი აღარაფერი მქონდა დარჩენილი. ერთი ხარი რო ჩაიჩოქებს, მეორესთვის მძიმდება უღელი. ომამდე ტაატაობით მაინც დაგვყავდა, ომის მერე სულ მონყდა, ლოგინად ჩავარდა. რო შემძლებოდა, ჩემი გაძალეული ცხოვრების დარჩენილ წლებს მიეცემდი, მაგრამ ჩვენ ვინ გავგანანოვებინებს სიცოცხლეს. დავეურებდი ლოგინში ჩაკარგულ კატს და ასე მეგონა, ვილაც სხვა იყო. ოდნელა ბუჭავდა, მიყურებდა, რალაცის თქმა უნდოდა, მაგრამ აღარც ენა ემორჩილებოდა და აღარც თვალეში. გამოვიდოდი აივანზე და წუმად ვტიროდი. ჩემი ბიჭი ქალაქში აღარ წასულა, ჩამოვიდა და ჩამოვიდა, ფეხი აღარ გაუდგამს. ერთი-ორჯერ ჩამოაკითხა უშვილო ცოლმა, ცუდი ქალი არ იყო, მაგრამ სოფელი არ უყვარდა, ქალაქში გაზრდილი გოგო ორობებში ვერ ივლიდა.

- ნადი, მიხედე შენს ოჯახს-მეთქი, - ჩემს ბიჭს ვუთხარი, მაგრამ აღარ დავგეტოვა. გულში მიხაროდა, რო ჯიგარი მქონებოდა და ვეცოდებოდი.

ეკლიანი ლობის იქით დარჩენილ ბალ-ვენახს მიგტიროდი. მავთულბარით კი გააბეს, მაგრამ იმედი მაინც მქონდა, იქნებ, როგორმე დავიბრუნო-მეთქი. ვინ რას დაგბრუნებს, რომელ ბალ-ვენახზე იყო ლაპარაკი, ჩამოვიდნენ ერთ დღესაც რუსები, გაშალეს თავიანთი რუკა და ეკლიანი ლობის ალებს დაიწყეს.

- არიქი, მგონი, გვეშველა-მეთქი, - ჩავეხუტე ჩემს ბიჭს.

როგორ გავსულელიდი, ეს ამხელა კაცი, რამ დამაჯერა მაგათი წასვლა, თურმე რა ხდება, „საზღვარი“ ქვევით უნდა გადმოვინათ.

დაგვიძახეს რუსებმა, ოთხი თუ ხუთი მესაზღვრე ჯარისკაცი იყო, ერთი კაცის გაკეთებულებსა ჰგავდნენ. იმათი უფროსი გველაპარაკა, რუკა გავგომბა. მე ვიყავ, კაკო, ჩემი ბიჭი და გურგენა, ბოთეც გამოგვედა. - ჩემი ძალი, უჩემოდ რას გაჩერებოდა. ისიც ჩემსავით უცბად დაბერებულყო. ერთიანად დაეხარჯა დარჩენილი წლები ომის დღეებში. ერთიანად მოგახტა სიბერე, მე თმებზე შემეტყყო, იმას თვალეზე-თავისი ძალიერი ცხოვრების გზის დასასრული უჩანდა. ის უფროსი რო გველაპარაკებოდა და რუკაზე ფანქრით რალაცის წერტილებს ადებდა, ბოთე რუს მესაზღვრეებს უყვებდა. ერთ-ერთ მათგანს ფეხშიც წასწვდა. ლამის მომიკლეს რუსებმა. ავტომატე მოუშვირა ერთმა და მუხლებში ჩავეყარდი, სროლას აპირებდა და გადაიფიქრა, გამიკვირდა... არასოდეს მიცემია ჩემი ძალი და მაშინ ნავადე, მერე კი ვინანე, მიყურებდა საცოდავად და მსაყვედურობდა. ნება რო მიმეცა, მივარდებოდა და ხუთივეს დაგლევედა. რო ნაუთუაქე, ერთი დანიკუტუნა და გაიძოვრა, შორს არ წასულა, იქვე, ახლოს იდგა და მომჩერებოდა. ენა ვერ იტყოდა, იმხელა საყვედურს, რასაც იმის თვალეში ვკითხულობდი.

ერთი სიტყვით, რუსი მესაზღვრეების უფროსმა გამოვიცხადა, რო საზღვარი ახლიდან უნდა გავავლოთ, არასწორად იყო გაღობილი და თქვენი სახლები ჩვენს ტერიტორიაზეა. სამ დღეს გაძლევთ, რო თუ რამე გაქვთ წასალები, აიკრიფოთ გუდა-ნაბადი და აქედან აახვიოთ.

ვერ ვიფერებდი, ხან კაკოს შევეხე-დავდი, ხან გურგენას, ხან ჩემს ბიჭს, რომელიც თვალეებით მეუბნებოდა, რო რუსებთან შეკამათებას აზრი არა მქონდა. დავხარჯე, რაც კი რუსული სიტყვები მქონდა, ხელ-ფეხი მიცაცხახებდა. რას შეასმენ... ცივი, გაყინული თვალეებით მიყურებდნენ.

სამი დღის მერე, როგორც იმ ქერა უღვაშებინა, არავითი ხმანახლურლმა რუსმა მითხრა, თუ აქედან არ წავიდო-დით, საზღვრის უკანონო გადაკვეთის გამო დაგვიჭერდნენ, გაიგე, კაკო? აბა, დაფიქრდი, გავგლეჯიბა შენს სახლში და დამნაშავე ხარ...

ჩვენებურები სხვებიც მოგროვდნენ. შეეცქეროდით ქვემავსია ბავშვებოვით

რუსებს და რა გვექნა, არ ვიცოდით. ბო-ლის მოგვეტრიალდა: ქერა უღვაშებო-რუსი და გვეტრია...

- თუ გინდავი, დარჩენილი რუსები სახლში და წახლად გახედე, წესი უფლებას მოგცემო.

ჩემმა ბიჭმა ხელი მომკიდა, შემატყო, რო თვალთ დამიბნეულა...

სიკვდილს ვნატრობდი, ამოდენა სახლ-კარის პატრონს საკუთარი ქერი აღარ მექნებოდა ორ დღეში. თავის მოკვლაზე ბევრჯერ მიფიქრია, გაჭირვების ფაშს, სანამ ცოტა წელში გავიმართებო-დი, მაპატროს გამჩენმა, ამას რო ვამბობ, მაგრამ ცხოვრებას ისე მოუბუნებია თავი... ჩემი თანოების ჩემივე ხელით გამომიყვანა წინვა; როგორც იტყვიან ხოლმე. თუმცა, ზვლინდელი დღის იმე-დით ვადამიფიქრებია, სიმართლე გო-თხრა, ძანაც არ მივევარდა სიცოცხლე-თავი უნდა შეგავყაროს რალაცამ ან ვილაცამ, ძალით სიყვარული არ გამი-გია, ჩემმა სიცოცხლემ ვერ შემაყვარა თავი. როცა ლუკმაპური გვენატრებოდა ყმანვილკაცობაში და თავის გატანაზე ვიყავით, ეგრე ავცქეროდი ცას და ჩემს ვარსკვლავს დავეძებდი, იქნებ მეგოვა, დამენახა, როგორ ანათებდა. რალა ჩემი ვარსკვლავი გამოდგა უღიმღამო-მეთქი.

შევედი ცხოვრებას. ბევრჯერ და-მახეთქა, ბევრჯერ ამაცრუებინა გული ყველაფერზე, მაგრამ ღმერთმა ხელი წამამშველა, კარგი ცოლი შემამეგდრა, ის მაქნებდა ყველაფერში, ბრძოლის-კენ მომიბრუნებდა, ყურებჩამოყრის რო დამინახავდა, ხელსა მკრავდა. ქალი რო ეგეთი თინანი ვყავს სახლში, შენც გესირცხვილება მერე...

შევედი და ნამოვინე, ოჯახი ოჯახს დავამგვანე, აღარ დავინყებ თავიდან, მა-გრამ რა გამოვიდა, სადაც, ციმბირში თუ ურალში დაიბადნენ ჩემი ცხოვრების განამებლები, ჩემი ნუთისოფლის ჩამშა-მებლები. რა გამეკეთებინა, გავიქრება-ვი მინდვლა, ჭირისუფლად მეყვდა ჩემი ბიჭი. ცოლს დაურეკა, ისიც ჩამოვიდა. ქალაქში ნამსვლელი მე არ ვიყავი. მთელი სხეული მიკანკალედა, სიცხე მომცა. სამი დღე მოგვეცეს ვადა. სახლს ვათვალიე-რებდი და მეტრებოდა...


ჩემი ცოლი იქნებ ჩვენზე უკეთუ-სადაც ხედავდა ყველაფერს და ჩვენ-ზე მეტად გრძობდა ამ უბედურებას. ეს იქნის ახალგაზრდობისდროინდელი საათი, ცხინვალში წაყიდი, ძან უცნაუ-რად ხმაურობდა, თუ მე მეჩვენებოდა, არ ვიცი. არასოდეს მიგრძენია ჩემი სა-ათის ისრების ეგეთი დაგა-ღუგი. საათი ჩემს ჯიბრზე ხმაურობდა, თუ რა ვიცი. სამი დღე, სამჯერ ოცდაოთხი საათილა დარჩნოდა... ჩემს ჭურჭემ და თითქოს გამეტებით იმიტომ სცემდა, ბოლომდე უნდა დახარჯულიყო. იქნებ მე მეჩვენე-ბოდა. ყველაფერს სხვანაირი თვალთ ვუყურებდი.

ავიანზე გამოვიედი, სანამ შულამ-დებოდა. მერცხლის ბუდეებს შევხედე. ჩემს სახლთან ერთად ჩემი მერცხლების ბუდეებიც უნდა მომლოლოყო, მერცხლე-ბისთვის როგორლა გამეკვირებინა, რაც ხელებოდა. როგორ მეტყვიებინა, რო მე არ ვიყავი იმათთვის ბუდეების მომშლე-ლი, თბილ ქვეყნებში წასვლასაც არ ვაც-დიდი, როგორ გაიგებდნენ ბინდებოდა და აივისს კუთხეებში ტალახით და თვით ამოყვანილ ბუდეებში მიყურებულყენენ.

ველარ შევიკვე თავი, ტრადი დაფი-წყე. ბოთე მომეგვალსუნა ფეხებზე, თით-ქოს მანუგმა, მერე იქით შევყვავა, სადაც ის არსახსენებლები იდგნენ.

დავენეტი, ახალი შულამებული იყო. გული გახეთქვას მქონდა. ალბათ, ეგრე მენერა, რალა მაინცა და მაინც ჩემი სახლი, რალა მაინცა და მაინც ოჯახი... „სხვისი ჭირი, ღობეს ჩხირი“-ო, ეგ ანდაზა აღარ იაზრებდა ჩემთვის. ახლა უფრო გავიგებდი იმ ადამიანების სიმწარეს, თავიანთი ნანვალ-ნადაგი სახლებიდან რო გამოყარეს და აქეთ-იქით დაფანტეს.

ამ უბედურების ქარბუქში, როცა ცო-ცხალი ვადავრი, როცა ჩემს სახლ-კარს პნკალი არა ხიბდა ავარდნილი, გარედან



კი გამოვსახავდი ნუბილას და უბედურებას, მაგრამ სადღაც მანაც ვიყავი ბედნიერი, რო მე არ შემეძლო ეს ყველაფერი და მივხვდი, რომ აქამდე არა მტკუნია, აქამდე არ მიტრია ამ უბედურებაზე, ვერც ჩემს სახლს არ მოადგენენ...

ბოლო სიზმარი ეს იყო ჩემს სახლში, იმის მეტად აღარ მიძინებია და აღარც სიზმარი მინახავს. დაძინებაც ვე იყო და სიზმარიც.

რამდენი ხანი შეძინა, არ ვიცი. ნიშნად გადმოასხა, აივანზე ვინეტი, დავსველი და მაგ დროს გამოიშლიდა.

სახლს ვამეხებდი სიზმარში. ჩემი ბიჭი ხარამოზე აგურებს მანვლიდა. ვალაგები აგურებს, ვითომ კედლები ამოყავდა, მაგრამ ისევ ისე კი იყო. სარქისას სიცილი მესმოდა, ვერ ვხედავდი. ოფლი გადამდიოდა.

— უნდა მოასწრო, უნდა მოასწრო! — მიყვიროდა სარქისა და თან ხარხარებდა.

— რა უნდა მოასწრო?

— დალაშქრებდი თუ არ ამოიყვანე კედლები, ისევ თავიდან მოგიწევს, მზე თუ ჩავიდა, შენი ამეხებული სახლი ისევ დაინგრევა.

— მომიხმარე, — ვერ ვხედავდი, მაგრამ ვხევენებოდი სომეხ კალატოზს.

— მე უკვე ავიშენე სახლი.

— სად წავიდა, თუ ამიშენე!

ჩემს ცხინვალელ მეგობარს აღარაფერი უთქვამს. მზეს ახედავ, უკვე ჩასვლას აპირებდა.

— რო ვერ მოვასწროთ, მამა? — მკითხა ჩემმა ბიჭმა, — იქნებ მზემ დაგვიცადას და არ ჩავიდე. ხო შეიძლება შევეპრალოთ და ჩასვლა დაავიანოს.

— შეიძლება, შეიძლება. შევეპდრე და არ ჩავა.

დაიჩოქა და მზეს ხეწნა დაუნყო. მზე ერთი ხანობა უძრავად იყო ცაზე, ფეხს არ იცვლიდა, მაგრამ ჩემს გამო რო აღარ დალაშქრებდა ხალხს, ეს როგორ შეიძლება? შეხედავ და ჩემი ძალიან ადამიანოვით მეხმარებოდა, აგურებს მანვლიდა, ხან არეულ დულაბს ამოიღებდა ვედროთი ხარამოზე. თვალებს არ ვუჯერებდი.

ვერ მოვასწარი დასრულება, გამდნარ ოქროსავით ჩაინურა მთის უბეში მზე და ვიგრძენი, რო ჩემ გამო დღე და ღამე არ შეიცვლებოდა.

— დაშალეთო, მაგ ნაბიჭვრებმა, — თქვა ირაკლიმ და თვალები შემოიპაპრა. ხმა არ ამოიღია, ვიდეტი და ისე გავცქეროდი ჩემს სახლს, თითქოს კარგად მინდოდა, რო დამეხასოვრებინა, როგორი იყო ჩემი სახლ-კარი, ჩემი ნაწვალ-ნადაგი არე-მარე, თითქოს ჩემი ცხოვრების ფურცლები, ახალგაზრდობის წლები, სარეცხვით იყო აივანზე გაფენილი და სათითაოდ ვაკირდებოდი. დავუჭავდი თვალებს, გავახედი, გრძელდებოდა ასე.

— იმათ დანყებს გამოხიდევა, — ჩაიბუტბუტა ირაკლიმ.

— ვინ იმათ? — უაზროდ ვკითხე, თან ჩემს ფეხებთან განოლილ ძაღლს, რომელიც სახლიდან სიკვდილისთვის ნასასველი (როგორც იციან ერთგულმა ძაღლებმა) მზერით ამომცქეროდა.

— კაკომ და გუგამ, — გააგრძელა ირაკლიმ, — სახურავები აშალეს, რკინებს ეხილეს.

მომიჩვენა, რო ჩემი ძალი ყმუოდა. სახლისკენ ვეღარ გავიხედე. შემატყო ირაკლიმ, რო ნაფიქვოდი, ხელი მტაცათან მამშვიდებდა, თან მტუქსავდა, — ცარიელ-ტარიელი დარჩა ხალხი, მაგრამ თავები არ დაუსოცავთ. ხო გითხარი, ყველაფერს მივხედავ-მეთქი, ამონყვეტილები კი არ ვართ.

— გამწყდი ახლა, — კაკომ კინაღამ ყბაში გაკრა ვიღაც უცხო, ტანმალალ კაცს, უფრანოსტები რო დასადეიდნენ. ოდნე მოშორებოდა ვეროშული დამკვირვებლების ლურჯი, ანტენებიანი მანქანები ყვნა. უცხოელი დამკვირვებლები

ჩვენს სახლს არც მოსულან, მოშორებით იდგნენ და დურბინებით აკვირდებოდნენ რუს მესაზღვრეებს, რომლებმაც ეკლიანი მათულები ქვევით-ქვევით გადმოიწეს და ჩვენი უბანი იქით მოიტვიცეს. ენაჩავარდნილი ვიდეტი, თითქოს ვერც ვერავინ მხედდა. ირაკლი ოდნე წინ იყო, ხან ჩვენს სახლს გახედავდა, ხან უფრანოსტებს მისჩერებოდა, ხან კაკოს, რომელიც ცოტა ხანში გინებაზე გადავიდა.

— ეგა ქვით აი, ეგა, თქვენი უნამუსო დედა... მგელი მგელი და აგურა, მართლა მოვიდა მგელი, მიყურეთ ახლა ეგრე. ფეხებზე არა გკიდიათ ჩვენი უბედურება, ტელევიზორში გამოსაჩინად რო გინდათ მარტო, მანაკებო თქვენა, — გარშემო ვინც ვხევიდა, ყველას აგინებდა... — გავეცი პასუხი აბა, ან მე, ან ამ კაცსა, — ჩემკენ გამოიშვირა ხელი.

მთელი ცხოვრება ამ სახლს შევკალი და ჩემი ხელით ვანგრე... ოდნე მოშორებით კაკოს ცოლი — ლეილა მოთქამდა. კაკოს ბიჭები, აპლილი ხეივანის მიღებს ეზიდებოდნენ. სიკვდილი მინდოდა, მაგრამ ვინ მომცა მაგის იღბალი. სიკვდილსაც იღბალი უნდა.

ორი თუ სამი უფრანოსტი ჩემკენ გამოემართა. ის უცხო კაცი, თხელწვერიანი, კაკომ რო ხელის კვრით მოიშორა, ომანიანად გაიძახოდა:

— ამაზე მეტი უბედურებაც გინახავს, მაგრამ არ ნავეციუღვართ. თავიანთი ხელით აიღებენ მათულებლართებს. აი, ნახავთ, თუ არ აიღებენ, მთელი მსოფლიო გვიყურებს, ხმა უნდა ამოვიღოთ... კაკო უარესად განმარდა.

— ვინ მთელი მსოფლიო, ვინ გვიყურებს, — არც ნაილო, არც ნაშილო და თხელწვერიანს, ვერ გეტყვი პოლიტიკოსი იყო თუ ვიღაც ჯანდაბა, შიგ სახეში შეაფურთხა.

მეგონა, რო ის უცხო კაცი კაკოს ობოლი კნუტივით ამოიღებდა ილიაში, მაგრამ ფეხიც არ გაუნძრევია, ცხვირსაბოცი დინჯად ამოიღო, ფურთხი მოინმინდა და ისევ გააგრძელა.

— რატო გგონია ასე?

— მეგონა კი არა, ცხოვრება დამენგრა, შენი დედა მ...ნ — გაინია კაკომ, მაგრამ იმ თხელწვერიანის მხლებელმა ახალგაზრდა ბიჭებმა გზა გადაუღობეს, — ნადი, ჩამოიყვანე შენი ცოლ-შვილი და აქ იყავი... ესენი გიშველიან? ამათი იმედი გაქეთ? — დამკვირვებლების მისამართით სამსართულიანი გაუშვა, — ნყალს არ დაგალევიანებენ და ზამთარში თოვლს არ მოგცემენ. ემაში იღებენ ეგენი ხელფასს, ჩვენი უბედურების ცქერაში... შენაირებიც უნდა არსებობდნენ, ამ საქმეს ეგრე „აჭირდება“. კაკო, არსენა და გუგე, ვის რა ფეხებზე გკიდია.

ის ორი უფრანოსტი, როგორც ახლად ხორცს მისეული კრახანები, ვერაფრით მოვიშორე. ნერვები კბილებით მეჭირა. ერთმა მალაღმა ქორფლიანმა გოგომ ლამის ცხვირზე მომადო მიკროფონი. შევბვირე, მაგრამ ვერაფერი ვუთხარი. ქალისთვის რა მეთქვა, კაცები უარესები იყვნენ. სერიის საყურებლად უფრო მეტი ხალხი გამოჩნდა, მოდიოდნენ და მოდიოდნენ მანქანები. სულ უცხოები იყვნენ, ვერავინ ვიცანი. ერთი ჩვენს გამგებელს მოკარი ამდენ უცხოის შორის თვალი. გამტკნარებული სახით იდგა. ვერც მოდიოდა ახლო, რომც მოსულიყო, რა უნდა ეთქვა. ის რას მიშველიდა, ან საერთოდ ვინ იყო ჩემი მშველელი.

ის ქორფლიანი გოგო, უკან რო ჩაგვერა ბიჭი დასდევდა გადამღებოდა, ხან აქედან მომივლიდა, ხან იქიდან.

— რას აპირებთ?

მუნჯივით ვიყავი, თითქოს ენა დამშორებოდა.

— უკაცრავად, სულ ორი სიტყვით გვითხარით, როგორც გვითხრეს, თქვენი სახლიც იქით რჩება და რას ფიქრობთ...

ირაკლიმ მომაცილა უფრანოსტები, ხელი გამიყარა და გვერდით გამიყვანა. უკანასკნელ ნუთებში იყო ჩემი ცოლი, სულს ეზრძოდა.

უკანასკნელად ავედი ჩემი სახლის კბეზე, სუნთქვა მიჭრდა. ნაბორძიკი, მეზობლის სახლებს გავხედე, უკვე მოე-

სწროთ კაკოს და გუგეს სახლების დაძლია. იფიქრებდი, რო კარგა ხნის მიტოვებული იყო მათი ნასახლარები.

— დღეს უნდა დაგვტოვოთ სახლი... — დაიჭრუნა ირაკლიმ, — ვანოს სახლში გადავიყვანოთ დედაჩემი, სხვა გზა არ არის.

მივედი, ვთხოვე მესაზღვრეებს, კვდება ქალი და ორიოდ დღე დაგვცადავით, რო საკუთარი სახლიდან მანაც გავასვენოთ-მეთქი... მაგათო...

შევედი და ვერც შემამჩნია ჩემმა ცოლმა. სუნთქავდა, მაგრამ უკვე იქით იყო. ვგრძნობდი კატოს ნასახლარად ჩამოსული ანგელოზები ტრიალებდნენ ჩემს სახლში, მაგრამ ვერ ვხედავდი...

— ბიჭებს მოგახმარ, თუ გინდა, — ალაღად მითხრა გამგებელმა. ვატყობდი, რო ძაან შევეცოდე, — ცოტა რაღაც მანაც გამოიტანე, სასახლკარე ნაკუთის მოგცემ...

— რა გამოვიტანო? — შეხედე და მეგონა, რო სხვისი ხმა ამოვივია, ვგეით ხმა არასოდეს მეჩინა. როგორ არ გებრახებულავარ, როგორ არ გავგიყვებულავარ, როგორ არ დავდარდიანებულავარ, მაგრამ ეს სხვანაირი ხმა იყო, სადაც შენახული ამ დღისთვის.

— რკინები ნაშილი, ავეჯი გამოიტანე... რაეი... — მხრები აიჩეჩა, — სავეს სახლი გაქვს.

— ვიფიქრეთ, მე და ჩემმა ბიჭმა მაგაზე, მაგრამ... — სიტყვები რო ამოდიოდა, ვგრძნობდი როგორ ისერებოდა სული, — არაფერი გამოვა. ვერც მე ვერაფერს გამოვაცილი ჩემი სახლის კედლებს და ვერც ირაკლი. რაც არი, ეგ არი...

ერთი ხანობა ჩემი ბიჭი ნავეჩქეზე: — მიდი, აივინდან რკინის მიღები აყარე, ხეივანი დაშალე-მეთქი.

სიმართლე გითხრა, ვიცოდი, რო ამის გამკეთებელი არ იყო, მაგრამ მანაც გამოვცადე, რისთვისაც გამოვცადე ძელი მისახვედრი არ არი.

მწარედ გაეღიმა, ხელი ჩაიჭინა, არაფერი მითხრა, მიხედა, რო ვცდიდი.

ჩვენი ბიძაშვილის — ვანოს სახლიდან გავასვენეთ ჩემი საცოდავი ცოლი.

ვერ ვიჯერებდი, რო კატოს ცხედარს მივეყვებოდი. ტირილი მინდოდა, მაგრამ ცრემლი არა მექონდა, ვერც გამშრალი მივდევდი. არცა ჩანდა კუბოში, ისე იყო ჩამქრალი, მინისთვის ხორცი არ დავტოვებინა, ცარიელა სუდარა იყო.

მივდიოდი, უფრო სწორად მივართვედი ფეხებს. მეზობლები მიდგნენ აქეთ-იქით, მამხნეებდნენ. თითქოს მთელი ცხოვრება ნინა მექონდა, სხვა ცოლს შევირთავდი, კატოს უცბად დავივიწყებდი და ახალი ფურცლიდან დავიწყებდი ყველაფერს. ჩემი ბიჭიც გვერდით მომდევდა, ისიც ცრემლ-გამშრალი. მალ-მალე შევალე და ნათესავების მხრებზე შედგმულ საკაცეს თვალს, მაშინ შევამჩნიე, რო ნაადრევად გატეხილიყო, უდარდელა და ფეხებზე მკიდია რო მეგონა ერთთავად, დარდიანი კაცი ყოფილა. დედის სიკვდილის მერე გამოუფინა სახეზე, რაც რამე დარდი მქონდა.

ვანოს ეზოში დავასვენეთ უკანასკნელად, ვიდეტი და დავცქეროდი. ჩვენი ცხოვრების სიზმარი თითქოს აქ დასერდოდა, აქ გაიღია ის ბედნიერი ღამე, ერთად რო ვიყავით.

— რა იქნებოდა, შენს სახლში დაეტირებინე უკანასკნელად შენს ქმარ-შვილსა, კატო, — ნამოტირა ჩემი ბიძაშვილის ცოლმა.

თვალთ დამიხნელდა. ნყალი დამალევიანეს. კუბოსთან ჩამოვეცი, გაციულ შუბლზე ვეფერებოდი, ცოტა ხანში მეც ხო იგივე დღე მულოდა. ან რაღა საცოცხლებელი ვიყო.

ახალ სასაფლაოზე დავკრძალეთ. სასაფლაოც ხო იქით მოექცა. ეკლიანი მათულების იქით. იქით დარჩნენ ჩვენი მიცვალებულები, კატოს შობილებიც იქით იყვნენ, ჩემებიც.

ახალი სასაფლაო სოფლის ბოლოში მოზომეს ჩვენებურებმა. ტრიალი მინდორი სასაფლაოდ ჩემმა ცოლმა გადააქცია, პირველად მისი სამარე გაიჭრა.

დავტოვე მარტოდმარტო ჩემი ცოლი და ნამოვივდი. მე ვერ ვუყურე, მინა როგორ მიაყარეს, აქეთ გამოვედი, უფრო სწორად გამომიყვანეს. მინის გრუხუნის ხმა გაისმა და მომკვეთა ფეხები. ცოცხალი კი ვიყავი, მაგრამ ვიგრძენი, რო მეც დავმთავრდი.

პატარა ქელები გადაეხადეთ. დიდი სუფრის გაკეთებას აპირებდა ჩემი ბიჭი, მაგრამ ვისთვის გაკეთებინა, სადა იყო ხალხი. ჩვენებური მღვდელი მამშვიდებდა, კატოს სულზე მესაუბრებოდა. სიმართლე გითხრა, ნახევრად ვუსმენდი. მე ამქვეყნისა უფრო მწამდა. სამოთხეც აქ არი და ვოჯოხებითიც, ვისთვის როგორ.

— კატოს სული ორმოც დღემდე თავის ჭურჭელში იტრიალებს, ორმოცი დღის მერე დატოვებს ოჯახს მიცვალებულის, — მამა ანდრომ მითხრა. დღოცების ნიგინი მარჯა, — დღლა-საღამოს გარდაცვალებულების ლოცვა ნაუკითხობ. ისედაც მადლიანი ქალი იყო და სამოთხეში მოხვდება, მაგრამ ლოცვებითაც წახებარეო.

ჩემს ლოცვას რა შეეძლო, მამაოს ნაჩუქარ ნიგნს დავცქეროდი და კატოზე მედარდებოდა. ცარიელ სასაფლაოზე, შემოლობილიც რო არ იყო, მარტოდმარტო რო დავტოვე. სულ მარტოობისა ემნოდა ხოლმე, ირაკლი რო ქალაქში მიდიოდა, მაგაზე მოთქვამდა:

— რა გვეშველება, რო აღარ დაბრუნდესო.

ახლა სულ მარტო დარჩა. სანამ მე მოვეკვებოდი, ეგრე იქნებოდა და უნდა გაეძლო რამენაირად. ორმოცი დღე მისი სული თავის ჭურჭელში იტრიალებს და მერე ცაში ნაიყვანენ ანგელოზებიო. სადაღა მექონდა ჭერი, ან ოჯახი სადაღა ჯანდაბაში მექონდა. გადაღობილში დარჩა ჩემი სახლ-კარი და კატოს სული, ალბათ, იქ იტრიალებდა ორმოცი დღე. სულს ხო ვერ დინახავდნენ რუსები, ორმოც დღე მიხედავდა იქაურობას ჩემი ცოლი და მერე... ცაში ამაღლდებოდა. ცაც იქით იყო, ცაც ჩემი სახლიდან ინყებოდა.

ბაღის ბოლოში ფარდული გადავაკეთეთ საცხოვრებლად მე და ჩემმა ბიჭმა. ათასი წვრილმანი რაღაცები გვეყარა ხოლმე, გამოვყარეთ ის ყველაფერი და იქ ვათენ-ვალამებდით. გადაღობილში დარჩენილ სახლს იქიდან გავცქეროდით. კოვზი რო კოვზია, ის არ გამოიტანია, ვგრევე დავტოვე. ვერაფერს ვერ მოვაკლებდი იქაურობას. ყველაფერი ისე უნდა ყოფილიყო, როგორც დავტოვე, მაგრამ რას გააჩერებდნენ ციმბირიდან ჩამოთრეული ნუნკი ოფიერები, მიშქონდათ ყველაფერი. ამას აღარ ვჩიოდი, ნაელოთ, ოლონდ არ დავნგრიათ. საკუთარ სახლს რო ბუჩქებიდან უყურებ და იქ მისვლის უფლება არ გაქვს, ამას ცხოვრება არ ჰქვია. ეს არის სიკვდილზე უარესი სიკვდილი. მერე... — ნიკაი აუკანკალდა, ცრემლები ვეღარ შეიშავრა, — რა ვიცი, იტყვიან ხოლმე, ალბათ, ეგრე იყო საჭირო, ვერ ამიხსნია, რატო უნდა ყოფილიყო ასე საჭირო. მაინცა და მანაც ცუდზე, უბედურებაზე უნდა ვთქვათ რო ეგრე იყო საჭირო, იმიტომ, რო ვერაფერსა ცვლი, უმნეო ხარ, კნუტივით უმნეო.

ორმოცი დღე იქ იქნებოდა კატოს სული. თავის არე-მარეს მოუფერებოდა და მერე ნავიოდა ღმერთთან. მეც იმას ვნატობდი, იმ ორმოცდღიან ყოფას ვნატობდი. მაგრამ ხო ვთქვი სიკვდილსაც იღბალი უნდა. ჩემ სახლად ახლა ჩემი ცოლის საფლავი იქცა. ყოველდღე იქ ვივდი, თვალებს დავსუჭავდი და ასე მეგონა, რო ჩემს სახლში ვიყავი. ესე, გვერდიგვერდ ვისხედით მე და კატო და რაღაცებს ვისხენებდით.

გამიქვავდა მოგონებები, მთვარე ისე ნამომადგებოდა ხოლმე თავზე, ვერც კი ვიგებდი. ჩემი ბებერი ძალი გვერდიდან არ მშორდებოდა, ინვა საფლავის გვერდით და თვალებით მისამძივებდა. ენა არა სჭირდებოდა ძაღლის სამძივარს, ისედაც მაგები-

ნებდა. როგორც მე დავებრდი უკანად, ისე ის დანახანკადა, ბოთეზე გეტებნები. ძლივლა დალასლასებოდა, მაგრამ მანაც უკან დამბრუნდა. სიმში ცხრეობნტილ ბაღის ბოლოში რო ფარდული გაქონდა მე, ჩემი ბიჭი და კრემლ ბოთე (ირაკლის მოყვანილი ლეკვი იყო და სახელიც იმან დაარქვა).

ზაფხული ისე გავიდა, ვერც კი გავიგე. ვეღარც მზეს ვხედავდი და ვეღარც ცას. ჩემი სახლის აივანის ბოძებზე თავიანთი ბუდეები ნაადრევად მიატოვეს მერცხლებმა, ფარდულს დასტრიალებდნენ, შემოგვეტურტულებდნენ. მერე, ბუდის გასაკეთებელი ხეირიანი ადგილი ვერ ნახეს, თუ აქ გული აღარ უჭერდებოდათ, თბილ ქვეყნებში წავიდნენ. იქ, ალბათ, ხელუხლებელი დახვდებოდათ ბუდეები. გავცქეროდი და ვტიროდი, მერცხლებიც დავკარგე ყველაფერთან ერთად.

— ისევ ჩამოვლენ, — მანუგეშებდა ჩემი ბიჭი, — ვიცი მე მერცხლების ამბავი, თავიანთი კერას არ მიატოვებენო.

სადაღა იყო კერა. ცარიელ სახლს, უფრო სწორად ნასახლარს, როდის იყო, მერცხლები უბრუნდებოდნენ.

— ბოთეე! ბოთეე! — ვეხხდი, ვუსტყენდი, არსად ჩანდა.

აქამდე, ერთს გავძახებდი თუ არა, ფხატანს მოიტანდა და ფეხებში გამიგორდებოდა ხოლმე. გადავატრიალე ყველაფერი, სად აღარ ვეხებე, ყველა კუთხე-კუნჭული მოვჩხრიკე, ხან შინდების ქვეშ ვეძებე, ხან ძველი ხალხის უკან შევძებოდი... ცამ ჩაყლაპა თუ დედამინამ, ვერ გავიგეთ.

გული ამომიყარდა ძებნაში, ისედაც სუნთქვა მიჭრდა და ლამის სული ამოვივია. ქვაზე ჩამოვუვექი, ირაკლიც შემოვიდა.

— არსად ჩანს, სად აღარ მოვიკითხე. ნინა დღეს სასაფლაოზე რო გამოიყვია, თვალბში ვატყობდი, რო დიდი დღე აღარ მქონდა და გვერებდა, სადღისი ჩამარტყეს, ზურგზე, ისე ნამოვხტი.

— ხო არ მოკვდა... — ვთქვი და ჩემს ბიჭს შევხედე.

ირაკლი გაფითრებულ სახეზე მომჩერებოდა, შევშინდა, არაფერი დაემართოსო.

— რა მქონდა სასიკვდილო, — შეიცხადა, თუმცა, ჩემს სახეგემოდ უფრო თქვა. რაღაც ისეთი ძალა მომეცა, ასე მეგონა, სხვისი ფეხებით გავბობიდი.

— სად მიდხარ, კაცო, — მომადვენა ჩემმა ბიჭმა, — მამაა, სად მიდხარ-მეთქი, — ბოლოს ისიც უკან გამომიყვია.

გული მეუხნებოდა, რო იქით გადავივლიდა ჩემი ძალი.

ნამომენია ირაკლი.

— იქით იქნება.

— სად იქით.

— ჩვენს სახლში.

— ბოთეე! — გასძახა ირაკლიმ, მერე ჩაუსტყინა.

ეკლიან მათულებთან ახლოს მივედი, გავხედე და შემომტირა ჩემმა კარ-მიდამომ. ვაზი ძირს ვყარა, ჭნგა და ჭნგარი ნამოსულიყო ეზოში...

უყურებდით და შორიდან, თვალებით ვეფერებოდით ეზოს, ცარიელ კედლებს.

ენკისთვის მზე ადგა აივანს. აქედან გახიზული მერცხლების ბუდეებში იმალებოდნენ მოდლებული შემოდგომის მზის სხივები.

კიბის ქვეშ იწვა ბოთე.

— აგრა, სადა ყოფილა, — ირაკლიმ შეამჩნია.

თვალები გამიბრწყინდა, თითქოს ჩემს სახლში დაბრუნების უფლება მომცეს და პირველი ბოთე შევიდა. ძაღლს გავაძახე.

ირაკლიმ ჩაუსტყინა და კენჭი ესროლა, მაგრამ არ განძრულა. პირველი იწვა, სახე ეზოს მხარეს მქონდა.

— ბოთე!

ბოთეს არც ჩვენი ხმა გაუფია და არც კენჭის შეხება უგრძენია.

შეხედე და ზუსტად ისეთი თვალეტი მქონდა ირაკლის, როგორიც მაშინ, სახლის დაცლა რო მოგვთხოვეს რუსებმა.

ნატალი დარასელია

რიგი და ადგილი. მე როგორც ბარიუმი. ქარი ცეცხლის ენებს ბოროტად აშიშინებს და ისამინები, საპერბარიუმო ქალაქებს, ქალაქებს, ქალაქებს აშიშვლებენ. მე კი მაშინებენ ჩონჩხები. ფიტულები. მიდიან, ათასგვარ ლეგენდას მიტოვებენ. ცრემლებით მოკირწყლული ნავი და იალქანი. მეც სადღაც მიმაქანებს, შენც სადღაც მიგაქანებს. მე შენი თითების უხეში მინანქარი ჩემ ჭუჭყს იმედის მტვერით მივაცარე. ბრწყინვალა ლოლუები. ბრწყინვალე ლოლიავი. ტერფები. ბარდაყები. ქუსლები. წვივები. ხის კისერს ჩამოვკიდე, ვით თეთრი მძივები. შენ ველარ მომივლიდი. მე აღარ მოვიარე. ვით შენი მიწურის უტყვიო მოპიკანი. ვით შენი აკლდამის თვალთა კარიბჭე. შენს ფინრო სხეულს და მუმიებს მოვაცენი და მაინც არ გიჭერ. ამ ნაჭრის ყვავილებით მინდვრები არ აივსო. ან ეს თუ გზა არის თუ ეს გზის სიგრძეა? და როგორც არასდროს და როგორც არავისთან, ასე უსუსურად თავი არ მიგრძენია. არ არის თვალის ოდნავი ქაჭანება. ჭინკები ჭიშკარზე თილისმას მიწებებენ და ასე მხიარულად შორს გამაჭენებენ ჩემი უმკითხველო ლექსი და ნანერები. ჩემი აბდაუბდა. კუთხეში აბლაბუდა და მდებრი ობობა კედელთან ობობდა და ომი დასრულდა. მეთათე სართულზე ვდგავარ და ავგაროზად მიჭირავს კატის ბენვი, ლურსმანი და ნალი. უნდა ამოვიძრო ეშმაკი და გავროგზო, რომ ჩვილი ღმერთი გვვა და შიგნით ჩავმალო. და. და. და. თუ. თუ. ან.

მე წავალ უთუოდ, მე წავალ ბითუმად. თქვენ ჯვარი გენეროთ. თქვენ შინ ხართ. მე გარეთ. გესმოდეს სიღვია, მაია, მარგარეთ და ჩემი დაკარგვა დედაჩემს ახარეთ ვით ბეთლემს იესოს შობა და ღმერთობა. თუ კი რამ დღემდე მწამს და აღარ მეთობა, შენა ხარ ღმერთო და შეუნიდ ჩემს ოთახს, რომ მე დღეს ლევი ვარ, სრულიად შეშლილი. და ჩემი გონება, დამწვარი ნეშტით იბნევა. მთავრდება ჩემი მოთმინება. თქვენ ჯვარი გენეროთ. თქვენ შინ ხართ მე გარეთ. გესმოდეს სიღვია, მაია, მარგარეთ და სადღაც უტოტო ატამს მიამაგრეთ ჩემი მზა კიდურები. ნეკნების კარუსელი. სხეები ვერ გაუძლებენ, რასაც მე გაუძელი. მშვიდობით ყვავილებო, ნაჭრის ყვავილებო და საკუბოვად განწირულ ყვავილებზე ყვავი ზის. ყვავივით შავია ყვავილები.

რაცაჩეყოლ ბეცნიერებს

ვმორდებით დლითიდე. მორეცხა წვიმამ გზა საერთო, საჩვენო. მეც შენი ვიყავი ოდესღაც, მაგრამ ვერ გაჩვენე. შენ, ჩემო სიმშვიდის ემბაზო! შენ, ჩემო სინათლე! უეფწნო დღეების მონა ვარ. მშიშარა

ჩიტს, მინდა, შენს ფრთებქვეშ შეყუყუა. სიტყვები გაცვდნენ და ამბობენ (თუმცა, სურთ რამის თქმა არც არასა.) დრო მიდის. დრომ შენგან დამცალა. და ყინვამ მოდორბლა შროშნები. აცივდა. შორს დარჩი. შორს ხარ შენ. მშორდები. მშორდები. მშორდები. ვით მზის სხივს მცივანა შროშანი. შენ სადღაც. მე სადღაც. შენს შვილზე გამობმულ მკლავებს და კისრისქვეშ მისრესილ ტუჩებს ვგრძნობ. შეშლაა, რომ ჩემს თვს ვაქებ რისკისკენ. და ცივი, ვნევარ და გიხსენებ. ჩვენი გზა. ჩვენი ცა. იკლებს დრო. სხვისი ხარ. ფანჯრებზე სისველე. და ვცდილობ, რომ შემოვიკედლო შენი ხმა – თითები ჩელოზე. ტანი კი – ჩემი სხნის აკლდამა. მე ვფიქრობ შენს გადარჩენაზე და დღეებს მზის სხივი აკლდება. სხეულში ვიტკივებ შენს ნეკნს და ფოთლებით, ყვითელი ფოთლებით საჩვენო საბანი გავკერე და მთვარე დაგიდგი ბოთლივით ტუჩებთან. ურჩი ვარ. უბრად ვარ. გზატყვ და გიყურებ. მჭირდები. შემეძლოს, ხომ ვისაუბრებდი, რომ მსუსხავს სიკვდილის ჭინჭრები – მანძილი. რიდი და ტანი სხვა. მე ბედნიერება მოვკალი, რომ სისხლი ვლოკო და დავისხა იმ ცეცხლზე, უშენოდ რომ დამწვა, როცა შენ სხვა ცეცხლში მიწვები, სიტყვები. ამ სიტყვებს რომ დავწვდე,



ნატალი დარასელია. დაიბადა 1997 წლის 27 სექტემბერს ქალაქ ზუგდიდში. 2015 წელს დაასრულა სოფელ ჯუშის საჯარო სკოლა და სწავლა განაგრძო კერძო კოლეჯში „გამა“. ამჟამად, არის თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პირველი კურსის სტუდენტი ქართული ფილოლოგიის მიმართულებით.

რომ ადრე დავახმო წინეები. გწერო და გიკითხო. მაგრამ ვერ. მშორდები. მშორდები. მშორდები. მე უკვე გაფანტულს გავგროვებ და ისევ ჩივიან შროშნები. აცივდა. ღრუბლები დაცვივდნენ. შენ ფრთხილად იყავი, რომ ახლა გათბე და მერე არ გაცივდე სანამ თოვლს და ყინვას მოგახლის ზამთარი და მე მზეს მოგახმარ. სადღაც გგრძნობ. ჩემში და ჩემ მიღმა. შენ ჩემი ტკივილი მოგახმა და ამით, მით უფრო ჩემი ხარ ვიდრე მის, ვისიც ხარ მიხედვით ნესის და კანონის. მიყვარხარ. მიყვარხარ, რომ ჩემ თავს მიხედო სხვისი ხარ. გიპარავ. მიმყავხარ ზღაპრისკენ. ლეგენდა. მითები. ვმორდებით დლითიდე. მორეცხა წვიმამ გზა და მე შენ მითბები, რომ შენი მეც მერქვა ოდესღაც.



ვლადიმერ ტანტურიძე

ძენა

დგას მდინარის ნაპირზე ობლად ძენა ეული, როგორც ქალი, მტირალი, საკინძამოხეული. დგას და შორეთს გაჰყურებს, დგას, ვილაცას მოელის, ნეტავ, რაზე ქვითინებს, ამ გზით, ნეტავ, ვის ელის. ქარი ჰყვება, მას შემდეგ დიდი დროა გასული, როცა დედას მოსტაცეს თვალთუფუნა ასული. გაზაფხულის ლანქერით მღვრიე ტალღა ბორგავდა, გოგო კრეფდა ყვავილებს – ყვავილს თვითონ მოჰგავდა. შეშხაროდა გაზაფხულს, აყვავებულ ბუნებას, ზეცას, ლურჯად მოხატულს, მდელის აბიბინებას. უცებ მწვანე მდელოზე მუქი ჩრდილი დაეცა, გოგოს, დამფრთხალ ნუკრივით თვალი გვერდზე გაექცა. შეკვივება მოასწრო, შემოისვეს ცხენზე და... დეზნაკრავი ზერდაგი გზას შეუდგა მთებზედა.

დედას შვილის კივილზე ელდა ეცა, გახვევდა. ქალი-ძენა ღამეებს აქ ლოცვაში ათევდა... სადაც შეგხვდეთ წყლის პირას ძენა, მდგომი ეული, გაიხსენეთ, დედაა შვილებმოტაცებული, ძენაად გადაქცეული.

მორეცხა

კიდევ ერთხელ გაზაფხულდა, გაიხადეს ქალებმა. კიდევ ერთხელ გაიხარეს დასამინმა თვალბმა. მელიმება, ლამაზ ტანზე შილიფად რომ იცვამენ. რასაც უნდათ, გაჩვენებენ, თან ეტიკეტს იცავენ. შორტები და მოკლე კაბა, ბათუმში ვარ, მგონია. ზოგიერთი ისე დადის, პლაჟი მონაგონია. ბევრი ისეთ მოდას აჰყვია, ჩახეული აცვიათ. აცვიათ, თან არც აცვიათ, აი, მოდერაცია!

ჩივილები

მე შენი თმები დამაბრუნებენ... მირზა გელოვანი მე შენმა თმებმა იქ დამაბრუნა – ნარსულ ზღაპარში, იმ ბავშვობაში, ჯერ გაუმხელელ პირველ სიყვარულს ყაყაოებს რომ ვუნწავდი თმაში. ნეტავ, ნამდვილად დავიშახურე, ან, იქნებ, უფალს ასე ენება: შემფეთებოდა ამ გაზაფხულზე შუქით ავისილი შენი მშვენება. შენმა ლიმილმა, შენმა ანცობამ, ჩემთვის სამყარო ისე შეცვალა, გადამაყინა, თმაშეთერებულს, სიყვარულისთვის აღარ მეცალა. და თუმცა ამბობ, რომ ხარ დადლილი, მძიმე ცხოვრებით განანამები, მე უშურველად მაჩუქე მაინც ბედნიერებით სავე ნამები.

ამ გულში ისე თბილად მოეწყვე, როგორც მერცხალი თავის ბუდეში უცხო ქვეყნიდან დაბრუნებული... ჩემი ცხოვრების გახდი ნუგეში.

შენი ხმა, ასე ტკბილად სასმენი, შენი თითების ნაზი შეხება, იმდენად ავეებს ჩემში ყველაფერს, სხვა არაფერი აღარ მეხება.

სიზმრისეული ნეტარებისგან რძისფერ ღრუბლების ზღვაში ვბანაობ, შენი თმით დანწულ საქანელაში ბავშვივით შენთან ერთად ვნანაობ.

... მალე შორს წახვალ, დრო აღარ ითმენს, აგინყლიანდა უკვე თვალეები, მე კი დამრჩება სახსოვრად შენგან ბედნიერებით სავე ნამები!

შენა ხარ ჩემი ცისკრის ვარსკვლავი, ჩემი მზე, ჩემი ნათელი მთვარე. არ ვიცი, რატომ, ქალებს ვუყვარდი, ყველას მაგიერ შენ შეგიყვარე.

შეგიყვარე და სულის სიმშვიდე დაუნანებლად მომეც, მაჩუქე, უიმედობის მოღრუბლულ ცაზე დილის მზის შუქად გამოაშუქე.

აკაკი არ ვარ, საქართველოს ვერ მივაფურთხებ, სასონარკვეთაც კი ვერ მომცემს ამის უფლებას. და საუკუნე თუმც გავიდა იმ ტკივილიდან, ქართველი ისევ ფულზე ჰყიდის თავისუფლებას.

პოეტ ჩივთ ამაშუიკონ

იმ პოეზიას, შენ რომ შეჰქმენ, უნდა გაგება, იმ მისტერისა, შენგან შექმნილს, უნდა სწავლება. ის სიყვარული, შენს ლექსებში რომ ჩაატიე, სამშობლოს მინით

მოვაჭრეთა არ გააბატოეს. „დღეს საქართველო ძლიერია და ფესვმაგარი!“ – ამას რომ წერდი, ჯულაშვილის იდგა დროება. ახლა კი ბიჭი ბიჭს რომ კოცნის, თანაც საჯაროდ – თავისუფლება ეს არისო და სათნოება?! ვაი ჩვენ... კარგად ვერ ვასწავლეთ აფხაზს „გამზრდელი“ და ტყვია, – მტრისთვის ჩამოსხმული, მორდუს ესროლა! – გონზე მოდიოთ! – წინაპართა შემოძახილი აფხაზს და ქართველს ერთნაირად აღარ ესმოდა. რა დაგვრჩენია... ამ თაობას, ხელახლა მოსულს, უნდა ავეუსნათ, ჩაუწერგოთ ერთი სიმართლე: – უერთმანეთოდ აფხაზეთი და საქართველო ვერ გაბრწყინდება, ვერ იხილავს ღვთიურ სინათლეს!

რეკა

ვუძღვნი ქალიშვილს, ნინოს ეს მერამდენედ აღესრულა ღვთის სასწაული, უმანკო ჩვილი მოველინა ქვეყნიერებას. დაბადების დღედ აღინიშნა დღე – სასწაული და აქ დამხვდურნიც ეზიარნენ ბედნიერებას! ბავშვის კისკისი ღვთიურ ჰანგად შემოდის სულში, – პატარა გოგო დასაჭერად დასდევს პეპელას, ჩაეხუტება ხელგამაშლილ დედოკოს გულში, დამსგავსებია გაზაფხულის ყვავილს – ენძელას. გაფრინდა წლები დედ-მამასთან თამაშ-თამაშში, უკვე ზრდასრული საქორწინო გვირგვინქვეშ დგება. ბებოს და ბაბუს სიყვარული გაცვალა სხვაში, დედაბუნება მოუწოდებს, რომ გახდეს დედა! ქართულ სუფრასთან მოლხენაა, ქეიფი მიდის, ხელში სასმისით თამადაა, ფეხზე რომ დგება. მისი სიტყვები ლოცვასავით, ჰინანდ გაისმის: მრავალჟამიერ, იდეგერძელე – გვიყვარხარ, დედა!

მიძიკონები რას წაგვს...

ახალბინაშული ახალი ხელნაწერისა

თითქოს დროიდან ამოვარდნილი იყო ეს ყველაფერი! პოსტსაარჩევნო ციხე-ცხელეებში თითქოს ორად გახლეჩილი, ერთმანეთზე გადაკიდებული საზოგადოება და ორად გახლეჩილი, ერთმანეთს დაპირისპირებული მედია თითქმის აღარაფერს კითხულობს გლდანის ციხიდან თუ გორის სამხედრო პოსპიტლიდან გამოვხანული ბარათების გარდა, თითქოს არავის არაფერი აინტერესებს, გარდა იმისა, თუ რას იტყვის სააკაშვილზე ესა თუ ის ექიმი, პოლიტიკოსი თუ ჟურნალისტი, მწერალი თუ ფუნქციონერი, რომელთა სახელები ყველას პირზე აკერია... და უცებ - ვეფხისტყაოსანი ყოვლისმომცველი, ყოვლის უაღრესი და ყოვლის გამაერთიანებელი. ვეფხისტყაოსნის ახალი, უახლეს ხელნაწერზე ვაძიებ, XXI საუკუნის ხელნაწერზე, რომელსაც აკადემიკოსმა როინ მეტრეველმა ახალბინაშული ხელნაწერი უწოდა მის პრეზენტაციაზე.

ხელო პრეზენტაცია 24 ნოემბერს გაიმართა თბილისში. გამჭვირვალე პოსტამენტზე გადაშლილი ხელნაწერის ორიგინალს აქეთ-იქიდან მცველებად უდგას ორი ჩოხოსანი და თითქმის ყველა დამსწრე დიდ პატივად თვლის, მათ შორის ჩადგეს და ამ ახალშექმნილ ეროვნულ საგანძურთან ერთად გადაიღოს სამვილიშვილო ფოტო.

ეს მართლაც უაღრესად ორიგინალური ხელნაწერია, რომელიც ცნობილი ბიბლიოფილის, ვეფხისტყაოსნის გამოცემათა მსოფლიოში ყველაზე სრული კოლექციის მფლობელის გურამ ახალბინაშის ძალისხმევით და გადამწერთა მრავალრიცხოვანი კოპორტის მონაწილეობით შეიქმნა.

2003 წლიდან მოყოლებული, მთელი 15 წლის განმავლობაში ხელნაწერზე 286-მა გადამწერმა იმუშავა. თანამედროვე საქართველოს 286-მა ცნობილმა ადამიანმა წიგნის თითო ან ორი გვერდი გადაწერა, ხოლო ხელნაწერის თითოეული გვერდი XI-XIII საუკუნეების ქართულ ხელნაწერთა მოტივებზე შექმნილი კამარებით, მინიატურებითა და სახედაო ასოებით შეამკო ხელნაწერთა მხატვარ-რესტავრატორმა ლია სიხარულიძემ, რომელმაც პრეზენტაციისას დამსწრეთ მოუთხრო ამ ხელნაწერზე მუშაობის თავისი გამოცდილების შესახებ.

გამომცემელთა და დამსწრეთა შორის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის წარმომადგენლები მოვისაკლეს. ვეფხისტყაოსნის დღემდე სხვადასხვა სახით მოღწეული 164 ხელნაწერის დიდი უმეტესობა აკი სწორედ ხელნაწერთა ცენტრშია დაცული.

მაგრამ ეს - არა! ახალბინაშული ვეფხისტყაოსანი ხელნაწერთა ცენტრში არ დაიდებს ბინას. პროექტის ავტორის გადაწყვეტილებით, იგი ახალბინაშის ოჯახის საკუთრებად დარჩება მისი გამოცემის უფლებასთან ერთად.

აი, რა წერია წიგნის მინაწერში: „XXI საუკუნის ხელნაწერი ვეფხისტყაოსანი წარმოადგენს გურამ ახალბინაშის ოჯახის საკუთრებას. მისი გამოცემის უფლება აქვთ მხოლოდ გურამ ახალბინაშისა და მისი კანონიერ მემკვიდრეებს. ამ ხელნაწერის არცერთი ნაწილი არ შეიძლება იქნეს გადაბეჭდილი და გამოქვეყნებული გურამ ახალბინაშის ან მისი კანონიერი მემკვიდრეების წერილობითი თანხმობის გარეშე“.

ეს მინაწერიც ხელნაწერია და სხვადასხვა ხელით - გურამ ახალბინაშის, მისი მუდღის, მათი ქალ-ვაჟის, რძლისა და ხიბის მიერ არის გადაწერილი. ტექსტის პირველი სიტყვები გურამ ახალბინაშისაა და მისი გადამწერობა მისივე სახელის მქონე ხელნაწერ ვეფხისტყაოსანში ამ რამდენიმე სიტყვით შემოიფარგლა.

გურამ ახალბინაშის რამდენჯერმე სინანულით უთქვამს კერძო საუბრებშიც და საჯაროდაც, რომ, სამწუხაროდ, არაერთი ღირსეული ადამიანი დარჩა მისი პროექ-

ტის მიღმა და იმ დღისთვის მოზადებულ პრესრელიზში ბოდიშსაც უხდის მათ:

„იდეის ავტორი უდიდესი პატივისცემით, ბოდიშს უხდის იმ ღირსეულ ადამიანებს, ვისაც ვერ შესთავაზა პროექტში მონაწილეობა“.

თუმცა ამ ღირსეულ ადამიანთა შორის, ვისაც იგი ბოდიშს უხდის, უწინარეს ყოვლისა, თავად ის არის საგულგებელი. ძველი, უსახელოდ გადაბეჭდილი თავმდაბალი მოღვაწეების დარად, გურამ ახალბინაშის თავისი არ ჩათვალა ღირსად, რომ თავისივე პროექტში სხვათა სწორად მიღწეული მონაწილეობა, თუმცა იმ უსახელო მოღვაწეებისაგან განსხვავებით, დასტურ სახელიანი შეიქმნა - აკი ხელნაწერს გამოჩენისთანავე დაერქვა „ახალბინაშული“.

ამ ხელნაწერის შექმნის 15-წლიანი ისტორია კიდევ ერთ საინტერესო წიგნს გვიჩვენებს. გურამ ახალბინაშის ჩაფიქრებული აქტს, გამოსცეს თავისი ჩანაწერები, რომლებშიც ამ პროექტზე მუშაობის არაერთი ძალზე საინტერესო მომენტია დაფიქსირებული. მე მქონდა სამუალება, გაცნობოდი ამ ჩანაწერთა ერთ ნაწილს. აქ არის ათეულობით ემოციური, ჭკუისასანაველი, თუ სახალისო მონათხრობი იმის შესახებ, თუ როგორ იმუშავა ხელ-

ფერი მთავარია და არც არაფერი - მეორეხარისხოვანი. მკითხველს გააჩნია - რას მიაცქევს მეტ ყურადღებას და რას - ნაკლებს, რა აღმოჩნდება ახლობელი მისთვის და რა - კიდევ უფრო ახლობელი.

„თამაში ჩვენი მღელვარებისა“ - ასე შექმნა ამ წიგნს, რომელიც, თუ მისი ჟანრული კუთვნილების განსაზღვრა აუცილებელია, უფრო მეტყარული ჩანაწერები შეიძლება იყოს. ეს არის მოლივლივე ტექსტი, რომელიც მკითხველის დახმარებით იღებს საბოლოო ფორმას, თუმცა ავტორის ხელიდან გამოსული იგი იმთავითვე მკაცრად არის კონსტრუირებული და წარსულის სურათები თუ ფიქრის ფრაგმენტები კონტად შეკრულ ჩარჩოშია მოქცეული. და ეს ჩარჩო თითქოს კალეიდოსკოპის პატარა მილაკია, რომელიც ავტორს წარსულის ფერადი ნატეხები ჩაუყრია, სხვადასხვა ადამიანის ხელში სხვადასხვაგვარ ფიგურებს რომ ქმნიან.

მაგრამ - ვერ სათაურზე უნდა ვთქვა. სათაურშივე ჩანს, რომ ავტორი არის კაცი, რომელსაც ლიტერატურა ძლიერ უყვარდა და უყვარს. მკითხველს, რომელსაც არანაკლებ უყვარს ლიტერატურა, ამ სათაურმა ორი წიგნი უნდა

ლექსო თორაძე ერთ-ერთია ამ წიგნში ჩასახლებულ სახელოვან ადამიანთაგან, რომლებიც ავტორისათვის მხოლოდ სახელოვანი ადამიანები კი არა, უახლოესი მეგობრები არიან, - მისი თანატოლები, მასზე უმცროსებიც და მასზე უფროსებიც.

ხოლო ფეხბურთი, რომელიც ვი გორგოძის 1966 წლის მსოფლიო ჩემპიონატამდე და ობიექტ გოცირიძეებთან თამაშამდე კარგა ხნით ადრე დაიწყო, მთელ მის ცხოვრებას ერთგვარ ლაიტმოტივად გასდევს. დაწყებით კი, 1958 წლის 23 მარტს დაწყებული, როცა 7 წლის ბიჭი მამას სეზონის გახსნის მატჩზე წაუყვანია თბილისის „დინამოს“ სტადიონზე.

მას შემდეგ ვი გორგოძის მთელი ცხოვრება ფეხბურთულთა მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატების, საკავშირო თუ საერთაშორისო მატჩების, დიდი ევროპული საფეხბურთო ფინალების კალენდარზეა აწყობილი.

შემთხვევით არ არის, რომ სიტყვა „თამაში“ წიგნის გარეკანზე სათაურის ორ სხვა სიტყვასთან შედარებით დიდი შრიფტით წერია.

ვინაა გორგოძის წიგნი კი სწორედ იმ მატჩით იწყება, რომელზეც იგი მამამისმა წაიყვანა, როგორც ოდესღაც - ვიას

რომ რაგინდ უნტერესო ამბები მოეყოლა, გემოვნებში რეცეპტული-მრავალბოლომდე სტრუქტურულად წაქცინა და. აქ კი ორჯერ ურთიდა და სარტყელს ცხოვრება და სინტეზისა მხრობა. ცხოვრება კი ისეთი უნდა, ვიას რომ უცხოვრია და რომ ცხოვრობს. უგზო-უკვლოდ განათლებული და მრავალი ინტერესის მქონე, ჟურნალისტიც ყოფილა და მხარეულიც, რედაქტორადაც უმუშავია და სამინისტროს მაღალჩინოსნადაც, სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის პრეზიდენტაც ყოფილა და ქართული დღეების მთავარი ორგანიზატორიც ოკეანის გაღმა, კინოსცენარებიც უწერია და ქართული ფეხბურთის ისტორიაც უქვლევია... და მაინც მისი მთავარი პროფესია, მთავარი საქმე და მთავარი მოწოდება - ადამიანებთან ურთიერთობაა. იგი ყველგან სასურველი სტუმარია და ყველასთვის სასურველი მასპინძელი. მისი მეგობრების მეგობრებიც მისი მეგობრები არიან.


ჩვენი თაობის ბევრი თბილისელი ვიას გორგოძის წიგნში თავის არაერთ მეგობარს და ნაცნობს შეხვდება, ჩვეულ გარემოში იგრძნობს თავს და ავტორის მოლონებებს გონებაში თავისასაც მოუმატებს. ამ თვალსაზრისით, ეს წიგნი გაცილებით მეტ ამბავს მოიცავს, ვიდრე მასში რეალურად წერია! როცა კითხულობ ვიას გორგოძის მოლონებებს დათო ყოფიანზე, მის უახლოეს მეგობარზე, შენ შენი დათო ყოფიანი გახსენდება. და ასეა თითოეული მკითხველი და არა მხოლოდ დათო ყოფიანის შემთხვევაში. ამიტომ ვთქვი თავში, - ეს წიგნი იმდენად სახეს იღებს, რამდენი მკითხველის ხელშიც აღმოჩნდება - ის ყოველ ვერზე სხვადასხვანაირია, ცვალებადი, ცოცხალი, როგორც სპექტაკლი, რომელიც რამდენჯერაც უნდა ნახო, მუდამ ახალია და ერთი წარმოდგენა ზუსტად არასოდეს იმეორებს მეორეს.

ვინაა გორგოძის წიგნი ერთგვარი თბილისური ამარკორდა, რომლის მთავარი პერსონაჟი ავტორთან ერთად სწორედ დათო ყოფიანი გახლავთ. ვიას გორგოძემ დააარსა და წლების განმავლობაში გამოსცემდა ჟურნალს, რომელსაც დათო ყოფიანის პატივსაცემად „თიანი“ დაარქვა. ეს სათაური ერთი მხრივ დათო ყოფიანის და ფეხბურთის რამდენიმე სხვა დიდოსტატის საფეხბურთო მაისურის ნომერია და მეორე მხრივ მისი გვარ-სახელიდან ამოქარაგმებული ერთგვარი კალამბური გახლავთ: დათო ყოფიანი. ინგლისის 1966 წლის ჩემპიონატის დღეებში ვიას ოჩჩაში წასვლის გამო თავის დროზე ბესიკის ქუჩაზე ვერმეხედრდებოდა, პირველად ამ სათაურის გამო გადავიკვეთეთ. შემოალო ერთ მშვენიერ დღეს რედაქციამ ჩემი ოთახის კარი, ეს მშვენიერი კალამბურული სათაური წინ დამიდო და ჟურნალის პირველი ნომრის გარეკანის დიზაინის გაკეთება მთხოვა.

შემოალო და შემოალო! მას მერე ვემგობობო. ამიტომ ამ შთანაწერში მას ყველგან ვიათი მოვიხსენიებ, თუმცა წიგნს გარეკანზე „ვიორგ გორგოძე“ აწერია. სად და რა ვითარებაში არ ვყოფილვარ ვიასთან ერთად! ერთადაც გვიმუშავია და უცხოეთშიც გვიმომგზავნია, ვაზეთიც გვიკეთებია ერთად, ჟურნალიც და წიგნიც, სოჭელ ქართველებთანაც ვყოფილვართ სტუმრად და „რივერ-პლუტზეც“ დავსწრებოვართ საფეხბურთო მატჩს, საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის კონგრესშიც მიგვიღია მონაწილეობა და არგენტინული ტანგოს ფონზეც ალგვინიშნავს მისი დაბადების დღე.

და რომც არ ყოფილიყო ეს ყველაფერი, სულ რომ არ მცნობოდა პირადად და მისი წიგნი შემთხვევით ჩამვარდნოდა ხელში, მისი წაკითხვისთანავე ვიას გორგოძე ჩემი მეგობარი გახდებოდა. ვიას გორგოძის მეგობრად იგრძნობს თავს ამ წიგნის ყველა მკითხველი, ვისაც კარგი და გემოვნებიანი ლიტერატურა უყვარს, ვისაც ფეხბურთი უყვარს, ვისაც მეგობარი და თვისტომი უყვარს, ვისაც ბოლო ნახევარი საუკუნის თბილისი ახსოვს და უყვარს.

▶▶ გაზარდულია იქნება



ლიბროკუბიკულარისტის შთანაწერები

კაატა ნაცვლიშვილი

წაწერზე ამა თუ იმ გადამწერმა. შემიძლია ვივარაუდო, რომ წიგნი, რომლის გამოცემასაც გურამი ამ ჩანაწერების საფუძველზე აპირებს, ეპოქის ერთგვარი კოლექტიური პორტრეტი იქნება ამ ეპოქალური და მასშტაბური პროექტის პრიზმაში გარდატეხილი.

ხოლო თავად ხელნაწერი სხვა ყველაფერთან ერთად იმითაც არის უნიკალური, რომ იგი ჩვენი დროის ქართული ინტელექტუალური ელიტის ერთგვარი გრაფოლოგიური პანორამაა. ეს ამდენი განსხვავებული კალიგრაფია ავსებს და აზუსტებს თითოეული გადამწერის პიროვნულ პორტრეტს. კალიგრაფია აკი ერთგვარი სარკეა, რომელშიც ადამიანის ხასიათი და ინდივიდუალური თვისებებიც არეკლილი...

არ ვიცი, რას იტყვიან ჩემს კალიგრაფიაზე გრაფოლოგები, მაგრამ არ შემიძლია მადლიერება არ გამოვსატო პროექტის ავტორის მიმართ და სიამაყით არ ვთქვა, რომ ვეფხისტყაოსნის XXI საუკუნის ხელნაწერის, ახალბინაშული ხელნაწერის ერთი გვერდი ჩემი გადამწერილია!

ვინაა გორგოძის ჭკვისი ყანისა

სამჯერ კი შემომეკითხა, მაგრამ სამივეჯერ - სხვადასხვაგვარად, დღე-ღამის სხვადასხვა დროს, სხვადასხვა ვითარებაში, სხვადასხვა განწყობილებაზე მყოფს... პირველად, რა თქმა უნდა, წამოწოლილმა ნაეკითხვებში, ლიბროკუბიკულარისტულად, მეორედ ძალზე საქმიანმა, ფანქარმოძარგებულმა, მესამედ - სულაც ლუდის ნურეულისას.

ვინაა გორგოძის წიგნი ყველა ნაკითხვაზე სხვადასხვანაირია! მით უმეტეს სხვადასხვანაირია იგი თითოეული მკითხველისთვის. ამ წიგნში არც არა-

გახსენოს: სელინჯერის „თამაში ჭკვისი ყანაში“ და სტაინბეკის „ზამთარი ჩვენი მღელვარებისა“, რომელიც - ეს იმ ხალხმა, ვისაც ლიტერატურა ძლიერ უყვარს, კარგად იცის, - თავის მხრივ შექსპირიდან მოდის.

ესენი არა, მაგრამ შექსპირის და სელინჯერის სხვა ფრაზები ავტორს თავის წიგნში ეპიგრაფებადაც გამოუყენებია. მოკლედ, „ზამთარი ჩვენი მღელვარებისა“ და „თამაში ჭკვისი ყანაში“.

„ზამთარი ჭკვისი ყანაში“ - ვიას გორგოძის წიგნზე რეცენზიას რომ ვწერდე, მე მას ასე დავასათაურებდი.

ვინაა წიგნში სოფელ ოჩჩაში გატარებული ბავშვობისდროინდელი ჭკვისი ყანის სურნელიც ძალუმად იგრძნობა და თბილისური ცხოვრების შემოდგომის თუ ზამთრის სუსხიც. ოჩჩის ჭკვისი ყანაში ბავშვები ფეხბურთს თამაშობდნენ. მრავალი წლის შემდეგ ორი მათგანი მადრიდში შეხვდებოდა ერთმანეთს და ლექსო თორაძე ვიას გორგოძეს ჰკითხავს, ის ოჩჩელი ძმები გოცირიძეები: ამირანა, ტარიელა და ვატოია, ფეხბურთს რო გვიგებდნენ, როგორ არიან.

1966 წლის მსოფლიო ჩემპიონატი ფეხბურთში პირველი იყო, რომლის ტელერეპორტაჟები საბჭოთა ტელევიზიამ გადმოსცა. ჩვენ მაშინ ტელევიზორი არ გვექონდა და მე, 13 წლის ბიჭი, იმ ჩემპიონატის საყურებლად ბიძაჩემთან დავდიოდი ბესიკის ქუჩაზე. იმხანად ბესიკის ქუჩაზე მცხოვრებ 14 წლის ვიას გორგოძეს კი ის თამაშები მამაპაპისეულ სოფელ ოჩჩაში უნახავს!

„ინგლისის მსოფლიო ჩემპიონატის ოჩჩაში უყურე, ჩემი სამი კლასელიც იმ დროს იქ იყო. ყოველდღე ვთამაშობდით ფეხბურთს. თბილისელების და ოჩჩელების დაპირისპირებაში ხშირად ვმარცხდებოდით, რასაც ლექსო თორაძის სუსტ თამაშს ვაძრალბდით“.

გამოჩენილ ფსიქოლოგს, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტს, პროფესორ ირაკლი იმედაძეს 2022 წლის 2 იანვარს უსრულდება საიუბილეო თარიღი — დაბადებიდან 70 წელი.

დმიტრი უზნაძის შემოქმედებამ, უპირველესად მისმა განწყობის თეორიამ მრავალი ათეული წლის წინათ თბილისის შეიტანა მსოფლიოს რუკაზე, როგორც ფსიქოლოგიური კვლევა-ძიების მნიშვნელოვანი ცენტრი. ის გარემოება, რომ ქართულ ფსიქოლოგიურ სკოლას დღესაც აქვს თავისი ადგილი ამ რუკაზე, ცხადია, განსაზღვრულია როგორც უზნაძის სკოლისათვის დამახასიათებელი შემოქმედებითი მემკვიდრეობითობის ფაქტორით, ისე ახალი, ორიგინალური ნაშრომებით, რომელთა შორის აღსანიშნავია, მაგალითად, შალვა ჩხარტიშვილისა და მოთა ნადირაშვილის გამოკვლევები.

დღევანდელ ეტაპზე კი ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩევა ირაკლი იმედაძის მრავალმხრივ ნაყოფიერი სამეცნიერო საქმიანობა. ბატონი ირაკლი თავის ნაშრომებში, ფსიქოლოგიის ტრადიციულ პრობლემებთან ერთად, თანამედროვე მეცნიერების მონაცემთა საფუძველზე სიღრმისეულად განიხილავს ფსიქოლოგიის ფუნდამენტურ კატეგორიებთან დაკავშირებულ სხვა აქტუალურ საკითხებს და იძლევა მათ ახლებურად გააზრებას. საჭიროების შემთხვევაში იგი მიანიშნებს ზოგიერთი პრობლემური საკითხის გადარწმუნების პერსპექტიულ გზებსა თუ ჭეშმარიტების ძიების მიმართულებაზე. ჭეშმარიტებისადმი სამსახური კი იუბილარის პიროვნებისეული, ტიპოლოგიური თავისებურებაა.

ირაკლი იმედაძე დაიბადა 1952 წლის 2 იანვარს, თბილისში. 1968 წელს დაამთავრა ილია ვეკუას სახელობის თბილისის მათემატიკური სკოლა, 1973 წელს — ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის ფაკულტეტი. სტუდენტობისას გაცვლითი პროგრამით იმყოფებოდა იენის უნივერსიტეტში. 1976 წელს ირაკლი იმედაძემ დაამთავრა დიმიტრი უზნაძის სახელობის ფსიქოლოგიის ინსტიტუტის ასპირანტურა. მისი მეცნიერ-ხელმძღვანელი იყო გამოჩენილი ფსიქოლოგი და პედაგოგი, პროფესორი შალვა ჩხარტიშვილი. 1977-2011 წლებში მუშაობდა ფსიქოლოგიის ინსტიტუტში. იყო ზოგადი ფსიქოლოგიის განყოფილების, განწყობის ფსიქოლოგიის და ფსიქოლოგიის ისტორიის ლაბორატორიის გამგე, ხოლო 2006-2011 წლებში ფსიქოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი.

1978 წელს გახდა ფსიქოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი, 1989 წელს — დოქტორი. 1991 წლიდან პროფესორია. 2009 წელს ირაკლი იმედაძე აირჩიეს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტად. 1995 წლიდან საქართველოს ფსიქოლოგთა საზოგადოების პრეზიდენტია. არის უცხოური სამეცნიერო ჟურნალების რედკოლეგიის წევრი; მრავალი საერთაშორისო, საკავშირო და რეგიონული სამეცნიერო ფორუმის მონაწილე და ორგანიზატორი; რამდენიმე გრანტის შემსრულებელი და ხელმძღვანელი.

2019 წლიდან ირაკლი იმედაძე ფსიქოლოგიური განწყობის კვლევისა და კორექციის ცენტრის განყოფილების გამგეა და აქაც ეწევა მეტად ნაყოფიერ და საჭირო კვლევა-ძიებას. იგი მთლიანობაში 170-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის, მათ შორის 13 მონოგრაფიისა და სახელმძღვანელოს ავტორია. მონოგრაფიისათვის — „XX საუკუნის ფსიქოლოგიის ძირითადი მიმდინარეობები“ (2004) — მიენიჭა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის დიმიტრი უზნაძის სახელობითი პრემია.

ირაკლი იმედაძის კვლევის მიმართულებებია: ზოგადი და პიროვნების ფსიქოლოგია, ქცევა და მოტივაცია, განწყობის ფსიქოლოგია და თეორიული ფსიქოლოგიის

პრობლემები, ფსიქოლოგიის ისტორია და მეთოდოლოგია, ასაკობრივი და პედაგოგიური ფსიქოლოგია.

საკანდიდატო დისერტაციაში 1977 წელს მან ექსპერიმენტულად შეისწავლა ექვსწლიანთა მოტივაციურ-ნებელობითი მზაობა სასკოლო სწავლებისადმი და გამოავლინა, რომ ინტელექტუალური სფეროსაგან განსხვავებით, ბავშვთა ნებისყოფის განვითარების სფეროში არ დასტურდება აქსელერაციის ფაქტი.

განწყობის პოლელი პიროვნული სივალისათვის

ირაკლი იმედაძე — 70



შემდგომში ბატონი ირაკლი განწყობის ზოგადფსიქოლოგიური თეორიის პოზიციიდან განაგრძობდა ქცევისა და მოტივაციის საკითხების კვლევას, შექმნა ქცევის პოლიმოტივაციის ორიგინალური მოდელი. მოტივისა და მოთხოვნილების ცნებათა გამოიჯვრის საფუძველზე გამოიყოფა და დაახასიათა ქცევის რამდენიმე მოთხოვნილებით აღძვრისა და ერთზე მეტი ქცევის ერთდროული განხორციელების შემთხვევები. პოლიმოტივაციის მოდელზე დაყრდნობით გააანალიზა მოსწავლის სასწავლო აქტივობა. აღნიშნულ საკითხებს მიუძღვნა მან მონოგრაფია — „ქცევის კატეგორია განწყობის თეორიაში“, რომელიც გამოიცა 1991 წელს რუსულ ენაზე.

ირაკლი იმედაძე ნებისყოფის ფსიქოლოგიის ცნობილი მკვლევარია. სხვა საკითხებთან ერთად, მან შეიტანა გარკვეულობა ნებელობითი ქცევის ფენომენოლოგიურ დაახასიათებაში. კერძოდ, აჩვენა თუ რომელი ფაქტორის გავლენით და როგორ წარმოიქმნება განსხვავებული ვოლიტური განცდები, დააზუსტა ნებელობითი ქცევის უზნაძისეული მოდელი გადარწმუნების პერიოდის განწყობისეული რეგულაციის თვალსაზრისით. ქცევის ნებელობითი რეგულაციისა და ობიექტივაციის ცნების კონტექსტში შემოიტანა „სუბიექტივაციის“ ცნება. აქვე უნდა აღინიშნოს ნებისყოფის ფენომენოლოგიის საკითხთან დაკავშირებული მრავალწლიანი დისკუსიაც, რომელშიც მეცნიერული პაექრობისა და კორექტულობის მაგალითს იძლეოდა იუბილარი.

ირაკლი იმედაძე აქტიურადაა ჩაბმული განწყობის თეორიის შემდგომი დამუშავების პროცესში. როგორც ცნობილია, დიმიტრი უზნაძის მიერ შემუშავებული თეორია არის განწყობის სტატიკური მოდელის თეორია. ამ მოდელის მიხედვით, ყოველი ქცევის წინ შექმნილი და ამ ქცევის განმსაზღვრელი განწყობა ქცევის მიმდინარეობისას არ იცვლება. იგი ბოლომდე ინარჩუნებს იმ სტრუქტურას, რომელიც მან მიიღო ქცევის დაწყების წინ. შალვა ჩხარტიშვილმა

თავის დროზე ყურადღება მიაქცია იმას, რომ მიზანშეწონილი ქცევის შესრულება შეუძლებელი იქნებოდა სტატიკური განწყობის პირობებში, ე. ი. ისეთ პირობებში, თუკი იგი პირვანდელი სახით დარჩებოდა. მან შემოგვთავაზა განწყობის დინამიკური მოდელი, რომლის მიხედვით განწყობა თავდაპირველი სახით არასოდეს რჩება. იგი აქტივობის პროცესში უცვლელად ინარჩუნებს ქცევის ძირითად კარკასს, რაც სიტუაციის ძირითად სქემას ეფუძნება, ხოლო

სიტუაციაში შემავალ სტიმულთა შესატყვის სტრუქტურას და მიზანშეწონილი ქცევის განხორციელების შესაძლებლობას იძენს გზადაგზა, როცა მასში სიტუაციის შესაბამისი მონაკვეთი აისახება.

ირაკლი იმედაძემ ლოგიკურად შეავსო და განავითარა განწყობის ჩხარტიშვილისეული დინამიკური მოდელი. იგი შეინიშნავს, რომ ამ მოდელის ავტორი შეეხო მხოლოდ განწყობის სიტუაციური ფაქტორის ცვალებადობას. მაგრამ დინამიკური პროცესები მიმდინარეობენ მოტივაციურ ფაქტორშიც. აქტივობის დროს დინამიკური ცვლილებები ხდება როგორც სიტუაციის, ისე მოტივაციის მხრიდან, თუმცა განწყობათა განუწყვეტილ ცვალებადობას არ აქვს ადგილი. ტრანსფორმაცია ერთიანი განწყობის სტრუქტურაში ხდება. სწორედ ამაშია დინამიკური მოდელის საკვანძო პრინციპი, — დასძენს ირაკლი იმედაძე. ამ მოდელმა რეალურად ახსნა მიზანშეწონილი ქცევის განხორციელების შესაძლებლობა და, ფაქტობრივად, ჩიხიდან გამოიყვანა განწყობის თეორია. ამიტომ მისი განვითარება-სრულყოფა მეტად მნიშვნელოვანი მიღწევაა.

ირაკლი იმედაძე იკვლევს განწყობის თეორიის სხვა ასპექტებსაც. მან სპეციალური მონოგრაფია მიუძღვნა განწყობის ონტოლოგიური ბუნების პრობლემას (2019), რომელიც ყველაზე სადავო და არსებითია განწყობის თეორიისთვის. კერძოდ, საკითხი ეხება იმას, თუ რა მასალისაგან შედგება განწყობა, რომელ მოვლენას, სინამდვილის რომელ სფეროს მიეკუთვნება იგი. როგორც ცნობილია, უზნაძემ ამ კითხვაზე ერთმნიშვნელოვნად გარკვეული პასუხი არ დატოვა. იმედაძე საკმაოდ ვრცელი მასალის სათანადო ანალიზის საფუძველზე იძლევა მისეულ მთლიან სურათს, თუ როგორ და რატომ ცვალებადობდა უზნაძის თვალსაზრისი ამ საკითხზე თეორიის დამუშავების სხვადასხვა ეტაპზე, როგორ მოხდა, მაგალითად, „ბიოსფერული“ განწყობის „გაფსიქიკურება“ (ზოგიერთი ავტორის აზრით, მოხდა კი?) და ა. შ. ისტორიულ ანალიზთან ერთად, მონოგრაფიაში მოცემულია განწყობის ონტოლოგიური სტატუსის მეთოდოლოგიური ანალიზიც, რომელიც მოიცავს ისეთ ძირულ საკითხებს, როგორცაა ფსიქოფიზიკური პრობლემა, არაცნობიერი ფსიქიკურის პრობლემა და განწყობის თეორია, მთლიანი სუბიექტის პრობლემა და სხვა. ავტორის მოკრძალებული შეფასების მიუხედავად, მის მიერ გამოთქმულ მოსაზრებებს ნამდვილად შეაქვს სიახლე და სიცხადე ზოგიერთი მძიმე საკითხის გაშუქებაში.

ირაკლი იმედაძის სისტემატური შესწავლის საგანია განწყობის თეორიის მიმართება სხვა დიდ ფსიქოლოგიურ სისტემებთან (ფსიქონალიზი, ჰუმანიტური ფსიქოლოგია და ეგზისტენციური ფსიქოლოგია, კოგნიტივიზმი, ქმედების (აქტივობის) ფსიქოლოგია და სხვა). იგი ამუშავებს ფსიქოლოგიური მეცნიერების საკვანძო საკითხებს: თავისუფლება-დეტერმინაციის პრობლემა, ფსიქოლოგიის ადგილი მეცნიერებათა სისტემაში,

აკადემიური და პრაქტიკული ფსიქოლოგიის ურთიერთმიმართება, ფსიქოლოგიის მიმართული განვითარების ტენდენციები და სხვა.

ცალკე უნდა აღინიშნოს ირაკლი იმედაძის ნაყოფიერი მუშაობა ფსიქოლოგიის ახალი, ორიგინალური სახელმძღვანელოების შექმნის მიმართულებით, რომლის საჭიროებას უპირველესად განსაზღვრავს უმაღლესი სკოლის მოთხოვნები. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ბატონმა ირაკლიმ ეს ამოცანა შესანიშნავად გადაწყვიტა „ფსიქოლოგიის ისტორიისა“ და „ფსიქოლოგიის საფუძველების“ („ფსიქოლოგიის“) სახელმძღვანელოების გამოცემით, რომლებიც მაქსიმალურადაა დაახლოებული თანამედროვე დასავლურ სტანდარტებთან და, ამასთანავე, შენარჩუნებულია ქართული ფსიქოლოგიური სკოლის ტრადიციებიც.

როგორც ცნობილია, ჩვენში სისტემატური ხასიათის გამოკვლევები ფსიქოლოგიის ისტორიაში, ზოგიერთი გამონაკლისის გარდა, არ გვაქვს. ამიტომ განსაკუთრებული გამოხმაურება მოჰყვა ირაკლი იმედაძის სისრულით გამორჩეულ კაპიტალურ ნაშრომს — „ფსიქოლოგიის ისტორია“ (2008). ნიგნი მოიცავს ფსიქოლოგიური აზრის განვითარების ძირითად ტენდენციებს ანტიკური ხანიდან ჩვენს დრომდე. მასში წარმოდგენილია მსოფლიო ფსიქოლოგიის ყველა ძირითადი მიმდინარეობის ანალიზი, განხილულია ფსიქოლოგიური ცოდნის ნიმუშები საქართველოში უზნაძემდე და უზნაძის სკოლის მონაპოვარიც. აქვე მოცემულია საინტერესო მასალები განწყობის გარშემო წარმართული დისკუსიების შესახებ.

იმედაძის აღნიშნული სახელმძღვანელოებით, რომლებიც რამდენჯერმე გამოიცა, მიმდინარეობს სწავლება საქართველოს მრავალ უმაღლეს სასწავლებელში. ამ პროცესში თავად ავტორიც იღებს აქტიურ მონაწილეობას, როგორც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და დედაქალაქის სხვა უმაღლესი სასწავლებლების პროფესორი. დიახ, ინტენსიურ სამეცნიერო-კვლევით მუშაობასთან ერთად, ირაკლი იმედაძე აქტიურად არის ჩართული ფსიქოლოგთა კადრების მომზადების საქმეშიც.

იუბილარის წარმატებულ სამეცნიერო-შემოქმედებით საქმიანობას ხელს უწყობს მისი მუდღე — ქალბატონი ნანა კენჭაძე. აი, რას წერს ირაკლი იმედაძე „ფსიქოლოგიის ისტორიის“ სახელმძღვანელოს წინასიტყვაობაში: „ეს ნიგნი მკითხველამდე ვერ მიაღწევდა, რომ არა ის დახმარება, რომელიც გამიწია ჩემმა მუდღემ და კოლეგამ ნანა კენჭაძემ. იგი თავიდან ბოლომდე მონაწილეობდა ამ ნაშრომის შექმნის ყველა ეტაპზე... აღარაფერს ვამბობ იმ საოჯახო კლიმატზე, რომელიც მან, როგორც მეგობარმა შემიქმნა“. ლამაზი სიტყვებია, მეუღლის თანადგომისა და დახმარების ღირსეული შეფასება, რომელშიც შემფასებლის პიროვნების მართალი, გულწრფელობით აღბეჭდილი პორტრეტიც იკვეთება.

ასეთია მოკლედ ირაკლი იმედაძის, გამოჩენილი მეცნიერის, ქართული ფსიქოლოგიური სკოლის აღიარებული წარმომადგენლის სამეცნიერო მოღვაწეობის ძირითადი მომენტები. აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ იბეჭდება და იუბილარის მრავალრიცხოვან ნაშრომებს სულ მალე შეემატება კიდევ სამი ნიგნი, რაც, თავის მხრივ, ავტორის შემოქმედებითი ძალების აღმაჯალ დინამიკაზე მიუთითებს და მისი მომავალი მიღწევების საწინდარია.

ბატონ ირაკლის ვულოცავთ საიუბილეო თარიღს, ვუსურვებთ ხანგრძლივ სიცოცხლეს, ჩვეულ წარმატებებსა და დიდ ადამიანურ ბედნიერებას თავის ლამაზ ოჯახთან ერთად.

პროფესორები:
ნოდარ ბარამიძე
მიხეილ მახარაძე
მერაბ მაღრაძე



ნიმუშობრივი-სტრონი

პოეზიური
ოჯახი

მოკლედ, ვდებ ორივე ვერსიას:
ანა კალანდაძე

ლოკო ანთიანს

გამიხსენებენ როგორც ნიკალას,
და თბილ სამარეს დააბიჯებენ.

ლაღო ასათიანი
სადმე, ახლოს, მზე კვლავ გაშლის აკაციებს
და ყვავილნი, მათ გულმკერდზე დაფანტულნი,
მოვლენ შენთან... ნანას კეტყვის ნაკადული,
სასაფლაო ქვის კალთაში დაგაძინებს...
მე ასე მწამს, ერთი ნორჩი ნაძვის ძირას
ყაყაჩოში საუკუნოდ ჩაგვიძინა,
ჩაგვიძინა სიყვარულით ანაქროლებს...
არა, ლაღო, აღარ მოვწყვეტ ყაყაჩოებს...
სიკვდილი კი არ მოსულა მგოსნის კართან,
ასეთია ქარიშხლიან სულის ბოლო...
ფიროსმანი? ფიროსმანიც მოვა, რათა...
შენს სევდიან, „თბილ სამარეს“ ეამბოროს.
შმაგი ქარი ყვავილებს რომ ჩაუქროლებს,
აღდგებიან წლები შენი ჭაბუკობის:
ისევ გინდა, თქვა სიმღერა ჩაუქრობი,
ჩვენს შორის რომ სასოებით იხსენება...
შმაგი ქარი ყვავილებს რომ ჩაუქროლებს,
მშვიდობაზე შენი ლექსი იწერება...
გაზაფხული... ნახე, რარეგ ნარმტაცია,
როს ყაყაჩო ძველ ლოდებთან ტანს აიყრის...
სადმე, ახლოს, ყვავილს გაშლის აკაცია,
ყვავილს გაშლის და გულმკერდზე გადაიყრის...
1946

ანა კალანდაძე

სახვარდოს გზავილი

გამიხსენებენ როგორც ნიკალას,
და თბილ სამარეს დააბიჯებენ.

სადმე, ახლოს, მზე გაშლის აკაციებს
და ყვავილნი, მათ გულმკერდზე დაფანტულნი,
მოვლენ შენთან, იტირებენ და ქართული,
და ქართული,
„უფლის ხელით დახატული“
სასაფლაო ქვის კალთაში დაგაძინებს.
და თუ მუდამ შენ მღეროდი ტკბილი ენით,
სასაფლაო? სასაფლაო დუმის ირჩევს.
ქარი მოვა, მზეც ჩამოვა ხშირად ზენით
და „თბილ საფლავს“
თვის ოქროს ფეხს დააბიჯებს.
მე ასე მწამს, ერთი ნორჩი ნაძვის ძირას
ყაყაჩოში საუკუნოდ ჩაგვიძინა,
ჩაგვიძინა სიყვარულით ანაქროლებს...
არა, ლაღო, აღარ მოვწყვეტ ყაყაჩოებს...
სიკვდილი კი არ მოსულა მგოსნის კართან,
ასეთია ქარიშხლიან სულის ბოლო...
ფიროსმანი? ფიროსმანიც მოვა, რათა
შენს სევდიან, „თბილ სამარეს“ ეამბოროს.
მუქ ლურჯ ცაზე მტრედისფერი ნისლი ცურავს,
ბრწყინვენ ცვარნი, ცრემლებით ციმციმებენ...
სასაფლაოს ნაკადულზე ჩამოსულან
„ნამკაშურის ნისქილები“...
მზე, ჩამოვა, ქვის ძეგლებზე სხივებს დაღვრის,
ქვის ძეგლებზე, ფამთა სვლით რომ დაღარულან...
ცა ირხევა, ვით ერეკლეს ბაირალი,
და ნაძვები „ნაფიქრალით დაფარულან“,
სასაფლაოს გაზაფხულიც ნარმტაცია,
როს ყაყაჩო ძველ ლოდებთან ტანს აიყრის...
სადმე, ახლოს, ყვავილს გაშლის აკაცია,
ყვავილს გაშლის და გულმკერდზე გადაიყრის.

დახედვაც საკმარისია, რომ შენიშნოთ, პირველი (1946 წლით დათარიღებული ვერსია) მთელი ათი სტრიქონით მოკლე ახალზე (1984). ჩემი პრაქტიკული გამოცდილებით, ამა თუ იმ პოეტის ლექსთა ვერსიების შედარებისას ძირითადად ასე ხდება: პირველი უფრო ვრცელია და გვიანდელი – შემოკლებული და მეტად დამუშავებული. რაკი საშუალება გვაქვს, გავაშუქოთ და შევადაროთ ამ ორი ტექსტის განმასხვავებელი ადგილები პირველ, მოკლე ვარიანტში, რომელსაც ჰქვია „ლაღო ასათიანს“, გვაქვს

1. „ნანას გეტყვის ნაკადული“, მეორეში, რომელსაც ჰქვია „სასაფლაოს გაზაფხული“, შეცვლილია ასე: „იტირებენ და ქართული“.
2. პირველ ვარიანტში არის სტროფი: შმაგი ქარი ყვავილებს რომ ჩაუქროლებს, აღდგებიან წლები შენი ჭაბუკობის:

ისევ გინდა, თქვა სიმღერა ჩაუქრობი,
ჩვენს შორის რომ სასოებით იხსენება...
(შმაგი ქარი ყვავილებს რომ ჩაუქროლებს – ორჯერ, ეს ტაქტი მორიდება მეორემაც, ოღონდ ერთხელ)
მშვიდობაზე შენი ლექსი იწერება...
3. პირველში არა გვაქვს, ხოლო მეორეში ჩამატებულია: იტირებენ და ქართული,
და ქართული,
„უფლის ხელით დახატული“...
4. პირველში არა გვაქვს, ხოლო მეორეში ჩამატებულია ეს ვრცელი მონაკვეთი:
მუქ ლურჯ ცაზე მტრედისფერი ნისლი ცურავს,
ბრწყინვენ ცვარნი, ცრემლებით ციმციმებენ...
სასაფლაოს ნაკადულზე ჩამოსულან
„ნამკაშურის ნისქილები“...
მზე, ჩამოვა, ქვის ძეგლებზე სხივებს დაღვრის,
ქვის ძეგლებზე, ფამთა სვლით რომ დაღარულან...
ცა ირხევა, ვით ერეკლეს ბაირალი,
და ნაძვები „ნაფიქრალით დაფარულან“
ეს – ვიზუალურ დონეზე, ხოლო რაც შინაარსზე შეიძლება ითქვას, ესაა: პირველი ლექსის მიხედვით, ლაღო გამოსახულია უფროდ ნასულ ჭაბუკად, რომელიც მშვიდობაზე გამორჩეულ ლექსებს წერდა, ჩაუქრობ სიმღერებს ამბობდა და ეს სიმღერები ლექსის ავტორის ანმელოცი სასოებით იხსენიება. ამისგან განსხვავებით, ახალ ვერსიაში ქართული, პატრიოტული მოტივი გამოკვეთილი. ლექსი გამდიდრებულია პრედაპირი ციტირებებით ლაღო ასათიანის შემოქმედებიდან, განსაკუთრებით უფრო ნრფელია...
ტექნიკურად პირველი ვერსია უფრო მსუბუქი და ოსტატურად ნაკეთები ჩანს, გადაუტვირთავი...
თანაც, 1984 წელს ანა კალანდაძის თემატიკა, განწყობილებები, ხელნერა სრულიად განსხვავებულია პირვანდელისგან. ნუთუ მოინდინა, ძველებური სტილი ეცადა? თუ ასეა, რატომ თქვა, რომ ერთხელ შექმნილ ლექსს აღარ ასწორებს?..

ამ ამბავმა მართლა დიდი საფიქრალი გამიჩინა. ჩემი ახალგაზრდა პოეტი მეგობრების დიდმა უმრავლესობამ, ჩემგან განსხვავებით, მეორე ვერსია უფრო მოინდინა. ანა კალანდაძესთან წლების განმავლობაში საუკეთესო ურთიერთობა მქონდა. რომ ვითხრათ, პირადი-მეთქი, ტყუილი გამოვივა. ასე ახლოს არ ვიყავი, მაგრამ მუდამ თბილად ეხდებოდა ერთმანეთს. ეს კი არცთუ იშვიათად ხდებოდა, განსაკუთრებით ნინა საუკუნის ოთხმოციან წლებში. მერე ქვეყანაც აირია და პანაშვიდ-გასვენებები და რა ხალხს შეხვედრის ადგილად. ეს წლებით ნასათუთევი დამოკიდებულება ერთხანობას, სადაც ოთხმოცდაათიანი წლების ბოლოსთვის, ჩემივე დაუდევრობით გაეაფუჭე.
კრებულში „გალაკტიონოლოგიისთვის“ მოგონებათა კორპუსზე ვმუშაობდი და ვერაფრით წარმოვიდგინე, რომ ანას, რომელიც სამწერლო ასპარეზზე ორმოციანი წლებიდან გამოჩნდა, პირადად თუ არ ეცნობოდა, დანახული მაინც არ ყოფილა და სადმე ვაკერ-რუსთაველის მიდამოებში გალაკტიონი და რამე არ დამახსოვრებოდა. ისე, ხომ გადასარევი იქნებოდა, თუნდაც ორი სიტყვა რომ გვექონდეს ანას მონაგონარი გალაკტიონზე?

მოდა, ერთხელაც მეტროს სადგურ „თავისუფლების მოედანთან“ რომ შემხვდა და ჩვეულებისამებრ თბილად მოვიკითხეთ ერთმანეთი, ჩემი შევილის ამბებიც რომ გამომკითხა, როგორ არის ამერიკელი და მისი ბავშვობაც კი განსაკუთრებული სიყვარულით გაიხსენა, გავთამამდი და ვუბნებდი, ქალბატონო ანა, გალაკტიონის კრებულისთვის მოგონებებს ვაგროვებ და ორ სიტყვას ხომ არ შემოგვანედედით-მეთქი.
როგორი რეაქცია ჰქონდა?
აი, მოწმენდილ, ლაყვარდოვან ცაზე რომ მეზი გავარდეს. ჩამვლევებაც კი გაკვირვებით შემოგვხედეს. მალევე დანყნარდა და ცივად დავემშვიდობეთ ერთმანეთს.
სამსახურში მისულმა ეს ამბავი ოთახში მოყვები. იმ დღეს – არაფერი და შემდეგ მისვლაზე ერთმა თანამშრომელმა ქსეროქსის ფურცელი დამიღო წინ სიტყვებით, შემდგომში უფრო ფრთხილად იყავი ხოლმეო. გალაკტიონის ორმოციანი წლების დღიურიდან იყო ასეთი წინადადება ანა კალანდაძეზე, რომელიც, ჩემ გარდა, ოთახში ყველას ხსოვებია. მეპატრონის ზეპირი ციტირება, წიგნები აქ არა მკვს: „პირდაპირ ვასაკვირველია, რა ოვაციები მოუწყეს ამ ახალგაზრდა ქალს...“
გავიდა რაღაც დრო, დიდი არა, და მოხდა ისე, რომ საერთო ახლობლის შეილოშიღა რაღაც წიგნი გამოსცა და პრეზენტაციაზე ერთად მოვხვდით. თითქმის გვერდიგვერდ მოგვინა ჯდომამ. ანამ მოკლე და ლამაზი სიტყვაც თქვა. მის მერე მე რა უნდა მეთქვა საყურადღებო, მაგრამ რაღაც მაინც ვცადე. წესისამებრ, პრეზენტაციას „ა ლა ფურშეტი“ (ასე ჰქვია, არა?) მოჰყვა და არ დაიჯერებთ, ანამ ხელიც კი გამომწო და ამ დროს როგორ ვიქცევი მე? არა, ჩემი გამოსწორება არ იქნება ვეკითხები, ქალბატონო ანა, „სასაფლაოს გაზაფხული“ რომ გაქვთ ლექსი, ვარიანტები შევადარე და დიდი განსხვავება გამოიკვეთა... დამთავრება არ მაცადა. პირველი კრებული რომ გამოვეცი, შეიდი წელი დაიგვიანა გამოსვლა. არ მიზეჭდავდნენ, ვიდრე რაღაც სისულელები არ ჩამატებდნენ. ეგ ლექსი, შენ რომ გაინტერესებს, საერთოდ დამისახივრებს. ხალხში უკვე ხელნაწერთ მთლიანად იყო გავრცელებული, სულ გული მწყდებოდა და, როგორც კი საშუალება მომეცა, ნამდვილი ვარიანტი აღვადგინეო.
მასხოვს, მარტო რაღაც წვენივით დალია და აღარ დარჩენილა. მას შემდეგ აღარ შეხვედრივართ. ვერც გამოვეთხოვე უკანასკნელ გზაზე – საქართველოში აღარ ვიყავი..

მოუას ფაფონი

ქართველი და ებრაელი ხალხების მეგობრობა იმდენად ძლიერი იყო, რომ ქართულ მწერლობაში გაჩნდა ებრაელთა მხრიდან უნებართვო პარტოტეხი მათგან დღეს მე ერთ-ერთზე მეტნება მსჯელობა. ეს გახლავთ ცნობილი ქართველი თეატრმცოდნის, მწერლისა და პუბლიცისტის პროფესორ ვასო კიკნაძის წიგნი „გამოთხოვება მოგონებებთან“.

„გამოთხოვება მოგონებებთან“ ავტობიოგრაფიული კრებულია, რომელშიც ავტორი ჰყვება საინტერესო ეპიზოდებს საკუთარი ცხოვრებიდან, ჰყვება მართლად, ყოველგვარი შელამაზების გარეშე; აქ ყველაფერი ნატურალური სიზუსტით არის მონოდებული – თვით იმერული დიალექტების გადაჭარბებული ხმარებაც კი და ესეც სრულიად მუნებრივია, რადგან მგზავრები იმერული გლეხის ქალები და კაცები არიან. მოგონება ეხება ბატონი ვასოს მგზავრობას ორ ახლო რაიონს – სამტრედიასა და ხონს შორის. ამბავი ხდება მე-20 საუკუნის ოციან წლებში, როცა ტრანსპორტის ძირითადი სახე ფაეტონი (ან ურემი) იყო.

უკვე გვიანი საღამოა. ვასო ამ დროს სკოლის მოსწავლეა, მეთექვსმეტი; ერთი გამხდარი, კაფანდარა ბიჭი. იგი ქუჩაზე დგას და ხონში ნამსვლეულ ფაეტონს ელის. ნელ-ნელა მგზავრებიც იკრიბებიან. შეკრებით კი იკრიბებიან, მაგრამ ფაეტონის გამომჩენის დიდი იმედი არა აქვთ. ერთადერთი იმედი აქ ებრაელი მოშეა, რომელმაც ყველაზე გვიან იცის ხოლმე გამოჩენა და იმედგადასწრული მგზავრები ხონში მიჰყავს.

ამჯერად, სამწუხაროდ, არც მოშე ჩანს, თუმცა მისმა ახლობელმა აცნობა შემინებულ მგზავრებს იმის შესახებ, რომ მოშე აუცილებლად გამოჩნდებოდა. მგზავრები შედარებით დანყნარდნენ. შედარებით იმიტომ, რომ ეს მაინც დაუზუსტებელი ინფორმაცია იყო, თორემ ეს სიტყვები მოშეს პირით ნათქვამი რომ მოესმინათ, მაშინ სამში აღარაფერი იქნებოდა, რადგან იცოდნენ, რომ მოშე ისეთს არაფერს იტყვოდა, რასაც არ შეასრულებდა.
მართალია, მგზავრები ერთიმეორეს არ იცნობდნენ, მაგრამ კანტიკუნტად მაინც გამოლაპარაკებოდნენ ხოლმე ერთმანეთს. ზოგი უკბილო ხუმრობასაც არ ერიდებოდა. და მაინც, შინაგანად ყველა დაძაბული იყო, რადგან არავის უნდოდა აქ, ამ მიყრუებულ და ბნელ კულაში, გაეთენებინა ღამე, რაკი არსად გარეშე არათუ სასტუმრო, დასაჯდომი სკამიც კი არ იყო.

რასაკვირველია, ლეღავა პატარა ვასოც. თავს არ უტყდებოდა, თორემ ემინოდა კიდეც. თუმცა ჯერ რა უჭირს, ჯერ ხალხია მის გარშემო, მაგრამ, რომ მოხდეს ისე, მარტო დარჩეს ამ უკაცრიელში, მაშინ? მაშინ ერთადერთი გამოსავალი ისაა, რომ სამტრედიის სადგურში მიტრიალდეს და იქ მთელი ღამე მგზავრობის განკუთვნილ გრძელ მერხზე ჩამომჯდარი ელოდოს გათენებას.
და სწორედ მაშინ, როცა ფაეტონის გამომჩენის იმედი გადასწრული ჰქონდათ, გამოჩნდა მოშე თავისი ფაეტონით.
ფაეტონის გამომჩენისთანავე მგზავრები სწრაფად აიშლნენ და ფაეტონს გარეშეც არ აცალეს, ისე დაინყეს ჩასხდომა.

მთელი უბედურება ის იყო, რომ ფაეტონი ერთი იყო, მგზავრები კი გაცილებით იმაზე მეტი, ვიდრე ერთი ფაეტონი დაიტევდა. ამიტომაც კრიტიკულ სიტუაციაში ჩაუარდნილა მგზავრებმა ადამიანის სახე დაკარგეს და ცხოველური ინსტინქტებით მიინევენდნენ ფაეტონისაკენ. მზად იყვნენ, ფეხზე დამდგარი ემგზავრათ, ოღონდ კი ქუჩაში არ დარჩენილიყვნენ. დასადგომი ადგილები რომ შეივსო, ზოგმა ფაეტონის კიბეზე იკადრა დადგა. თითქოს ყველაფერი მზად იყო, რომ ფაეტონი დამრულიყო, მაგრამ მოშე ფაეტონის დაძვრას არ აპირებდა. მაშინ მგზავრებმა შეუძახეს მოშეს: დასძარი, რაღას ელოდებიო. მაგრამ მოშემ კატეგორიულად გამოუცხადა: ფაეტონი მანამ არ წავა, სანამ იმ პატარა ბიჭს არ ამოიყვანთ და გვერდით არ დაისვამთ, – თქვა ეს და პატარა ვასოზე მიანიშნა, რომელიც ამ ვაი-უბეღებულში ყველას დაინყებოდა და მარტოდმარტო ისევ იმ ადგილზე იდგა, სადაც წულის წინ ასეთი აურზაური იყო. მოშემ გადამწყვიტა, თავად შეეინრობულიყო და ბავშვი გვერდით მოესვა. და, როცა დარწმუნდა, რომ ბავშვს თავის ზურგს უკან პატარა ადვილი მაინც მოუნახა, მაშინლა დაძრა ფაეტონი.

მგზავრები დამშვიდდნენ, პატარა ვასოც დაინყეს და ჩვეულებრივ მასლაათს შეუდგნენ, მაგრამ უცებ რაღაცამ ისე გადაურბინა ფაეტონს, რომ ცხენები დაფრთხნენ. ფაეტონი ისე სწრაფად შედგა, როგორც სწრაფმძრავი მანქანა შედგება ხოლმე უეცარი დამუხრუჭებისას. ანან კი ის გამოინვია, რომ პატარა ვასო ფაეტონიდან გადმოვარდა და ერთ-ერთი ცხენის ზურგზე დაეცა (ღვთის მადლით, ფაეტონის ქვეშ არ მოხვდა). ახლა უცებ მგზავრები აყაყანდნენ:
– საწყალი ბავშვი, კიდეც კარგი, რომ ცხენების ფლოკებში არ მოხვდა. ამ სიტყვებს სხვებაც გამოეხმაურნენ და ყასიდად, ფარისევლურად ბავშვიც შეიცოდეს, მაგრამ მის ფაეტონში ამოყვანაზე მაინც არავის უფიქრია. ის კი არადა, ერთმა უსინდისომ მოშეც კი დაადანაშაულა იმაში, ბავშვი რომ ნამოიყვანა და მის სიცოცხლეს საფრთხე შეუქმნა. უფრო მეტიც, ზოგმა ისიც კი იკადრა: ფულისთვის ამტრევედაო ბავშვს.
მოშემ შეუმწვევლად ბიჭს ხელი მაგრად ჩასჭიდა იმის ნიშნად, რომ, რასაც ახლა იტყვოდა, მართალი არ ჰგონებოდა და პატარა ვასოს მკაცრი ტონით მიმართა:
– უნდა ჩაბიჭო, ბიჭო, სხვა გზა არ არის! ახალგაზრდა ხარ. ხომ არ გეშინია? მოშეს ამ ყასიდად ნათქვამს მგზავრების ყაყანი მოჰყვა.
– ბიჭის დატოვება რავა იქნება, – დაიძახა ერთმა მგზავრმა. მას მეორე ნამოშეველა:
– დედა, ამ შუალამისას ბალანეს დატოვება რავა იქნება, – ნამოიყვრა ქალმა, რომელიც მანამდე ხმას საერთოდ არ იღებდა...
– ჩეისვით მაშინ! – თქვა მოშემ და კიდეც ერთხელ სცადა ამ ხალხის გამოფხიზლება.
– რაეარც გვერდით მისივი, ახლაც გყავდეს მანდი! – გალიზიანებით დაიძახა ერთ-ერთმა მგზავრმა და თითქოს რაღაც ახალი გამოსავალი ნახესო, ყველამ მას დაუჭირა მხარი!

ფაქტია, მგზავრები პატარა, გამხდარი, კაფანდარა ბიჭისთვის ფაეტონში „ჩასაკეცებულ“ ადგილს არც ეძებდნენ და ვერც პოულობდნენ მაშინ ისევ კეთილმა მოშემ მოისვა ბავშვი უკან და უთხრა: ნელზე მომხვიე ხელი და არ გადავარდებიო.
ხოშმე ჩავიდნენ.

მოშემ ბიჭს მგზავრობის ფული არ გამოართვა. ის კი არა, ბავშვს რომ თავი უხერხულად არ ევრძინო, გაეხუმრა კიდეც:
– კილამ დაგასახიჩრე და ფულს მაძლევ?!
ფაეტონი გაჩერდა თუ არა, მგზავრები სწრაფად ჩავიდნენ და თავიანთი სახლები-საკენ ისე გაემართნენ, რომ პატარა ბიჭისთვის არავის მოუხედავს. მარტო მოშემ ჰკითხა, სანამ გვერდით ეჯდა ფაეტონში:
– ხონში ღამეს ვისთან გაათენებ?
– სკოლის მეგობარი მყავს, – უპასუხა ვასომ და მეტი დამაჯერებლობისთვის დაამატა: რაკიო ჩიხლაძე.
მაგრამ ეს ლაპარაკი, მოშეს გარდა, სხვას არავის გაუგონია. სამწუხაროდ, სხვა არავინ დაინტერესებულა ბავშვის ბედი.
მგზავრებისადმი თავისი დამოკიდებულება კი ვასომ ასე გამოხატა: ფაეტონიდან ისე ჩავიდა, მგზავრებისათვის არც შემიხედავსო. ამაზე მეტი გაბრაზება არც იცოდა პატარა, წესიერად აღზრდილმა ბიჭმა.

შოთა ზოიძე



აუნაზღაურებელი დანაკლისი განიცადა ქართულმა მწერლობამ - გარდაიცვალა თვალსაჩინო პოეტი, მეცნიერი, ესეისტი, მთარგმნელი, საზოგადო მოღვაწე - შოთა ზოიძე.

შოთა ზოიძე დაიბადა 1942 წლის 2 იანვარს, შუაბევის რაიონის სოფელ ახალდაბაში. დაამთავრა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი, მოსკოვის მ. გორკის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტი. 1997 და 1999 წლებში დაიცვა საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციები თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

სხვადასხვა დროს მუშაობდა გამომცემლობის რედაქტორად, გაზეთ „აჭარის“ განყოფილების გამგედ, აჭარის ტელერადიო-ტელევიზიის დირექტორად, საქართველოს მწერალთა კავშირის აჭარის ორგანიზაციის თავმჯდომარედ, აჭარის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ. 1998 წლიდან ეწეოდა სამეცნიერო და პედაგოგიურ მოღვაწეობას. იყო ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი და ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის მთავარი მეცნიერი თანამშრომელი.

შოთა ზოიძის პირველი ნიგნი გამოიცა 1968 წელს. ავტორია 30-მდე პოეტური კრებულის, ესეებისა და მონოგრაფიების. მისი პოეტური ნიმუშები თარგმნილია არაერთ უცხო ენაზე.

1973 წლიდან მწერალთა კავშირის წევრია. იყო საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის წევრი, საქართველოს მწერალთა კავშირის აჭარის ორგანიზაციის თავმჯდომარე, საქართველოს პრეზიდენტთან არსებული სახელმწიფო პრემიების კომიტეტის და ქართული ენის დაცვის კომისიის წევრი, აჭარის ტელერადიო-ტელევიზიის დირექტორი, აჭარის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, 2-ჯერ იყო არჩეული აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დეპუტატად.

1995 წელს ნიკო ნიკოლაძის პრემია მიენიჭა ნიგნისთვის „ჯვარცმული ფიქრი“, ხოლო 1997 წელს - სახელმწიფო პრემია ნიგნისთვის „უსანქციო სონეტები“. მინიჭებული აქვს, ასევე, დავით აღმაშენებლის, ილია ჭავჭავაძის, გიორგი ლეონიძის, გიორგი შარვაშიძის და მემედ აბაშიძის პრემიები.

საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირის აჭარის ორგანიზაცია აჭარის მწერალთა სახლი შურნალ „ჭოროხის“ რედაქცია

აჯანყებული გულის გაიხსნა

სტუდენტი რომ გაეხსნა, შოთა ზოიძე უკვე ახალგაზრდობის საყვარელი პოეტი იყო. ინსტიტუტზე დაბრუნებული ჰქონდა და გამომცემლობაში რედაქტორადაც მუშაობდა. პროფესორულად პირველს მას ვაჩვენებ ჩემი ნაცოდვილარი. არასდროს დამაინყდებდა, როგორც ყურადღებით წაკითხა, როგორ დამარია. მოგვიანებით გამომცემლობაშიც მან მიმიყვანა და ერთი წელიც ერთად ვიმუშავეთ.

ბევრი, ძალიან ბევრი რამ ვისწავლე მისგან. მას შემდეგ ათეული წლები გავიდა, და ეს წლები შოთასთვის მამულზე ფიქრით იყო სავსე. საქართველოს ოქროს მთა-ბარი ავგაროვივით მკერდზე ჰქონდა მიკრული, მეომარივით სანაგარში იწვია, სამშობლოს მტრებს ერკინებოდა, პრობლემებს ცეცხლი ეჭირა ხელში და მწვერვალზე კოკონს აჩაღებდა, ოქროს ჩიტებით სავსე ქალაქს ალამაზებდა... ლექსში ჰქონდა სულის ყლორტები. ჭაღარა თუ ზღვასთან ალერსში თოლიების გადმობერტყილი სითეთრეც უხდებოდა ყოველთვის...

მასსოვს, მგონი, 1978 წელი იყო, მეგობრები შევუწინდით და საქართველოს სადღეგრძელო ლექსით დავამთავრებინეთ. მერე ეს ლექსი ნაუკითხავად დავიზვიარეთ და ჩვენ თვითონ ვუკითხავდით ხოლმე: „საქართველო - ნუგეში, თავს ჩაგიდებ უბეში, სიბერეშიც მეყვარები, როგორც სიჭაბუკეში, მე ვარ შენი იმედი, შენი ლელოს გამტანი, შენი გაზაფხული ვარ, ზაფხული და ზამთარი.

როცა თეთრად დაათოვს ხუდადოვს და მადათოვს, საქართველოს ვენახები ჩემმა სუნთქვამ გაათბოს. საქართველო - ნუგეში, თავს ჩაგიდებ უბეში, შემბული ვარ მე შენი სიყვარულის უღელში“.

აკურთხებდნენ, ჭკმარტ პოეტად აკურთხებდნენ ამ სტრიქონების ავტორს, აბა რა იქნებოდა! ნამდვილი იყო ლექსშიც, მეგობრობაშიც, ადამიანობაშიც.

დასრულდა შოთა ზოიძის დიდი საუკუნე. ტკივილთან ერთად, დატოვა ბრწყინვალე ლექსები, ესეები, კრიტიკული წერილები, ერთი ამოსუნთქვით წასაკითხი „საქართველოს გოლგოთა“ და „ანა დედოფალი“, კიდევ - სონეტები და ერთ წელიწადში დაცული ორი დისერტაცია... დატოვა ნიჭით და შრომის სიყვარულით შექმნილი საუნჯე.

ღირსებით გაიარა ცხოვრების დიდი გზა, თუმცა მინც ბევრი იდეა და ჩანაფიქრი განუხორციელებელი დარჩა აჯანყებული გულის მაგისტრს....

დათო თედორაძე

დაუუგებოვროთ ახალი თაობა ნიგნებს

ევროპას, რომლის ფარგლებში 2021 წელს ქართულ ენაზე გამოიცა თანამედროვე ევროპელი ავტორების 9 ნიგნი.

- როგორ ფიქრობთ, ამ პროექტს ქართველი მკითხველისთვის რა დატვირთვა აქვს?

- პირველ რიგში, ამ პროექტის მეშვეობით ვეზიარებით თანამედროვე ევროპულ ლიტერატურას. ის გვეხმარება, მივიღოთ ის მენტალიტეტი, რომელიც აქვთ ევროპელებს და, რაც მთავარია, ევროპული ლიტერატურები დავნერგოთ ჩვენთან. ვფიქრობ, ახალგაზრდობა უნდა აღზარდოს ევროპული სულისკვეთებით.

- ნიგნები, რომლებიც პროექტის ფარგლებში ითარგმნა, რის მიხედვით შეირჩა?

- ოთხი მთავანი: კრისტიან კრუსატის „მოგზაურობისა და უდაბნოს მოკლე თეორია“, კაროლინა შუთის „ოდესღაც რბილ ბალახზე დავრბოდი თურმე“, ოფიკიურ სიგურდსონის „ოუნი“ და ლაურა ჩერნიაუსკაიტის „სულჩადგმული მარმარილო“, ევროკავშირის ლიტერატურული პრემიის მფლობელია; ემი ლიბტროტის „ლამის შუქურებს“ არაერთი ლიტერატურული პრიზი აქვს მიღებული; დეზა მარაინი კი საქვეყნოდ აღიარებული იტალიელი მწერალია, რომელიც რამდენჯერმე იყო ნარდგენილი ნობელის პრემიაზე და მისი რომანი „გოგონა და მესიზმრე კაცი“, ვგონებ, გულგრილს არ დატოვებს ჩვენს მკითხველს.

რაც შეეხება პროექტის საბავშვო გამოცემების ავტორს ქეთევან დავრიშვეს, ის ქართული ემიგრაციის წარმომადგენელია და, ჩვენ მიერ შერჩეული ნიგნების მხატვრული ღირებულების გარდა, ქართველი მკითხველისთვის ეს ფაქტორიც არანაკლებ საინტერესო და მიმზიდველი იქნება.

- ალბათ, დამეთანხმებით, ამ ნაწარმოებებში ისეთი პრობლემები წამოჭრილი, რაც ჩვენთვისაც არ არის უცხო...

- რასაკვირველია, ასეა! ჩვენ ხომ ძალიან ბევრი საერთო გვაქვს ევროპასთან და ამიტომაც მივისწრავდით ასე ევროპული ოჯახისკენ.

- პროექტის ფარგლებში კონკურსიც გაიმართა. რას იტყვით ამასთან დაკავშირებით?

- დიახ, გავმართეთ კონკურსი, რომელშიც ახალი თაობა იყო ჩართული. ვფიქრობ, ყველაფერმა საუცხოოდ ჩაიარა, რისთვისაც პროექტის მენეჯერს, ირმა ლიბარტელიანს ვუხდით მადლობას, ის ედგა ამ კონკურსს სათავეში.

- ვფიქრობ, ამ კონკურსით კარგი საქმე გაკეთდა. მოზარდებს ერთგვარად უზიძკეთ, კალამი აელთ ხელში, მით უმეტეს, რომ გამარჯვებულნი წამახალისებელი პროზებით დაჯილდოვდნენ...

- იცით, რა ხდება? თუ ახალგაზრდა თაობაში არ დავამკვიდრეთ ნიგნის კითხვის კულტურა, მაშინ საერთოდ რას ვეძებთ ჩვენ, მით უმეტეს, საგამომცემლო სახლი?! ჩვენივე მთავარია, ახალი თაობა ნიგნებს დაუემგებროთ. ნიგნთან ურთიერთობა სულ სხვა რამეა, მას ელექტრონული ლიტერატურა ვერ ჩაანაცვლებს. მე ცოტა ძველი თაობის ადამიანი ვარ და მიმაჩნია, რომ ეს სულ სხვა კულტურაა, რომელიც სულიერად გამდიდრებს. შეიძლება წავიკითხო ელექტრონული ნიგნი, მაგრამ ის ვერ მომიტანს იმ განცდებს, იმ შინაგან მღვდვარებას, რაც ნიგნის ფურცლებთან მიახლოებისას მაქვს...

- სასკოლო სახელმძღვანელოების გარდა, შექმენებითი ლიტერატურაც გაქვთ გამოცემული, არა?

- დღესდღეობით „კლიოს“ პრიორიტეტული მიმართულებებია: სასკოლო-დამხმარე ლიტერატურა, საბავშვო-საყვარული შემეცნებითი ლიტერატურა, არამხატვრული ლიტერატურა, გზამკვლევი. ასევე, გვაქვს რუსული, ინგლისური, ფრანგული ლექსიკონები მოზარდებისთვის. ვფიქრობ, თუ ხელს შევუწყობთ და ჩვენი მხრიდან ცდას არ დავაკლებთ, განათლებული და ნიგნიერი თაობა გვეყვლება, რომელიც ყველა გამოწვევას ღირსეულად გაუმკლავდება თავისი გონიერებითა და ინტელექტით.

დაბოლოს, მინდა აღვნიშნო, რომ პროექტის ფარგლებში ორი კონკურსი ჩატარდა: „ავტორობანა“ - უმცროსკლასელებისთვის და ესეების კონკურსი უფროსებისთვის, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს 15-დან 25 წლამდე ასაკის ახალგაზრდებმა. როგორც პროექტის ხელმძღვანელი და ფიურის წევრები ამბობენ, სასიამოვნოდ გაცოცხლებული დარჩნენ მიღებული წერილების რაოდენობითა და ახალი თაობის კრეატიული, შემოქმედებითი, ემოციური ნამუშევრებით.

ირმა ლიბარტელიანი, პროექტის მენეჯერი:

- როგორც იცით, გამომცემლობა „კლიო“ ევროკავშირის პროგრამის - „შემოქმედებითი ევროპის“ მხარდაჭერით მერე წელიწადი ახორციელებს პროექტს „დაუუგებოვროთ ლიტერატურულ ევროპას“.

სხვა ნიგნებთან ერთად პროექტის ფარგლებში ითარგმნა სამი საბავშვო გამოცემა: ქართველი წარმოშობის ფრანგი მწერლის - ქეთევან დავრიშვეის „ძაღვის ბედი“, „მძიმე წერილები“ და „თოვლის პაპა ქურდია“, რომლებიც ფრანგულიდან თარგმნა ცისანა ბიბილიევიშვილმა. სწორედ

ამ სამ საბავშვო გამოცემაზე აიგო კონკურსი „ავტორობანა“. ბავშვებს მოთხოვნების დასაწყისი გავაცანით და შევთავაზეთ, გაგვჩვენებთ საკუთარი ვერსია მოეფიქრებინათ, რომელსაც კომისიის ან ჩანახატის სახით მოგვანოდებდნენ. ჩვენს მოლოდინს გადააჭარბა როგორც მონაწილეთა რაოდენობამ, ასევე მონაწილეების კრეატიულმა და ორიგინალურმა იდეებმა, შესრულების ფორმის მრავალფეროვნებამ. სამუშაოდ, კონკურსის ფორმატიდან გამომდინარე, აქ 500-მდე მონაწილე იყო და ყველა საპრიზო ადგილზე ვერ გავიდოდა, მაგრამ დარწმუნებული ვარ, კონკურსში მიღებული გამოცდილება ნებისმიერი მათგანისთვის ერთგვარი საფეხური გახდება შემდგომი ნინსვისა და წარმატებისკენ...

რაც შეეხება ესეების კონკურსს უფროსებისთვის, მოგვხსენებთ, პროექტის ფარგლებში ნათარგმნი ნიგნები ევროპული ლიტერატურის ან მყოს ანარქულია. შესაბამისად, მათში გააზრებულია ის თემები და პრობლემები, რომლებიც დღეს ევროპისთვის აქტუალურია: კულტურული ტრადიციები, ოჯახური კავშირების მნიშვნელობა, არსებობისთვის ბრძოლის სირთულეები, საკუთარი თავისა და ადგილის ძიება... ამდენად, კონკურსის თემატიკაც პროექტის ფარგლებში თარგმნილია ნიგნებმა განსაზღვრა. მონაწილეებს რამდენიმე თემა შევთავაზეთ, რომელთაგან მათ ერთ-ერთი უნდა აერჩიათ და შეექმნათ ესეი. აქაც მოსალოდნელზე გაცილებით მეტი ნაშრომი მივიღეთ, რომლებმაც სასიამოვნოდ გავვაოცეს. ნაწარმი ნათლად ჩანდა, რომ ახალგაზრდებმა იფიქრეს და გაიზარეს მოცემული თემები და საკითხი თავისებურად გააშუქეს. ნამუშევრებში ისიც ჩანდა, რომ ახალ თაობას ძალიან ბევრი სხვა საკითხიც აინტერესებს, ერკვევა და, რაც მთავარია, კითხულობს ნიგნებს. რაღა თქმა უნდა, გამარჯვებულების გამოვლენა აქაც არ აღმოჩნდა იოლი, თუმცა, ვფიქრობ, ფიურის გადაწყვეტილება ობიექტური და სამართლიანი იყო.

კიდევ ერთხელ მინდა დავადასტურო გზადაუხადო კონკურსის თითოეულ მონაწილეს. ვფიქრობ, რომ პროექტზე მუშაობის პროცესი საინტერესო და სასარგებლო აღმოჩნდა მათთვის. ამის საფუძველს გვაძლევს ის უამრავი თბილი გამოსხაურება, რაც კონკურსანტებმა, მათმა მშობლებმა და პედაგოგებმა მოგვწერეს. ეს ერთგვარი მოტივაციაა საიმისოდ, რომ მომავალში კიდევ უფრო საინტერესო პროექტები და კონკურსები შევთავაზოთ ჩვენს მკითხველებს.

P.S. დეტალურ ინფორმაციას პროექტის შესახებ შეგიძლიათ გაცნობთ გამომცემლობის ვებგვერდზე: https://klio.ge/project_eu/

ლიკა ქაჯაია



„ჩვენივე მთავარია, ახალი თაობა ნიგნებს დაუემგებროთ...“

პროექტი, რომელმაც მოზარდები აიყოლია და მათ წერისკენ უბიძგა

შემოქმედებითი ევროპა (Creative Europe) არის ევროკავშირის პროგრამა, რომელიც მიზნად ისახავს კულტურული და შემოქმედებითი ინდუსტრიების წახალისებას. ლიტერატურული თარგმანის კონკურსი ამ პროგრამის ნაწილია. ის მხარს უჭერს თანამედროვე ევროპული მხატვრული ლიტერატურის თარგმნასა და პოპულარიზაციას და ზრდის მკითხველისთვის მაღალი ხარისხის ევროპული მხატვრული ლიტერატურის ხელმისაწვდომობას.

გამომცემლობა „კლიომ“ მიიღო გამოწვევა და ამ პროგრამაში ჩაერთო. პროექტის - „დაუუგებოვროთ ლიტერატურულ ევროპას“ (Get To Close Literary Europe) ფარგლებში, ქართველი მკითხველისთვის თანამედროვე ევროპული ლიტერატურა თარგმნა.

ზაზა ხიდურელი, გამომცემლობა „კლიოს“ ხელმძღვანელი: - გამომცემლობა „კლიო“ უკვე ორი ათეული წელია, ქართულ საგამომცემლო ბაზარზეა. მოგეხსენებათ, ბერძნული მითოლოგიის მიხედვით, კლიო ისტორიის მუზაა. თავდაპირველად გამომცემლობის პრიორიტეტი სწორედ ისტორიული ხასიათის ლიტერატურის გამოცემა იყო, მოგვიანებით კი სასკოლო ნიგნების გრფორების პროცესში ჩავეერთეთ. ამ პერიოდთან დაკავშირებით გამომცემლობის ბაზაზე 200-მდე სასკოლო სახელმძღვანელო მომზადდა, მათმა უმეტესობამ წარმატებით გაიარა გრიფირების პროცესი. მუდმივად ცვდილობთ, ახალ თაობაზე მორგებულ პროექტებში ჩავებათ და ღირსეულად წელიწადში შევიტანოთ მოზარდთა განათლების საქმეში.

- როგორც ვიცით, თქვენი გამომცემლობა რეგულარულად მონაწილეობს ეროვნულ და საერთაშორისო ნიგნის ბაზრობებსა და ფესტივალებზე...

- დიახ, ასეა და, სხვათა შორის, „კლიო“ ერთადერთია ქართულ გამომცემლობებს შორის, რომელმაც ჰავანისა (2017) და იერუსალიმის (2018) ნიგნის ფესტივალებში მიიღო მონაწილეობა, 2020 წლიდან კი ევროკავშირის საგამომცემლო პროგრამის, შემოქმედებითი ევროპის მხარდაჭერით ვახორციელებთ პროექტს „დაუუგებოვროთ ლიტერატურულ

მთავარი რედაქტორი ივანე აპირსანაშვილი
მთავარი რედაქტორის მოადგილე ელისაბედ მატრეველი
ფინანსური მენეჯერი ქეთევან დავითრაშვილი
კომპიუტერული უზრუნველყოფა: პალა ბეველიანი, გიორგი ბარბაქაძე
დიზაინერ-დამკაბადონებელი, გავრცელების სამსახური ვოლდემარ ვანსკი
ზანდუკელის №1; ტელ.: 293 69 77 E-Mail: litsqartvelo@yahoo.com

„ლიტერატურული საქართველოს“ საბანკო ანგარიშის ნომერი: საქართველოს ბანკი, GE43BG000000161665862

გაგონის პარასპოზიტი

დაბეჭდილია შპს „საარის“ სტამბაში
მისამართი: თბილისი, თეგლორე მღვდლის 57

ISSN 1987-9806
9 771987 980005